

ზ. ავალიშვილი

თეიმურაზ - I

და

მისი პოემა

წამება ქეთევან დედოფლისა

დამატება:

სამი ისტორიული საბუთი

„კავკასია“-ს გამოცემა

პარიზი

1938

შესავალი

„თეიმურაზ I და მისი პოემა: „წამება ქეთევან დედოფლისა“ პირველად დაიბეჭდა აქაურ „კავკასია“ში 1937 წ. (№ № 3, 4, 5); „სამი ისტორიული საბუთი“ - აქაურსავე „საქართველოს გუშაგ“-ში 1936 წ. (№ 16). ამ ახალ გამოცემაში ზოგი რამ დამატებულია. სულ ახალია ეს წინასიტყვაობა.

თეიმურაზის მნიშვნელოვანი პოემით ქართულმა ლიტერატურამ ხომ თავისი ვალი მოიხადა წამებულ დედოფლის წინაშე. ხოლო ევროპის სიტყვა-კაზმულ მწერლობამაც ქეთევანის სადიდებლად მე-17 საუკუნეში ღირსეული ძეგლი შექმნა. ვგულისხმობ გამოჩენილი ლირიკოსის და დრამატურგის, გერმანელი ანდრია გრიფიუსის ტრადედიას „კათარინა ფონ გეორგიენ“, ე. ი. „ეკატერინე ქართველი“. ესაა წინასიტყვაობის საგანი.

თავის ნაწარმოების ქალ-გმირს ავტორმა ეკატერინე დაარქვა და არა ქეთევან, არა ის სახელი, რომლითაც იგი საქართველოშია ცნობილი და რომელიც მან ასახელა. ეს შემთხვევით მოხდა: ასე ეწერა იქ, საიდანაც გრიფიუსმა წამებული დედოფლის ისტორია ამოიკითხა (ამაზე იხ. ქვემოთ).

გერმანელი მგოსნის ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ქეთევანის 1624 წ. წამების ამბავი მას ალბად უკვე 1647-1648 წლებში უნდა სცოდნოდა და მაშინვე მის დამუშავებისთვისაც მოუკიდნია ხელი. ამ თავის მომავალ ტრადედიას („ეკატერინე ქართველი“ იგი 1650 წ. ერთი სხვა ნაწერის („ლეო არმენიუს“) შესავალში იხსენიებს; ხოლო დაიბეჭდა პირველად, დაბრკოლების გამო, დაგვიანებით, 1657 წელს ბრესლაუს, სილეზიის, გრიფიუსის სამშობლოს დედა ქალაქში.

მე-17 საუკუნეში ამ ტრადედიას გერმანიაში ხშირად ასრულებდნენ სცენაზედ. ცნობილია მისი სამი გამოცემა გრიფიუსის ნაწერთა კრებულში (1657, 1663 და 1698 წ.); ისიც, რომ ცალკე წიგნადაც უნდოდათ გამოეცათ; და ამ მიზნით შეკვეთილმა სურათებმაც (გრაფიურებია სპილენძზე) მოაღწია ჩვენამდე. მათ შორის ერთი, სასათაურო, წარმოადგენს ქეთევანს – მასზედ ზეციდან უკვდავებისა (და წამების) გვირგვინი გადმოდის – და შაჰაბაზს: იგი დედოფალს მიწიერი ბედნიერების და თავისი სიყვარულის ნიშნად სპარსეთის გვირგვინს უძღვნის.

შემდეგში ეს ნაწარმოები მივიწყებულადა სჩანს. ხელახლად გამოსცა, ავტორის სხვა სათეატრო ნაწერებთან ერთად, ჰერმან პალმ-მა 1882 წელს, და უკანასკნელად გერმანული თეატრის ისტორიკოს-მა ვილლი ფლემინგმა 1928 წ. საერთოდ გრიფიუსის მნიშვნელობა ამ თეატრის განვითარებაში, მისი სალირიკო პოეზიაც საფუძვლიანად შესწავლილია. კერძოთ „კათარინასაც“ მიაქციეს ჩვენს

8

დროს ყურადღება და მისი ღირებულებაცა სცნეს. ითვლება ეგრეთ წოდებულ ბაროკო-ს სათეატრო ხელოვნების მე-17 საუკუნის გერმანიაში საუკეთესო ნიმუშად (გამოთქმის აღელვებული და ცოტა გადაჭარბებული კილო ანუ სტილი. ბაროკო-ს მცნება ხელოვნების ისტორიის სხვა დარგებიდან – ხუროთ მოძღვრება, მხატვრობა, ქანდაკება – აწ სიტყვა-კაზმული მწერლობის კვლევაშიაც გადაუტანიათ).

გრიფი (1616-1664) – ესაა მისი ნამდვილი გვარი; ლათინური დაბოლოვება „უს“ მაშინდელი ჩვეულებით გერმანულ გრიფ-ს ანუ გრეიფ-ს მიუმატეს – თანამედროვეა გერმანიისათვის ესოდენ საზარელი ოცდაათ წლოვანი ომისა (1618-1648). მისი საშინელებანი მას ახალგაზრდობაში პი-

რადათ ჰქონდა გამოცდილი. ბუნებითაც ნაღვლიანი, დაღონებული სულის ადამიანი იყო. ამისათვის არც საკვირველია რომ მან ასე ღრმად და გულწრფელად იგრძნო საქართველოს სახიფათო და შეუპოვარი ბრძოლა სპარსელთა ძალადობის წინააღმდეგ, მისი სისხლიანი წყლული, მისი მონობის სიმწარე და განთავისუფლების წყურვილი. საქართველოში მომხდარ, შაჰაბაზის დროინდელ ამბავთა მგლოვიარე სურათი ხომ მთელ ტრადედიას საფუძვლად უდევს. ხოლო ეს ამბები უშუალოდ კი არ იშლება მაყურებელთა წინაშე წარმოდგენაში, არამედ უმთავრესად მოხსენებული არიან მომქმედთა პირით. განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში ქართველი ელჩის და მესამეში – თვით ქეთევანის ნაამბობში.

9

ამას სამართლიანად ნაკლავ სთვლის გერმანული კრიტიკა. წარსულ ამბავთა თხრობა, უეჭველია, მოქმედების მსვლელობას ამძიმებს. და აქ ხომ გადმოცემულია ქეთევანის წამებასთან ერთად – ეს არის ნაწარმოების მთვარი თემა – მამის მკვლელი, კახელი ბატონიშვილი კონსტანტინეს უფრო ადრინდელი ისტორიაც და, ასე ვსთქვათ, დიდ მოურავიანის – გიორგი სააკაძის თავგადასავალის – დრამატიული შინაარსიც; ესე იგი, სამი დიდი საგანი, მთელი ტრილოგია, სულ ერთი ტრადედიის ფარგლებში. მაგრამ, რაკი გრიფიუსმა თავის მთავარ საგნად დედოფლის წამება დაისახა, მისგან ამორჩეული გეგმა აუცილებელი იყო. მამის მკვლელი კონსტანტინეს ამბავი და „დიდ მოურავიანი“ მას შეეძლო მსოლოდ სხვის მიერ ნაამბობით და არა უშუალო მოქმედებით გადმოეცა ამ ტრადედიში.

დრამატურგიის ძველი წესით თეატრში წარმოდგენილი მოქმედება სულ ერთ დროს და ერთს ადგილს უნდა ხდებოდეს და თვით ავტორი ხომ თავიდან აცხადებს, რომ მისი „ტრადედია მზის ამოსვლამდე იწყება და დღესთან ერთად თავდება ქ. შირაზს სამეფო კარზე. მთელი მოქმედება კათარინას (ე. ი. ქეთევანის) სიცოცხლის უკანასკნელ დღეს წარმოადგენსო“.

ამას თხზულების სათაურიც*) აჩვენებს: ქათევან-კათარინაში განხორციელებულია დამწერის მიერ საქმით დამტკიცებული გულმოდგინეობა.

*) ეკატერინე ქართველი გინა განცდილი სიმტკიცე.

დედოფალი მთავარი სახეა აქ; მაგრამ იგი ხომ წმინდანია, მის სულში არავითარი ბრძოლა არ არის; იგი განიცდის გარეშე უხეში ძალისაგან განადგურებას. ეს ძალა სპობს მას, ხოლო გართულებას მის სულში აღარ ჰქმნის. აქ გრიფიუსიც მარტვილობის უბრალო აღმწერელია, სხვა არაფერი. უფრო რთულია და დრამატიულად დამუშავებული ტრადედიის მეორე დიდი სახე, შაკაბაზი. მის გულში იბრძვის პოლიტიკოსის ანგარიში, სიძულვილი, შურის ძიება და ქეთევანისადმი დიდი სიყვარულიც. წამების შემდგომ უსაზღვროა მისი სინანული და გოდება.

ტრადედია ლექსათაა დაწერილი, უმთავრესად ე. წ. ალექსანდრინით. ხუთ მოქმედებიათა და მის შინაარსსაც, ფრანგებისა არ იყოს, პიესის „არგუმენტს“, თვით პოეტი გადმოგვცემს ამ გვარად (მომყავს თავისუფლათ და ცოტა შემოკლებით):

I. მარადისობა (ალეგორიული სახე) უკუაგდება სოფლის ამოებას და ამცნებს, რომელი საშუალებით შეიძლება წარუვალი პატივის შოვნა.

დემეტრიოს და პროკოპიოს (გურჯისტანის ელჩები), საიდუმლოდ შეთანხმებულნი დედოფლის მოახლესთან, წარუდგებიან დედოფალს (ამისათვის დარაჯებს განგებ შეზავებული ღვინით დააძინებენ). მოახსენებენ საქართველოს ახალ მდგომარეობას (დიდი მოურავის გამარჯვებას, ლტოლვილი თეიმურაზის საქართველოში დაბრუნებას) და აღუთქვამენ მალე განთავისუფლებას. მოულოდნელად მოდის შაკაბაზი, იგი ამაოდ სცდილობს დედოფლის

11

გულის მოგებას. ტყვე ქალები **სამგლოვიარო გალობით** სამშობლოს დაღუპვას დასტირიან.

II. შაკაბაზი სჩივის თავისი ტრფიალობის უშედეგობას. მას წარუდგება გამოსათხოვებლად რუსეთის ელჩი, რომელიც მისგან ქეთევანის განთავისუფლებას თხოულობს. შაკაბაზი ამაზედ თანხმდება, მაგრამ ელჩის წასვლის უმალ შეინანებს თავის დაპირებას.

ეს მოქმედება თავდება შაკაბაზის მიერ შემდეგში **დახოცილი თავადების ხოროთი**.

III. რუსეთის ელჩი ინახულებს ტყვე დედოფალს.

არწმუნებს, რომ განთავისუფლდება და მოისმენს ქეთევანისაგან მის თავგადასავალს. ამასობაში შაჰაბაზში იბრძვის ტრფობა, შური და პატიოსნება. გადასწყვეტს, აიძულოს დედოფალი ორში ერთი აირჩიოს: ცოლ-ქმრობის სარეცელი და სპარსეთის გვირგვინი ან საშინელი სიკვდილი.

მოქმედება თავდება დედოფლის მოახლეთა სომხადისით სამშობლოში დაბრუნების იმედით.

IV. დედოფალიც ამისათვის მზადებაშია, ხოლო უცბად ჭმუნვა იპყრობს მას; ახალი უბედურობის მოლოდინი აქვს. შირაზის ბატონი იმამ-ყული-ხან მოახსენებს მას შაჰის სბოლოო გადაწყვეტილებას (იხ III.). ქეთევანს სიკვდილი ურჩევნია და უკანასკნელ ბრძოლისათვის ემზადება. დალოცავს

12

აღელვებულ ქალებს. მას წაიყვანს ჯალათი ჯარის კაცებით (თვით წამება უხილავია).

V. ერთ მოახლეს, რომელიც დედოფლის წამებას ესწრობა, გული შეუწუხდება. მას მოიყვანენ დანარჩენ ტყვე ქალებთან და მოაბრუნებენ. ის მოუთხრობს დედოფლის მარტვილობას და მის სიმტკიცეს. ქალები ისწრაფიან რათა მისი გვამი წამოიღონ, მაგრამ მას ნახავენ აღზნებული შეშის ხორაზე, სადაც იგი სახელოვნად ასრულებს თავის ხანგრძლივ ტანჯვას. შაჰაბაზი, რომელიც თავის აჩქარებას ნანობს, ბრძანებას იძლევა რათა შეიპყრონ იმამ-ყული-ხანი და დედოფალი გადაარჩინონ, ხოლო გვიანდა არის.

რუსის ელჩს ატყობინებენ დედოფლის აღსრულებას და იგი ამ მრისხანე საქმეს ზვიინად-ხანს უსაყვედურებს. შაჰაბაზი კი ქეთევანის სიკვდილს დაგვიანებით და ამაოდ დასტირის.

იმისი გამორკვევა თუ საიდან ამოიღო გრიფიუსმა ის საკმაოდ ვრცელი ისტორიული მასალა, რომელიც გამოყენებულია ამ ნაწარმოებში, სჩანს, არც ისე აწუხებდა გერმანელ მკვლევარებს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის, ალბად უფრო ესაა საინტერესო. ტრადედიის ეს შინაარსი, საქართველოს ისტორიიდან ნასესხები, და არა იმდენად მისი მნიშვნელობა გერმანული „ბაროკო“-ს მწერლობაში.

მკითხველმა იცის: ანდრია გრიფიუსის პიესაში გადმოცემულია არა მარტო ქეთევანის წამება, არამედ თუნდაც მოკლეთ, სხვა უმთავრესი სისხლი-

ანი ამბებიც შაჰაბაზის დროინდელი საქართველოს ისტორიისა - ალექსანდრე კახელის ვერაგული მოკვლა 1605 წ., კონსტანტინე ბატონიშვილის - მამის მკვლელის თავგადასავალი, ქართლის მეფის ლუარსაბის და თეიმურაზის კავშირი და ბრძოლა, შაჰაბაზის შემოსევა, მერე გიორგი სააკაძის - დიდი მოურავის - მიერ მოწყობილი, ცნობილი და ძლევა-მოსილი აჯანყება. საიდან იცოდა სულ ეს გრიფიუსმა? მისი ტრადედიების გამომცემელს ჰ. პალმს მხოლოდ იმისი თქმა შეეძლო 1882 წ. რომ ვინაიდან ქეთევანი 1624 წელს ეწამა და გრიფიუსმა ეს ამბავი 1647 წ. იცოდაო, მას ხელთ უნდა ჰქონოდა მის ტრადედიში მოხსენებულ საქმეთა რაღაც უცნობი მიმოხილვა, და ეს მიმოხილვა აშკარად უნდა ყოფილიყო შედგენილი 1624-1647 წლებშიო. მართალია, ჟან შარდენსაც აქვს აღწერილი ქეთევანის წამება, მაგრამ ის მოგზაურობდა და სწერდა მაშინ, როცა გრიფიუსი (1616-1664) უკვე ცოცხალი აღარ იყო, ასე რომ მას არ შეეძლო ფრანგის განთქმული მოგზაურობის წიგნიდან რაიმე ამოეღო.

შემდეგში ბუნებრივად იფიქრეს იტალიელი პ. დელლა ვალლეს ნაწერით ხომ არ სარგებლობდა გერმანელი დრამატურგი? სახელდობრ ვენეციაში 1628 წ. დაბეჭდილი მისი წიგნით: „დელლე კონდიციონი დი აბბას რე დი პერსია“.

ამ ნაწერში ვალლე, როგორც შეეფერება იტალიური აღორძინების წარმომადგენელს, სცდილობს შაჰაბაზის ქართული პოლიტიკა ევროპის წინა-

შე გაამართლოს: სახელმწიფო მოსაზრებით და საჭიროებით მოქმედობდა; ევროპაშიაც ასე იქცევიანო; მაგრამ ქეთევანის წამებას, რა თქმა უნდა, დიდ დასაძრახის საქციელადა სთვლის. ყოველ შემთხვევაში აშკარად სჩანდა, რომ ამ თხზულებიდან გრიფიუსს შეეძლო სულ ცოტა და ზოგადი რამ ამოეღო, ხოლო ესეც საეჭვოა, იმიტომ რომ ვალლე ისტორიულ პირებს მათი ნამდვილი ქართული სახელებით იხსენიებს (ქეთევან, თეიმურაზ, ლუარსაბ), გერმანელს კი აქვს ნაცვლად ქეთევანისა კათარინა ე. ი. ეკატერინე, მერე ალოვას, თამარას და სხვ. ვერც ვალლეს სხვა ნაწერით: „საქართველოზე ინფორმაციით“ უსარგებლია გრიფიუსს და ვერც მისი მგზავრობის წერილებით (მათი კრებული გვიან

დაიბეჭდა), თუმცა ამბობენ რომ გერმანელ მგოსანს შეეძლო რომში ყოფნის დროს 1646 წ. ვალლუ პირადათაც გაეცნო (მათ საერთო მეგობრებიც ჰყოლიათ) და მისგან ცნობებიც მიეღო. ამ საკითხს ეხლა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

სულ ბოლო ხანებში (1932 წ.) ერთმა პოლონელმა სწავლულმა ის წყაროც აღმოაჩინა, რომლიდან მომდინარეობს გრიფის ტრადედიის ისტორიული შინაარსი. ეს არის ფრანგული კრებული; სათაურად აქვს **ჩვენი დროის ტრადიკული ისტორიები** (ანუ ამბები) და ეკუთვნის ერთს, აწ დავიწყებულ, ფრანგი მწერლის, **კლოდ მალენგრ**-ის კალამს. წიგნი დაიბეჭდა პირველად პარიზს 1635 წ. და ავტორად დასახელებულია „კ. მ. ბატონი დე სენ-ლაზარ, ისტორიოგრაფი.“ ამ კრებულში იმ დროის სასენ-

15

საციო და საზარელი ამბების მთელი რიგია; ასე მაგალითად: საფრანგეთის მეფის ანრი ანუ ჰენრიხ მეოთხის მკვლელობისა (1610 წ.); ცრუ-დიმიტრის არა ნაკლებად ცნობილი ისტორია, მოსკოვში რომ დაიღუპა 1606 წ.; ვალენშტეინის ტრადიკული სიკვდილი 1634 წ.; ოსმან ხონთქრისა*) 1622 წ. და სხვათა. აი, ამ წიგნში გვაქვს (№ 16) **საქართველოს დედოფლის ეკატერინესი და ქართველ მეფეთა, შაჰაზაზ სპარსეთის მეფის ბრძანებით დახოცილთ ამბავი.**

სწორედ ამ მოთხრობაზეა აშენებული გრიფის ტრადედია. აქედან ამოღებულია მომქმედ პირთა საკუთარი სახელებიც და ამ წყაროს შეცდომებს გრიფიც იმეორებს: მასაც აქვს „ალოვას, ალთვასა“ ლუარსაზის ნაცვლად (ლავასაბ-იდგან მოდის). მევრავ – მოურავი ე. ი. გიორგი სააკაძე; თამარას – თეიმურაზ და სხვა. როგორც ფრანგი, გერმანელიც ხმარობს ტერმინებს: გურჯისტან, გეორგია, ივერია. თვით ქეთევან დედოფლის სახელი, გერმანულ ნაწარმოებში რომ გვაქვს ე. ი. კათარინა ამოღებულია ამ ფრანგულ ამბიდგან (კათრინ).

ვინც ქეთევან ეკატერინედ გადააკეთა ალბად ფიქრობდა: ქრისტესთვის წამებულს უფრო ქრისტიანული სახელი შეეფერება და არა ისეთი როგორიცაა „ქეთევან“. დედოფლის ქრისტიანული სახელი

*) ეს ის ხონთქარია, ვისგანაც თეიმურაზ პირველი დახმარებას მოელოდა. ამ მიზნით ხომ სტამბოლშიაც იყო.

არაქელ თავრიზელით, მარიამი ყოფილა; შარდენით – მარიანა; ეს იგივე იქნება. შესაძლებელია, რომ კათრინ თვით ფრანგი მწერლის გამოგონილი იყოს. ხოლო ეს წვრილმანია. *)

საერთოდ, გრიფი ემყარება კლოდ მალენგრის მოთხრობას, მაგრამ მისი შემოქმედება საკმაოდ თავისუფალია და ძლიერი. მოვიყვან სანიმუშოდ ფრანგულ წყაროს ერთ ადგილს და მერე გრიფის მიერ ამ ადგილის პოეტურ დამუშავებას. ეხება დიდი მოურავის მიერ სპარსთა ჯარის მეთაურების ამოწყვეტას.

მალენგრს აქვს (გვ 519 გამოც. 1635 წ.):

„რაც შეეხება მოურავს, სპარსეთის არმიაზე გამარჯვებულმა, მან მოატანინა მოკლულ ჰერცოგთა (ხანების) თავები, უბრძანა რომ მოებათ შუბის წვერს და როდესაც სადილს შეექცევოდა მოართმევინებდა თავისთვის ვითარცა მისთვის სასიამოვნო კერძსა. და ღვინოს რომ სვამდა სადღეგრძელოს იტყოდა ჯერ ერთისა, მერე სხვის, და ყოველს ამ მკვდარ ჰერცოგს ათასის ლანძღვით საყვედურობდა მათ ავაზაკურ საქმეს, რაც კი მათზედ იცოდა.“

*) ქეთევნ ანუ ქეთავან უნდა იყოს ქართულად გადასხვაფერებული სპარსული სახელი ისფენდი – არის დედისა, გომტასპის ცოლისა ფირდოუსის „შაჰნამე“-ში. ამ სახელის სპარსული ფორმები იხ. ფერდინანდ იუსტი-ს სიაში: „ირანიშეს ნამენბუხ“.

შეადარეთ ამას გრიფიუსის ტრადედიაში (მოქმედება 1-ლი. ლექსი 649-661) ქართველი ელჩის ნაამბობი შემდეგი ადგილი:

„ვინც ჩვენი სისხლი დაღვარა, ის ამ სისხლში ჩაიხრჩო.

შურით აღგზნებულ რისხვამ, როგორც ცეცხლის ალმა იცის, მთელ ივერიიდან ღვარძლი გაჰგავა.

თავადმა მოურავმა, სიძულვილით ბრმამ, და ამდენი ჭირით შეწუხებულმან იმ მოკლულთა გუნდს მკრთალი თავები გააგდებინა და დაალაგებინა რა მათი თავების წყობა,

ვისგანაც ამდენი შეურაცხყოფა ენახა,
 თავის სუფრაზედ თითქოს საზეიმო ნობათი,
 ხელთ იპყრო წრეს გადასულმა, მისთვის მი-
 რთმეული ჭიქა
 და შესძახა: ესაა ფიალა, რომელსაც ჩემების
 შურის მაძიებელი
 ვსვამ, აწ უკვე არა მონა! ჰოი, ჩემო დაჩაგრუ-
 ლო მეუღლე!
 ჰოი, ჩემო ნამუს ახდილო ასულო! თქვენც,
 ვინცა ხანგრძლივი ტანჯვა
 ცრემლებით მორწყე! ვინც მწუხარებაში
 და მიწაში ღებებით! თქვენ ვინც დაუხურავ
 საფლავსაც
 არ ეღირსენით! ჩემო მეფე, ლუარსაბ!
 ტყეე დედოფალო! განდევნილო თეიმურაზ!
 ჩემო სამშობლო! ალავერდი!"

18

ეს ჭეშმარიტად ტრადიკული „სადღეგრძელოე-
 ბის“ სცენა ძლიერად მოქმედობს ორიგინალის წა-
 კითხვაში. გრიფის ნაწარმოებში იგი არაა უშუა-
 ლოდ წარმოსადგენი, არამედ მოთხრობილია, და
 მოურავიც არაა მომქმედი პირი. ამას თვით კომპო-
 ზიციის წესი მოითხოვდა – წესი ერთდროობისა
 და ერთ-ადგილობისა; მერე ნაამბობში აშ სადღე-
 გრძელო ალავერდის ფრიადი სისხლიანობა, ვსთ-
 ქვათ, მისაღებია; მაგრამ რა იქნებოდა, უშუალოდ
 რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, – სუფრაზე და-
 ლაგებული „მკრთალი თავებით“?

საერთოდ, სისხლის და საშინელებათა ხსენება
 ხშირია ამ ტრაგედისში. ასეთია, რა თქმა უნდა, ქე-
 თევანის წამების აღწერაც დამსწრეთა პირით მე-
 ხუთე მოქმედებაში – თვით წამება არაა სცენაზე
 წარმოდგენილი. მადლობა ღმერთს! საზარელია
 აგრეთვე, მეორე მოქმედების ბოლოში, შაჰაბაზის
 მიერ დახოცილ თავადთა ხორო, ე. ი. მათი გუნდის
 გოდება. მოვიყვან ერთ ადგილს, ტანჯვის იარაღთა
 ჩამოთვლით:

„პალო, როდინი, შამფური, ტყვია, ნაჯახი,
 რკინანი,
 ჯოხი, ხერხი, ცეცხლი, დაკუწვილი ლოყები,
 გახსნილი ფილტვი და გულნი შიშველ
 ქმნილნი,
 გრძლად ფართხალი ტკივილებში,
 ოდეს ჩვენ ნაწლევსა და ენას ამოგვკლევდნენ
 ეს იყო, რაც შაჰაბაზის თვალს ახარებდა...“

პირიქით სასიხარულო, მოხდენილი და აღფრ-

თოვანებულია მესამე მოქმედებაში ტყვე ქალწულთა ხორო ე. ი. მათი გუნდის გამოსვლა (ჰგონიათ რომ სამშობლოში დაბრუნდებიან. ეს არის მიზეზი მათი სიხარულისა).

ტყვე ქალწულთა ხორო

- 1 ტკბილო მხარევ, ვის მივესალმეთ,
ოდეს დღემ გაგვიცინა,
ჩვენთან ერთად თავისუფლება ახდილო
და სპარსეთის ბორკილებში სულის ვლაფავო,
შესწყვიტე ხანგრძლივი ჩივილი
და სიხარულად შეიცვალე შენი წუხილი,

- 2 აღმართე დამსხვრეულნი ასონი
ნაცრიდგან მხიარულადა!
სთქვი ახალი სასიხარულო სიმღერანი,
რათგან აწ სულ სრბოლაშია
შენი კეთილდღეობა შენთან შესახვედრად
და ფრიადის ხალისით დაგლოცავს!

- 3 თუმცა შენი სკიპტრა, კვერთხი და
 გვირგვინი
წელან მტვრად დაიბნა,
მაგრამ ის, ვინც სახელმწიფოთა და ტახტების
გამგებელია, მზღუარსა სდებს შენს მწუხარე-
 ბას
და აწ ისევე დაგიბრუნებს მას,
რომლითაც მარტოოდენ ძალგიძს სიცოცხლე.

- 4 სასტიკო სპარსეთო, იყავ კურთხეული!
შესძახეთ: საქართველოვ! გაგიმარჯოს!

20

ცავ, წვიმა გაგითავებია,
ქარნო, აწ დაწყნარდით!
გვაცალეთ, რათა ზეიმით აღსავსეთ
ვიწყოთ შინისაკენ სვლა.

- 5 დღეს გხედავ უკანასკნელად,
მდიდარო შირაზო, ღამე მშვიდობის!
თუნდაც ისპაჰანს ეს არ მოეწონოს,
ღმერთმა მაინც დაგვაბრუნა,
ვერც შეგვაშინებს შირვანი
თვისი თავებით აშენებული კომპებით,

- 6 კეთილშობილ მკვდარ თავებით,
 მრისხანე ხმაღმა რომ მოსრნა.
 დაგვასვენეთ ცოტა იქ
 სადაც უბიწო დედოფალი იჯდა.
 უფრო გვსურს ცოცხალ ვიყოთ
 და ჩვენი ქალწულობა არ უმსხვერპლოთ!
- 7 ნიმფნო მწვერვალებისანო,
 ქვიანი კლდეების გარშემო რომ ფრინავთ,
 რომ მღერით ძველი პალმების მწვანე კენწე-
 როებზე
 თქვენი ხმა შორს და განზედ
 კათარინის ხოტბად გააგებინეთ!
- 8 ადიდეთ არა მარტო მისი გამარჯვებანი
 და მისი არაოდეს შეშინებული სიმხნე,
 სახელოვანი საქმენი
 და მისი არაოდეს შებღალული სისხლი!
 იგალობეთ, რომ იგი წუხილშიაც გამთელდა
 და ბორკილებშიაც თავისუფალი იყო!

21

- 9 იგალობეთ, რომ უხეშ ზარსა
 გახურებული რისხვისას იგი დასცინის
 რომ ფერწასმულ ქებას
 შეყვარებული სიძვისა არაფრად აგდებს,
 რომ, თუმცა პერობილი,
 იგი მდიდარიცა და თავი თვისი ჰპოვავ.

ზემოდ ნათქვამი ეგების დაარწმუნებდა მკითხველს, რომ ანდრია გრიფიუსის ტრადედია ღირსია ცნობის მოყვარეობას და ყურადღებისა; და რომ ამ ნაწარმოების „გადმოქართულება“ ურიგო საქმე არ იქნებოდა.

თეიმურაზის „წამება ქეთევან დედოფლისა“ დაიბეჭდება მისი დაწერიტგან 300 წლის თავზე. ამ ანგარიშით მოსალოდნელია რომ 1657 წ. პირველად გამოქვეყნებული „კათარინა“ 1957 წ., მაინც დაიბეჭდება, რა თქმა უნდა ქართულად და არა „კათარინად“.*)

შაკაბაზის გამიჯნურება ამ ტრადედიის მთავარი კვანძია. მკითხველს ახსოვს: გრიფიუსის შაკაბაზი მტერია საქართველოსი და თეიმურაზის, რომლის დედა ამ მრისხანე ყეინის ხელშია; იგი მას

*) კარგა ხანია რაც ამ გერმანული ნაწერის არ-

სებობა აღნიშნულია ქართულ ლიტერატურაში, სახელდობრ 1904 წ. „ცნობის ფურცელში“. ამას ადასტურებს ივ. ჯავახიშვილი რუსულ გამოცემაში „ბიზანტიური ქრონიკა“ (ვიზანტ. ვრემენიკ) 1904 წ.

22

ტყვედ ჰყავს შირაზში. ხოლო მის გულში ჰღვივის დიდი სიყვარული დედოფლისა. ესაა ამ ტრადედიის მთავარი წინააღმდეგობა, ესაა რაც ჰქმნის ტრადედიას. აქ შაჰაბაზია ტრადიკული სახე.

ეს ტრფობის ჰანგი, ამ ნაწარმოებში უაღრესად მნიშვნელოვანი, გრიფიუსის გამოგონილი არ არის. ის უკვე მის მიერ გამოყენებულ ფრანგულ ნაწარმოებში გვაქვს. და ვგონებ იმისი თქმაც შეიძლება, რომ გრიფმა სწორედ მაშინ მოისურვა ქეთევანის ისტორიის ტრადედიად გადამუშავება, როდესაც მალენგრის წიგნში შემდეგი რამ წაიკითხა (იქ, ისტორიაში განთქმული საბედისწერო სიყვარულის სხვა და სხვა შემთხვევებია ჩამოთვლილი. მერე ავტორი დასძენს):

„... ხოლო აი ჩვენი დროის ერთი მაგალითიც, სხვებთან შედარებით არა ნაკლებად სახსოვარი. ეს ის მოქმედებაა, რომელიც **საქართველოს თეატრზედ გაიშალა** ამ ქვეყნის დედოფალის კატრინის (ქეთევანის) სახით, სპარსეთის მეფის **შაჰაბაზის** უპატიოსნო და სასტიკი **ვნების მიზეზით**“ (გვ. 475). საფიქრებელია, რომ გრიფიუსმა უცბად იგრძნო, რომ აქ იყო მისთვის კარგი სათეატრო თემა; ისეთი, სადაც სიყვარულს დიდი ადგილი ეჭირა და სწორედ ამას ეძებდა მაშინ გრიფიუსი. მისი პირველი ტრადედია, ბიზანტიურ მემატიანეთა ზონარას და კედრენისაგან ნასესხები შინაარსით „ლეო არმენიუს“ ე. ი. საბერძნეთის მე-8 საუკუნის მეფე ლეონ მეხუთე „სომეხად“ წოდებული, ასე ვსთქვათ, უსიყვარულო ნაწარმოები იყო, და თვით მგოსანი წინა-

23

სიტყვაობაში იუწყებოდა, ჩემ მომავალ ტრადედი-აში („კათარინა“) სიყვარულიც თავის ადგილს დაიჭერსო.

ეს ტრფობის ჰანგი არც კლოდ მალენგრის გამოგონილი იქნებოდა. მაგრამ მან ალბად გადააჭარბა, რაც გაგონილი ან სადმე წაკითხული ჰქონდა. მისი კრებული ჩვეულებრივი მკითხველისათვის დაწერილი, სენსაციური წიგნი იყო და მან სულ ბუნებრივად ეს სიყვარულის თემა განგებ გააზვიდა, რათა მისი მკითხველისათვის მოთხრობა უფრო

გასაგები გამხდარიყო და უფრო „სუბუქი“ წასაკითხავი. ყოველ შემთხვევაში ეს ჰანგი თავისი ვარიაციებით – „უპატიოსნო და სასტიკი ვნება“ მალენგრის, უფრო ღრმა და „პატიოსანი“ რამ გრიფიუსის გაგებით – სიტყვა-კაზმულ შემოქმედების და ოცნების სფეროს ეკუთვნის.

მართლა უყვარდა შაჰაბაზს ქეთევანი? ეს არ ემყარება სანდო ისტორიულ საბუთებს. ამაზე სდუმს პ. დელლა ვალლე; სდუმს თეიმურაზიც. მაგრამ თვით ეს გადმოცემა ანუ ჭორი ძველია. მისი ბუნდოვანი ნასახი გვაქვს მაგალითად, ისეთ ადრინდელ დოკუმენტში როგორცაა პატრი ამბროზიოს მოხსენება რომის პაპის ურბანის მიმართ, გორიდან 1629 წ. 27 აპრილის თარიღით. ეს ის პატრია, რომელმაც თეიმურაზს ისპაჰანიდგან წამოსულმა, ქეთევანის ნაწილი მოუტანა (იხ. აქ თავი მესამე). მისი თქმით შაჰაბაზმა დედოფალი აწამა ვინაიდან იგი სარწმუნოებას და ნამუსს ანუ უბიწოებას იცავდაო. („პროპტერ ფიდემ აკ კასტიტატემ სერვან-

24

დამ.“). ხოლო ეს საფუძვლიან მოწმობად ვერ ჩაითვლება. ეს მერე სხვებმაც განიმეორეს და გააზვიადეს, მაგალითად არაქელ თავრიზელმა. შარდენსაც ასე ჰქონდა გაგონილი, თუმცა არც ის ამტკიცებს ამ ვერსიას. ანტონ კათალიკოსი – მან იტალიელების და სომხების მოწმობანიც იცოდა – ამ საკითხში მნიშვნელობას უფრო თეიმურაზის დუმილს ანიჭებს, და ეს მართალიც უნდა იყოს.

შაჰაბაზის ტრფობა მით უფრო გამოგონილად უნდა ჩაითვალოს, რომ ქეთევანი 1624 წ. ხანში შესული მანდილოსანი იყო, (მისი შვილი თეიმურაზი 1589 წ. დაიბადა). ამგვარივე შეთხზული ტრფობის ამბავი მარიამ დედოფლის შესახებ, როსტომ მეფის ქვრივისა იხ. აქვე „სამი საბუთი“ს (№ 2) განმარტებაში.

გამოთქმულია აზრი, ვითომც მალენგრის ფრანგული მოთხრობა ერთად ერთი წყარო იყოს გრიფის ტრალედიისა. რომ ეს ასე არ არის, ესა სჩანს ზოგიერთ პიროვნებათა სახელებიდან, რომელნიც ამ წყაროში არ გვხვდება, და იქიდანაც, რომ გრიფს სცოდნია იმამ-ყული-ხანის დალუპვის ამბავი 1633 წ., ფრანგი მწერლისათვის უცნობი, და თავისუფლად გადაუსხვაფერებია მეხუთე მოქმედების ბოლოში.*) ისიც საყურადღებოა, რომ მას საქართველო სომხეთის ნაწილი ეგონა და სხვა. ამგვარ რამეებზე ვერ გავჩერდები. ეს მისი საქმე იყოს ვინც შემდეგში მოისურვებს ამ ტრალედიის წარმოშობა

და წყაროები უფრო დაწვრილებით შეისწავლოს. (დოქტორის ხარისხის შესაძენად რომელიმე ახალგაზრდა ქართველისათვის გერმანიაში კარგი დასამუშავებელი საგანია!)

მალენგრის ისტორიული ამბავი, ზოგიერთ გაზვიადებას და აქა იქ ტენდენციურ დამუშავებას თავი რომ დავანებოთ, უმნიშვნელო როდია კერძოდ გიორგი სააკაძის, „დიდი მოურავის“ ლეგენდის და ისტორიის გამოსარკვევადაც. მასში გვაქვს ზოგადი, ზერელე მიმოხილვა იმისა, რაც ქართლ-კახეთში მოხდა დაახლოებით 20-30 წლის განმავლობაში. ჯერ ლაპარაკია საერთოდ სიყვარულის ძალაზე, ისტორიული მაგალითებია მოყვანილი – სემირამიდა, ელენე და სხვა (§§ 1-5); საქართველოს მეფეთა დაღუპვის მიზეზად შაჰაბაზის ტრფობა აღიარებული (§ 6). მერე აღნუსხულია მოურავის გამგებლობა ტფილისში ხონთქრის დასტურით, ხოლო კახეთის (მალენგრით „ივერიის“) სამეფოს სპარსული გეზი; ალ კახელისაგან თავისი ძის დავითის და ქეთევანის დაქორწინება; თეიმურაზის, მათი შვილის აღზრდა შაჰაბაზთან; ალექსანდრე და გიორგის მკვლელობა, კონსტანტინეს ცდა, რათა ხელში ჩაეგდო სამეფო. მისი დამარცხება, სიკვდილი, და თეიმურაზის დაბრუნება თავის დედასთან (§§ 7, 20). შემდეგში მოთხრობილია ლუარსაბ-თეიმურაზის კავშირი, შაჰაბაზის მტრული განზრახვა, მათი ცდა ხონთქართან დაახლოებისა (§§ 21-25); ყენისაგან თავისი სიყვარულის ქეთევანის მიმართ გამჟღავნება (26). 50 კეთილშობილის დახოცვა

შაჰაბაზის მიერ; დედოფლის ტყვედ წაყვანა; მოურავის გამაჰმადიანება. იგი ხდება ყენის იარაღი ქართველების წინააღმდეგ (27-30). მოურავის მიერ მოწყობილი აჯანყების ისტორია (31-35). ქეთევანის წამება (§§ 36-43).

მოვიყვან ამ უ კანასკნელი მუხლების სათაურებს: 37. (ყენი) მოითხოვს რათა უარჰყოს სარწმუნოება. 38. მისი ქველი პასუხი; 39. სპარსეთის მეფე უბრძანებს პრინც იმა(მ) ყული (ხანს) მოაკვლევინოს იგი. 40. ამ დედოფლის უკადრისი ტანჯვა. 41. მის გვამს სწვამენ ხორაზე. 42. მისი ძვლე-

ბი შეგროვილია ზოგიერთ ქრისტიანთა მიერ. 43. მე მისი თეიმურაზ მის თავს ოქროს ლუსკუმაში (ანუ კუბოში) ათავსებინებს.*)

მაგრამ რას ემყარება თვით ეს ფრანგული მოთხრობა? კლოდ მალენგრის თხზულება დაბეჭდილია 1635 წ. და ეხება უმთავრესად 1600-1628 წ. წ. მომხდარ ამბებს. მისი ცნობების სადაურობა ირკვევა მოთხრობის ერთი ადგილიდან. როცა დედოფალის წამება საბოლოოდ გარდაუწყვეტიათ და მის შესრულებას შესდგომიან, მას „სწრაფად მოუთხოვია პორტუგალელ აგვისტინიან მამათა სავანიდგან ერთი მღვდელი გამოეგზავნათ.“ უფროსი, სახელად მამა ამბროსი მისულა და მასთან ერთი სხვა მამაც, სახელად ანტონი. უნდა შევნიშნო – განაგრძობს ავტორი – რომ დედოფალი აქამდე ქრისტიანი განდგომილი (სქიზმატიკი) და

*) 1628 წ.

მწვალელები იყო, სარწმუნოებით ბერძენი (ე. ი. მართლმადიდებელი), აწ კი მოქცა კათოლიკობაზე მამა ამბროსის ხელში, ვისგანაც აღსარების შემდეგ უკანასკნელი კურთხევაც მიიღოვო." (გვ. 527-528). იქვე ნათქვამია (531), რომ „მამა ამბროსიმ, აღსრულებული დედოფლის აღმსარებელმა მისი თავი შვილს თეიმურაზს (თამარას ხანს) გაუგზავნა, რომელმაც იგი მწუხარების ცრემლებით მიიღო... და ამ საშუალებით აგვისტინიანმა მამებმა კარი გააღებინეს ამ ივერიის (ე. ი. კახეთის) სამეფოში შესასვლელად“ო და სხვ.

მალენგრის ცნობები ამოღებულია ალბად აგვისტინიან კათოლიკე მისსიონერთა რომელიმე მოხსენებიდან; ყოველ შემთხვევაში, ამ წყაროდან მომდინარეობს თვით ქეთევანის მარტვილობის აღწერა, მერე მისი „ძვლების“ ხსენება. რასაც მალენგრი ამბობს მამა ამბროსიზე, ამას ნაწილობრივ სხვა საბუთებიც ადასტურებენ. ცნობილია თეიმურაზ პირველის, კახეთის მეფის ერთი ლათინური წერილი ურბან მერვის მიმართ, რომის პაპისა, 5 იანვრის 1629 წ. თარიღით, სადაც მოხსენებულია ქეთევანის ნაწილთა მოტანა ისპაჰანიდგან 1628 წ. და დასახელებულია სწორედ მალენგრის ნაწერიდანაც ცნობილი ამეროსი – მამა ამბროზიო, აგვისტინიანთა ორდენის წევრი (იხ. ეს საბუთი თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, გვ. 618-619). მაგრამ ამ საგანზე მეტს ვამბობ ამ წიგნის მესამე თავში.

მეში ტენდენციურია. ასეთია მაგალითად და სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს მისი მტკიცება, ვითომც ქეთევანს უკანასკნელ წუთში კათოლიკობა მიეღოს. იგი ამ ნაწერში ალბად იმიტომ გააკათოლიკეს, რომ კათოლიკე მკითხველისათვის უფრო საგრძნობი გამხდარიყო მისი წამება. თორემ სწორედ ამ აგვისტინიანთა წესის მამათა ერთ ოფიციალურ მოხსენებაში რომის პროპაგანდის სახელზედ 1640 წ. გარკვეულად ნათქვამია, რომ ქეთევანი თუმცა მართლმადიდებელი იყო, მეტად მეგობრულად იქცეოდა კათოლიკეთა მიმართო და სხვ.

ამ ფრანგული მოთხრობის დამწერი, კლოდ მალენგრი გამოცდილი კომპილატორი იყო, თანაც ისეთი, ვისაც არ უყვარდა თავის წყაროების გამჟღავნება. მას შეეძლო სხვა და სხვა სახით ცნობები ჰქონოდა ქართველ მეფეთა ბედ-იღბალზე: ზეპირად ნაამბობი, დაწერილი (რომელიმე მოხსენება), დაბეჭდილიც და აქედან შეედგინა თვისი მიმოხილვა. გაგონილის გადასხვაფერებაც შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, როცა დასაწყისში ავტორი თხზავს თავის ზოგად მოსაზრებას იმაზე, თუ როგორი საბედისწეროა ზოგჯერ სიყვარულის ზედგავლენა სახელმწიფო საქმეებზედაც. – ეს ზოგადი აზრი მისი საკუთარი იქნება.

ალექსანდრე კახელის და მისი შვილის (გიორგის) მკვლელობის და მერე მამის და ძმის მკვლელის კონსტანტინე ბატონიშვილის (კუსტენდილ მირზას) დაღუპვის ამბავი მას შეეძლო შაჰაბაზის ისტორიკოსის ანტონიო დე გუვეა-ს წიგნშიაც წაკითხა, (ესეც დიდი პიროვნება იყო აგვისტინიან-

თა იერარქიაში), რომელიც დაიბეჭდა ლისაბონში 1610 წ. მაგრამ უფრო საფიქრებელია რომ ფრანგს აქ ერთგვარად დამუშავებული აქვს ისეთი მოხსენება ანუ ინფორმაცია, რომლის პირველი წყარო აგვისტინიანთა წრე იქნებოდა თვით სპარსეთში, უმთავრესად ისპაჰანს. მათი წესის პატრი ქეთევანს უკანასკნელ წუთში რომ გვერდს ედგა და ამხნევებდა, ამ ორდენის წევრთათვის დიდი საამაყო საქმე იქნებოდა. მისი სახელიც აქვს მოხსენებული მალენგრს – ამბრუაზ ანუ ამბროსი. ცხადია ეს უბრალო ანარეკლია იმ ფაქტისა, რომ ამბროზიოსს მართლაც გაატანეს ისპაანიდგან იქაურმა

ავგუსტინიანებმა ქეთევანის ძეგლები და მან მოიტანა საქართველოში და თეიმურაზს ჩააბარა ქ. გორში 6 ივნისს 1628 წ. ცნობილია თვით პატრის წერილი პაპის მიმართ 27 აპრილის 1629 წ. ამ ამბის მოხსენებით, ხოლო სდუმს იმაზე, რასაც კ. მალენგრი ასე ხაზს უსვამს, თითქოს დედოფალის აღმსარებელი ყოფილიყოს წამების დღეს ეს მღვდელი. მაგრამ ფრხნგულ ნაწერიდგან გრიფიუსმაც ეს შეითვისა, და მის ტრალედიამი მომქმედ პირთა შორის მღვდელი ამბროზიცა გვყავს (წამებული დედოფლის თავით ხელში).

1640 წლის ოფიციალური მოხსენებიდგან ნათლად ირკვევა რომ ქეთევანს არც კი უნახავს ეს ამბროსი, ხოლო მისი ამაღლა, სულ 40-მდე სული, მის ეკლესიაში მიდიოდა და წირვას ესწრებოდა და სხვ. (ესეც საეჭვოა. იხ. აქ თავი მეორე და მესამე).

შემდარია აგრეთვე მალენგრი, როცა ამბობს,

30

რომ ამბროზი ნაწილი თეიმურაზს გაუგზავნაო. ნამდვილად საქართველოში თვით ამბროზი წავიდა.

მრავალია შეცდომები ამ მოთხრობის პოლიტიკურ ინფორმაციაში, მაგრამ ამ მხრივაც მას თავისი ფასი აქვს, ვინაიდან ეს ინფორმაცია ადრინდელია და მასში გვაქვს გამოძახილი ალბად იმ ცნობებისა, რომელიც ტრიალებდა ისპაჰანს და შირაზში სპარსელთა და ევროპიელთა წრეებში შაჰაბაზის მეფობის სულ უკანასკნელ წუთებში. გავჩერდები ორიოდე კითხვაზე.

მალენგრით, მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინეს მოკვლა კახელებისაგან – მოხდა ქეთევანის მონაწილეობით, ისეთ პირობებში, თითქო დედოფალმა სისხლის ასაღებად თითონ მოაკვლევინა (§ 16-17). რომ ბევრს ასე ესმოდა ერთი სხვა მნიშვნელოვანი ნათქვამიდანაცა სჩანს. ახალგაზრდა ინგლისელ დიპლომატსაც თ. ჰერბერტს (იხ. აქ თავი მე-4) ჩაწერილი აქვს რობერტ შერლისაგან სპარსეთში გაგონილიდგან. თითქოს დედოფალს კონსტანტინე სალაპარაკოდ მოეწვიოს და მოეკვლევინოს, და ქეთევანს იხსენიებს, ვითარცა „ამაზონს“.*) სპარსელებს კონსტანტინეს

*) „ამაზონების“ ამგვარი ხსენება ძველ მოგზაურთა მიერ ზოგჯერ ქართველი ქალების კარგი ცხენოსნობითაცაა ასახსნელი. ისიც ახსოვდათ რომ ზღაპრულ ამაზონებს, სხვათა შორის, სადღაც შავზღვის და კავკასიონის მიდამოებში უნდა ეცხოვრათ.

დალუპვა ძალიან ეწყინათ, იგი ხომ მათ საქმესაც აკეთებდა საქართველოში, ამისათვის აქ უეჭველად ტენდენციურ სპარსულ გაგებასთან გვაქვს საქმეს. არსებითად კი ეჭვიც არ უნდა გვქონდეს, რომ ქეთევანი კონსტანტინეს წინააღმდეგ ამ ბრძოლის უთუოდ სულის ჩამდგმელი იყო. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ყოფილა თავის დროზე კახეთის სამეფოს გამგებელი და მონაწილე სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობისა. ისეთი სრული იყო მისი დედოფლობა, რომ სპარსელებს „დედუფალ“ მისი სახელი ეგონათ. ქეთევანის პირადი სიმხნე და მნიშვნელობა თუნდაც იმ შეხვედრაშიც კარგად იხატება, რომელიც მას შაჰაბაზთან ჰქონდა 1607 წ. შამახიასთან ირანელთა ბანაკში. მაშინ აღდგენილ იქმნა კახეთის და სპარსეთის კავშირი, კონსტანტინეს მკვლელობით თითქმის დარღვეული.

ქეთევანის წამებაზე ჰერბერტი არაფერს ამბობს, მაგრამ მისი მოკლე შენიშვნა დიდ მოურავზე საყურადღებოა. იხსენიებს რა, მისი მეთაურობით სპარსელების ამოწყვეტას (ნორიო-მარტყოფს 1625 წ.) იგი მის ამ მოქმედებას ისე ხსნის, რომ მოურავმა ამით შაჰაბაზს სამაგიერო გადაუხადა იმ საშინელი დანგრევა მოოხრებისა, რომელიც სპარსელებმა საქართველოში ჩაიდინესო. ჰერბერტი ამბობს, რომ „მორადმა“ არ იცოდა რა გზით ეძია შური, და მოიქცა რიგორც „სხვა ზოპიროს“ ე. ი. მსგავსად იმ სპარსელი სატრაპისა, დარიოსის დიდი ერთგულის, რომელთ მისი მტრის ციხეში შევიდა, იქაურებს საკუთარი ხელით დაჭრილი სახე აჩვენა,

32

აი რა მიყო ჩემმა მეფემო. მე აწ თქვენი ვარო და მერე, როცა იგი სარდლად ამოირჩიეს, ციხეში დარიოსის სპარსელები შეუშვა ჰეროდოტესაგან. ამ ამბის ხსენებით ნასწავლ ახალგაზრდა ინგლისელს იმისი თქმა უნდოდა, რომ გიორგი სააკაძეს ასულდგმულებდა მამულიშვილური მისწრაფება მისი სამშობლოს მტარვალისათვის სამაგიერო გადაეხადნა, და ამისათვის მიემხრო შაჰაბაზს. ეს ვგონებ ყველაზე ადრინდელი (1628 წ.) კვალია საქმის იმ გაგებისა, სააკაძისათვის სასახელო, რომელმაც შემდეგში იოსებ ტფილელის „დიდ-მოურავიანში“ მიიღო სრული სახე. პირიქით, და თითქმის მაშინვე პ. დელლა ვალლემ ხომ მის წინააღმდეგ ის ბრალდება წამოაყენა, რომ მეფე ქართლისა ლუარსაბ შაჰაბა-

ზმა დიდი მოურავის კარნახით მოაკვლევინაო (1628 წელს ვენეციაში დაბეჭდილ შესანიშნავ ნაწერში „დელლე კონდიციონი“..., უმთავრესად კი მის 1627 წ. „ინფორმაციაში“, სადაც ვალლე საერთოდ არ ზოგავს სააკაძის პიროვნებას).

ამ მხრივ საყურადღებოა მალენგრის ამბავშიაც მიცემული, ორი ხსენებულის თითქმის თანამედროვე, გაცილებით უფრო ვრცელი და საშუალო გზის ანუ შეხედულების მაჩვენებელი ვერსია. აქ მოურავი ჯერ იარაღია სპარსეთისა ქართველების წინააღმდეგ, მერე კი სპარსეთის მოღალატე და ქართველების ძლევა მოსილი მეთაური. ამ გაგებასაც თავისი მომავალი ჰქონდა.

უნდა ითქვას. რომ ამ ადრინდელ მოწმობათაგანში მხოლოდ ვალლეს „ინფორმაცია“-ში იხსენი-

33

ება ლუარსაბ ქართლის მეფის და გიორგი სააკაძის დაის ურთიერთობა და ამ ნიადაგზე მოურავის გაორგულება, შაჰაბაზთან მისვლა, შურის ძიება და სხვა – მერმინდელ მწერალთა მიერ აღწერილი და კარგად ცნობილი ისტორია.

ფრანგულ ნაწერში და მასზე დამოკიდებულ გერმანულ ნაწარმოებშიც ამბავთა მსვლელობა ისეთია, რომ ჯერ ხდება მოურავის ხელმძღვანელობით აჯანყება და თეიმურაზიც (გონიიდან) საქართველოში ბრუნდება, ხოლო ამის შემდეგ შირაზში ქეთევანს აწამებენ. საქმის ნამდვილი ვითარება სხვა იყო, და თუმცა მოქმედებათა ქრონოლოგია ზოგ რამეში არ ჩაითვლება საბოლოოდ დადგენილად, არა მგონია, რომ ამ მხრივ ბევრი შეცდომა მოიპოვებოდეს წინამდებარე „თეიმურაზ პირველში“. საყურადღებო კია, რომ ბატონიშვილი ვახუშტის აზრითაც მოურავის აჯანყება ქეთევანის წამებაზე ადრინდელი ამბავია და მ. ბროსესაც ერთ დროს ასე ეგონა. მაგრამ დაწვრილებით ამგვარი საკითხების გარჩევა, ისევე როგორც საისტორიო წყაროების მიმოხილვა და ამ ეპოქაზე უკვე დაწერილის გადასინჯვა მეტს ადგილს მოითხოვდა და უფრო შეეფერებოდა რომელიმე ვრცელ შრომას, შაჰაბაზის დროინდელ საქართველოზე და არა ისეთს ცდას, რომელიც უმთავრესად ეხება თეიმურაზის პოემას „წამება ქეთევან დედუფლისა“ და მას არკვევს, რიგორც სლიტერატურო ნაწარმოებს და საისტორიო ჩვენებას.

აქვე დამატებაში დაბეჭდილი „სამი ისტორიუ-

ლი საბუთი" კარგად ახასიათებს საქართველოს მდგომარეობას მეჩვიდმეტე საუკუნეში, კერძოდ როსტომ მეფის ხანას და ამ მეფის გამარჯვება ხომ შედეგია თეიმურაზის მიერ წარმოებული პოლიტიკისა (იხ. თავი მე-6), ასე რომ მათი აქ მოთავსება არც ისე ხლოვნურია და ნაძალადევი.

როგორც თეიმურაზის და სხვათა ბრძოლამ ირანოფილური რეაქცია გამოიწვია ტფილისში როსტომისა და მერე ვახტანგ მეხუთე ანუ შაჰნავაზის ბატონობის დამყარებით, ამგვარადვე მათმა მიმართულებამ შემდეგში, მეთვრამეტე საუკუნეში საწინააღმდეგო ქრისტიანულ-რუსოფილურ მიდრეკილებას დაუთმო ადგილი, იმ მიდრეკილებას, რომელმაც საქართველოს ბედი რუსეთის იმპერიას დაუკავშირა და რომლის წარმოშობა გაუგებარია. თუ კი მე-17 საუკუნის ნამდვილი ვითარება, პოლიტიკური, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი არ გვეჩვენა გათვალისწინებული, ამით ამ ეპოქის შესწავლასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

განზრახული მქონდა ამ წიგნში ის ზოგადი პოლიტიკური მიმოხილვაც შემეტანა ქართულ-სპარსული ურთიერთობისა, რომელიც რუსულად დაიბეჭდა ჟურნალ „კავკაზ“ში (პარიზი, 1936-37; № 35, 37, 39) 40). ეს იმ ხუთი საისტორიო ცდის (დელი სიმონ; მამის-მკვლელი კოსტანტინე; შაჰაბაზი და საქართველო – სამ ნარკვევად.) ქართული გამოცემა იქნებოდა გაფართოვებული და ზოგი ნაკლებად ცნობილი მასალით შევსებული. ამით მკითხველს იმ დროინდელი პოლიტიკური გარემოს გაგება ცოტა გაუადვილდებოდა. წიგნის გამოცემა სუ-

რათებით ადვილად შეიძლებოდა. მთელი რიგი პირებისა, აქ აღწერილ ბრძოლებსა და შემთხვევებში რომ მოქმედობენ, იტალიელი პატრი, ქრისტეფორე კასტელის ნახატებში გვხვდება. სახელდობრ: თეიმურაზ პირველი (იხ. მისი სახე „ანლოგის“ მეორე წიგნში. ტფილისი 1928), ლევან დადიანი, ალექსანდრე მესამე იმერელი, დავით შირაზელი უნდილაძე, მამუკა ბატონიშვილი, გიორგი სააკაძე. მარიამ დედოფლის სახეც აქ უადგილო არ იქნებოდა (იხ. „სამი საბუთი“) და ცნობილია მცხეთის ტაძრის ფრესკით თავისი ძე ოტია გურიელის (მოიპოვება გაგარინის და შტაკელბერგის დიდ ალბომში „მხატვრული კავკასია“ პარიზი 1847), აგრეთვე მოქარგულია ერთ „გარდამო-

ხსნაზე" (იხ. 1930 წ. გერმანიაში მოწყობილი ძველი ქართული ხელოვნების გამოფენის კატალოგი). ალექსანდრე კახელისა და როსტომ მეფის ძველი სურათებიც ვიცით. იმამ-ყული-ხანისა კი არსად მახსოვს, ხოლო შაჰაბაზისა ზოგერთი ახლად გამოქვეყნებულია საინტერესო. მაგრამ ქეთევანის ძველი თუ არსებობს სადმე, არ ვიცი.

ამგვარად შევსებული და დასურათებული გამოცემა მეტს მუშაობას, მეტს ხარჯსაც მოითხოვდა, და ძნელი სათქმელია, რომ საამისო მოთხოვნილება იყოს. ამ პირობებში ზედმეტ და უმიზნო ფუფუნებად ჩაითვლებოდა. რასაც ვაქვეყნებ, ესეც საკმარისია, და უფრო იმიტომ ვბეჭდავ რომ, რაც აქ ახალია და აქამდინ უცნობი, თუ კი არის ასეთი რამ, არ დაიკარგოს.

ზ. ა.

თებერვალი 1938.

36

თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“

თავი პირველი

პოემისათვის

„ღეაწლ მრავალი და სამგზის სანატრელი დედათა შორის, ახოვანი დედოფალი და მოწამე, ყოვლად ქებული ქეთევანი“ – ამ სიტყვებით იხსენიებს კახთა მეფის, თეიმურაზ პირველის დედას მეთვრამეტე საუკუნეში შედგენილი ერთი ქართული ქრონიკა. მართლაც, აშოთან მუხრან-ბატონის ასული ქართველ გმირთა რიცხვს ეკუთვნის. მისი წამება კარგად არის ცნობილი; აღწერილია არა ერთხელ და გამომახილიც მოიპოვა საეკლესიო და მორწმუნეთა წრეებში აღმოსავლეთსა და დასავლეთშიაც.

„ერთი ჩვენი პოეტისა არ იყოს, ამბობს ქეთევანზე მისი თანამედროვე **პეტრე დელლა ვალლე**, გამოჩენილი იტალიელი მოგზაური, აქებს რა დედოფლის კეთილშობილ პიროვნებას და მაღალ ღირსებას, მასზე ან პოემა ან და ისტორია იქნებოდა და-

საწერი. ხოლო არცა ვარ მოცლილი რომ ისე ვსთქვა როგორც შეეფერება საგნის სიდიადეს, და ვერც ჩემი ბეჭები ესოდენ მძიმე ტვირთს აიტანდნენ."

რაც არ დასცალდა ამ იტალიელს, ის, თუმცა სხვა სახით, ერთმა ცნობილმა გერმანელმა შეასრულა. ქეთევანის წამება დამუშავებულია ლირიკოსის და

41

დრამატურგის ანდრია გრიფიუსის *) ნაწარმოებში: კათარინა ფონ გეორგიენ (1657).

„ტვირთის სიმძიმემ ვერც ქეთევანის შვილი შეაშინა. თეიმურაზ პირველმა თავის დედის წამებას განსაკუთრებული პოემა უძღვნა.

ეს იქნებოდა დაახლოვებით 1628 წელს, ხოლო დაბეჭდილია პირველად 1928 წელს, ე. ი. სამი საუკუნის დაგვიანებით; ხელნაწერს კი წინადაც იცნობდნენ ზოგიერთნი. ეს ლექსად დაწერილი მარტვილობაა. მას არც აღფრთოვანება აკლია, არც მოხდენილი ოსტატობა, მაგრამ მგოსანი წამებულის ღვიძლი შვილია. ეს წამება ხომ მისთვის საზარელი განცდა იქნებოდა. ამისათვის პოემაში ქეთევანის ღვაწლთან ერთად თეიმურაზის პირადი გულის კენესა და ტკივილიც უხვი სიტყვიერებით იხატება.

კიდევ მეტი: დედოფალი და თეიმურაზის ორი შვილი, ალექსანდრე და ლევან, შაჰაბაზს 1614 წ. მძევლად და ტყვედ იმიტომ წაეყვანა, რომ თვითონ თეიმურაზმა ირჩია მასთან არ მისულიყო. იმ დროინდელ სპარსეთში კი მძევლად წაყვანილნი თავიდგან განწირულნი იყვნენ: ისეთს პოლიტიკას მისდევდა თეიმურაზი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებულ ხანგრძლივ და საქართველოსათვის მრავალნაირად სახიფათო ბრძოლაში. მასასადამე, ხომ თვითონაც მათი, თუნდაც უნებური,

*) იხ. ზემოდ, წინასიტყვაობაში.

42

დამღუპველი ყოფილა! ამის შეგნებას მეფე-ალიოგრაფი არ ამჟღავნებს. მას სუყველაფრის თქმა არ შეუძლია და არც უნდა. მაგრამ სხვა რა იქნებოდა მისი უაღრესი სინანულის მიზეზი – იმ მწარე სინანულისა, აქ რომ მის მწუხარებას ასე აზვიადებს? მართლაც ძნელი, რთული, არა ჩვეულებრივი რამ

იყო ამ პოემის დაწერა! აქ მელექსე რითმებს ეძებს, შვილი წამებულ დედას შესტირის და მეფე-პოლიტიკოსი იმის ცდაშია, რომ მომხდარ ამბავთა მოთხრობა შეამოკლოს.

15, 1-2:

რალას ვაგრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას ში-
რაზისასა,
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა
მზისასა...

ზოგიერთი მოგონება მას ალბად აწუხებს. კახეთის აოხრების ამბავს რომ იხსენიებს, თითონ რასა შერებოდა, ამაზე სდუმს... შაკაბაზს დედოფელი)

12.

ხელ შეპყრობილი დაეგდო იგ განჯას პატი-
მარია,
სადა ყმა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა
ჯარია,
რომ მის მცველზედა ეხმარა თავისა საკვე-
თარია,
ბორკილიდალმე აეხსნა იგ ყოვლთა საქება-
რია?!

43

სადა ყვა ხელმწიფე შვილი? პასუხი მარტივია: თეიმურაზი მაშინ იმერეთში დაიძალა. თვით 1624 წ. მომხდარ წამებაზე იგი სჩივის:

67:

ვამე იმ დღისა მხსენესა, დამვიწყდა დღენი
წინანი!
მკერდით ზურგამდის გაავლეს გახურვებულ-
ნი რკინანი,
მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ
ცრემლთა მდინანი.

თუ კი მის დედას „გახურვებული რკინანი“ და მის შვილებს დოსტაქარის დანა ერგო წილად (იგინი დაასაჭურისეს შირაზშივე 1618 წ. ერთი მაშინვე მოკვდა, მეორემ დიდ ხანს იცოცხლა), ესეც შედეგად ჩაითვლება მისი ოსმალეთთან დაკავშირებისა და მეგობრობისა ისეთ დროს, როცა ოსმალებმა კინაღამ ხელმეორედ თამრიზ-არდაველი დაიპყრეს და სპარსეთი დროებით დიდ საშიშროებას განიცდიდა. კერძოთ 1624 წელს იგი სტუმარი

იყო ოსმალეთისა ბათუმთან ახლო, გონიაში, შაჰ-
აბაზისათვის ხელმიუწვდომელი.

ამ სახით გამოთქმული თეიმურაზის სინანული, აქ ცოტა ნაძალადევია და ხელოვნური. მთელ პოე-
მაზე ეს არ ითქმის. წამება აღწერილია დიდი დრა-
მატიზმით და ძალით, „ახოვანი“ დედოფლის და
მის მხლებელთა დაპირისპირებით.

44

59, 2-3:

შეიპყრეს ხელთა მნათობი იგი უებრო სახია,
წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერვინ სთქვა
სიტყვა მჭახია.

ქრისტიანული პოეზიის მაღალი ნიმუშია ქეთე-
ვანის უკანასკნელი ლოცვა. თეიმურაზი გულწრ-
ფელი და ნაკითხი მართლმადიდებელია, და მისი
რწმენის სიმხურვალე და წერის ნიჭი ასეთი ძნელი
თემის დამუშავებასაც უადვილებენ.

40:

უცხოდ რამ შევშინებულვარ მძლავრთა ჰაე-
რის მცველთაგან*)
ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველ-
თაგან,
ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ განიშორებ ხელ-
თაგან,
წამებულნო და წმინდანო გამომიხსენით
ბნელთაგან!

41. 1-2:

ჰე მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგო-
მასა,
ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ
მარჯვენით დგომასა...

*) „ჰაერის-მცველნი“ ს. ორბელიანის განმარტე-
ბით, „არიან ეშმაკნი“, რომელნიც „ჰაერთა შინა
დაშთენ“, როდესაც დანარჩენები „ჯოჯოხეთად
შთახდენ“; ძველი დემონოლოგიის ანუ ეშმაკთ-

45

სინანულისა და ცოდვათა აღსარებაშიც მჭერმე-
ტყველია თეიმურაზი:

80:

ოდესმე წარვდგე შიშველი, ქედ დახრით და-

ყმუნებული,
ოდიდგან ცოდვით მოსილი, არ მადლით გან-
ბრწყინვებული,
ორგნითვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკნელ
წარჩინებული,
მიმელის მატლი უძილო და ცეცხლი აღტყი-
ნებული...

პოემის ზოგადი ელფერი, ბევრ ადგილას, რასაკ-
ვირველია, სარწმუნოებრივია და მწიგნობრული;
პოეტის მწიგნობრობაც ხომ ორგვარი იყო: ქართ-
ულ-ბერძნული და ქართულ-სპარსული. აქ „ემპლა-
სტროს“-საც წაიკითხავთ (მალამოა) და, თვით წა-
მების აღწერაში, ასეთ რამესაცა:

68, 1-2:
ქვემ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა
რკინანი.
ქვე წაიარეს, გააპეს **ბროლი, ლალი და მინანი**.

ასეთი საექვო გემოვნების ლექსი იშვიათია ამ
ნაწარმოებში. მას უფრო ახასიათებს გრძნობათა
ძალა, აღელვებული რიტორობაც.

მცოდნეობის ამგვარი წარმოდგენა მე-17 საუკუნე-
შიაც ცოცხალი იყო.

46

ორგვარი – საერო და სასულიერო – მწიგნობ-
რობის ნაყოფია ასეთი შაირებიც:

75, 3-4:
მას სიკვდილი ვერ მოკლევდა, ღვთის ტრფი-
ალსა მინა-სათსა,
ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა კი-
ბისასა.

აქ **მინა-სათი** რუსთველის და სხვათა სალიტე-
რატურო გადმოცემას ეკუთვნის, კიბე-კი იმ
იოვანე სინელის „**სამოთხის კიბესა**“, რომელიც
იქვე (82, 4) იხსენიება:

თვარე მას უხმდეს მეტყველნი, თვით იოვანე
სინელი...

ამ მე-6 საუკუნის მამას ხომ მეტი სახელიც ჰქო-
ნდა – კლიმაკოსი (კლიმაქს – კიბე).

პოემაზე*) ზოგად საუბარს აქ არ გავაგრძელებ.

მისი ნაწყვეტები კიდევ მოსაყვანი იქნება. მასში ზედმეტი სტროფებიც მოიპოვება. თეიმურაზი ხომ თვითონაც აცხადებს:

*) დაბეჭდილია პირველად „ანთოლოგია“ში (წიგნი მე-2. ტფილისი, 1928). იხ. აგრეთვე: თეიმურაზ პირველი. თხზულებანი ალ. ბარამიძეს და გ. ჯაკობიას რედაქციით. (ტფილისი 1934).

47

84. 1-4:

ვინცა ლექსი მოუმატოს მე არა ვარ მომდუ-
რავი...
მე ოთხმოცი ლექსი მითქვამს, სულ ეს არი
ბოლო თავი.

„ლექსი“ ალბად ხანას, სტროფს ნიშნავს, და თუ მან 80 „თქვა“, დაბეჭდილ 84-ში ოთხი ხომ დამატებულია. მაგალითად:

77.

ვით ითქმის ქება მეფისა ღვთივ დაცულ, და-
ფარულისა,
აწ დაუმკვიდრა დოვლათი ეტლითგან არ ფა-
რულისა,
მას მიენიჭა უფლება ამ საწუთროსა სრულისა,
მოშორება აქვს ვეშაპსა ღრუბელთა მთარუ-
ლისა...

ამას ხომ თავის თავზე თეიმურაზი არ იტყოდა. აქ აშკარად იგულისხმება მისი საქართველოში დაბრუნება და სამეფოს დაპყრობა 1625 წელს, როცა შაჰაბაზი („ვეშაპი“) „მოშორებით“ იყო. ეს სხვისი ნათქვამია და „მოუმატეს“.

პოემის მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიაში უდავოა. ეს ალბად პირველი მაგალითია ცოცხალი ისტორიული თემის, და არა ჩვეულებრივი ზღაპრულ-ეპიკური მასალის პოეტური დამუშავებისა; და ეს თეიმურაზის უექველი დიდი დამსახურებაა.

48

თავი მეორე

შირაზის ტყვეობა.

ქეთევანის წამების გალექსილ ისტორიაში თეი-

მურაზი ეხება შაჰაბაზის მოქმედებას საქართველოში, დედოფლის ტყვეობას შირაზში და მის საშინელ აღსასრულს, მის ნაწილთა ამბავსაც. ჩვენ ვეცდებით ამ პოემის ზოგიერთი ბუნდოვანი მტკიცება განვიხილოთ და სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობებით შევაფასოთ; თანაც ზოგიერთი გარემოება გამოვარკვიოთ, აქამდე უყურადღებოდ დარჩენილი. მათი გაგება და გათვალისწინება აუცილებელია, თუ კი გვსურს იმდროინდელი სინამდვილე ვიცოდეთ, და არა მისი ცალმხრივი და გადასხვაფერებული სახე.

არაფერს ვიტყვი ქეთევანის ადრინდელ მოღვაწეობაზე კახეთის სათავეში, 1605 წ. და შემდეგ; არც იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ მეგობრობით და მამა-შვილობით დაწყებული შაჰაბაზის და თეიმურაზის კავშირი 1624 წ. მისი დედის პოლიტიკური მკვლევლობით („წამებით“) დასრულდა; როგორ მოხდა, რომ სპარსეთის წინაშე დიდათ დამსახურებული და 1600 წ-გან ოსმალთა ტყვეობაში მყოფ ქართლის მეფე სვიმონის შვილის-შვილი ლუარსაბიც, ამ სახელით მეორე, იქვე შირაზის ქვეყანაში,

51

ხოლო ქეთევანზე ადრე (1620 წ.) ჯალათის ხელით მოიკლა. ამისათვის დაგვჭირდებოდა, თუნდაც მოკლედ, ლიხთ – აქეთი და ლიხთ – იქითი საქართველოს მდგომარეობა, პოლიტიკური და საერთაშორისო, წარმოგვედგინა, მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში და ის პირობებიც, რომლის ნაყოფი იყო გიორში სააკაძისა – „დიდ მოურავის“ ცნობილი ისტორია და სხვა. საამისო ადგილი არა გვაქვს. ჩვენ საუბარი გვექნება ჯერ, მოკლედ, დედოფლის ცხოვრებაზე ქ. შირაზს; მერე, გაკვირვებით, მისი ნაშთის საკითხზე; უმთავრესად კი ქეთევანის წამების პოლიტიკურ ეპილოგზე, რომელიც საქართველოს იმ დროის მდგომარეობას თავისებურად აშუქებს. ჯერ ისევ თეიმურაზის წამებას დაუბრუნდეთ.

რასაკვირველია, იმის აღსადგენად თუ როგორ ცხოვრობდა შირაზში ქეთევან შვიდი წლის განმავლობაში (1617-1624) თეიმურაზის პოემა არაა საკმარისი. მასში გამოთქმულია დიდი პათოსით, გარდა თვით წამებისა, სხვა დიდ შემთხვევებშიც ქეთევანის გრძნობები; მაგალითად, მისი სასოწარკვეთილება და გოდება, როდესაც მას წაართვეს ერთად-ერთი ნუგეში – მისი შვილის შვილები, (9,1) „ძღვენი ტურფანი“.

15,4

ეგვიპტეს ყოფა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფ-
სა ძისასა
ესენი რომ მოაშორეს

52

21:

ახ, წავხე, ახ დავიკარგე, პირსა სად მოველ
ზღვისასა,
ვაი ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრუ-
ლისასა,
სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა
ვარ, სხვისასა,
ვა ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭვრეტსა
ლევიანისასა...

ევროპიელთა ნაწერებში შენახულია დედოფ-
ლის იქაურ ცხოვრებაზე უფრო სადა ცნობები. მი-
სი შირაზში მოყვანა და დაბინავება აღნიშნულია,
რამდენიმე თვის შემდეგ, ესპანელი ელჩი **ფიგე-
როა-ს** მიერ; ამისი მიზეზიც, თეიმურაზის საქმე, მი-
სი ქვეყნის მოოხრება და ტყვეობაც.

ელჩის ჩამოსვლისთანავე ქეთევანს კაცი მიეგზა-
ვნა მისი ამბის გასაგებად და ამ თავაზიანობას იმე-
ორებდა ხოლმე სანამ ელჩი შირაზში იყო (1617-ის
გასულიდგან 1628-ს აპრილამდე). თვითონ კი ვერ
ბედავდა თავისი კაცით დედოფალი მოეკითხა. სა-
პასუხო მადლობას და სალამს ისევ ქეთევანის მო-
ციქულთა პირით შემოუთვლიდა ხოლმე. ემინო-
და სპარსელებს არა ეფიქრათ რა. მით უმეტეს, რომ
თვითონ ხომ ქრისტიანი იყო. დედოფლის ამალიდ-
გან მასთან უფრო ქათევანის პირად აღმსარებელს,
„ზაზილიანთა ორდენის წევრს" ე. ი. აღმოსავლე-
თის წესის ბერს, ვინმე **მოსეს** ჰქონდა კავშირი, რო-
მელიც თავისი ყოფა-ქცევით ელჩს ძველ დროინ-

53

დელი ეკლესიის მონაზვნად ეჩვენებოდა, და დიდათ
აქებს მას. ამ ბერის ამბავი და წამების ისტორია
ვრცლად იკითხება ფიგეროას ელჩობის წიგნში.
მოსემ მოუტანა და აჩვენა მას ორი ქართული ხელ-
ნაწერი, საუცხოვოდ ყდაში შეკრული და შემ-
კული: დაბადება დავითნით, და სახარებანი მოცი
ქულთა საქმით და წმინდა პავლეს ეპისტოლეებით.

ამ მოსე ბერს, თუმცა უსახელოდ, პ. დელლა ვა-
ლლევ იხსენიებს თავის საქართველოს შესახებ

„ინფორმაცია“ში (1627 წ.); მისი ცნობებიდან ირკვევა, რომ ქეთევანი შირაზში შესაფერად სცხოვრობდა და მრავალი, ორივე სქესის მოახლეც ჰყავდა. ჰქონდა თავისი სამლოცველო, სავსე ძვირფასი საეკლესიო ჭურჭელ-შესამოსელ-ხატებით და წიგნებით; ხოლო უკანასკნელ ხანებში მწირველი არ ჰყავდა, არც ხუცესი, არც ბერი. ის, ვინც მასთან წინად ყოფილა, სპარსელებმა აწამესო, ვინაიდგან მათი აზრით ის დედოფალის სარწმუნოებას ამაგრებდა და მის, აგრეთვე თეიმურაზის ორი ვაჟის გათათრებასაც აბრკოლებდაო. ამ მოსე ბერს, ვგონებ, თეიმურაზის პოემის ერთი ადგილიც (56) ეხება.

მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოლა ყოფითა
ფაროზისგან შეჰყრილა მოსე ვით გამაგრებული.

მოსე ბერის მოკვლის მიზეზი ის იყო, დედოფლის გათათრებას ხელს უშლიდაო. ეს ცნობა ალ-

54

ბად სწორია. თვით ქეთევანის წამების მოწმეებიც, გარდა შურის ძიებისა, იმგვარივე უნდა ყოფილიყო. ცნობილი სომხის ისტორიკოსი არაქელ, თავრიზელად წოდებული, წამების საბაბზე ამბობს, რომ თურმე შაჰაბაზის კარზე საუბარი იმაზე ჩამოვარდა, რომ აი, იქვე დამსწრე ქართველები უკვე გამაჰმადიანებულან, ხოლო მათი დედების გათათრება არ ხდება და რატომაო. ეს იმიტომაო, ეთქვა ერთს, რომ დედოფალი არ თათრდებაო, და არც ჩვენ დედებს უნდათო. არაქელის ეს შენიშვნა საყურადღებოა. ძალიან შესაძლებელია, რომ ქეთევანის მოკვლით სპარსეთის მთავრობას უნდოდა ისეთი პიროვნება მოსპობილიყო, რომლის სიმტკიცე იქვე სპარსეთში მყოფ მრავალ ქართველების გათათრებასაც აჩერებდა. მეფეთა და ხელმძღვანელი ხალხის გათათრება კი მათთვის სახელმწიფო ე. ი. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით იყო სასურველი და მას საჭიროდ სთვლიდნენ. ამ ნიადაგზე პროგრამაც ჰქონდათ და ნაწილობრივ განხორციელდა კიდევ. პოლიტიკური და პირადი ანგარიშით გათათრების მომხრენი ქართველებშიაც ბევრნი იყენენ საქართველოშიც, უფრო კი სპარსეთში. მათი რიცხვი და წონაც იქ დიდი იყო იმ დროს; და დედოფლის სიმტკიცე და გმირობა მით უფრო საკვირველია. ეს ატმოსფერა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი, რომელსაც აქ მხოლოდ

ზერელედ ვეხები, უფრო გასაგები იქნება, თუ კი გვეცოდინება, რომ პ. დ. ვალლეს გადმოცემით, თვით ქეთევანის სახლში, შირაზს, მისი ნაცნობები

55

იმაზე ბაასობდნენ, რომელი სარწმუნოება უკეთესია, ქრისტესი თუ მუჰამედის; იმასაც ეუბნებოდნენ, სპარსელებიც და ქართველებიც: „გათათრდი, რა გენადვლება! გათათრდი **გარეგნულად**“ და ეს-ეც იქაურ ქართველებში გავრცელებული სულის კვეთება იქნებოდა. ამგვარი რჩევა ხომ თვით პოემაშიც გვაქვს, შირაზელი ხანის პირით:

35, 2-3

შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითომ არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწესია,
„ესია“, ე. ი. შაჰაბაზი.

თეიმურაზის პოემაში დასახელებულია აგრეთვე ვინმე გიორგი მღვდელი. ვერც მან, ვერც ქეთევანთან მყოფ სხვა ქართველებმა შესძლეს წამების საშინელ წუთში ქეთევანთან ერთად ქრისტე ეღიარებინათ. რა ნახეს აღზნებული ცეცხლი, მასში ჩაყრილი „რკინანი“, გახურებული შამფურ-გაზბარები და სხვა, რჯულის გმობა ირჩიეს:

61:

მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შეშები,
ლახვარნი ანუ სამსჭვალნი, ლურსმანი რაცა შიშები,
შეკრთა, ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები,
გულსა ჩაემხო, ვერა ქნა სასასჯლო ანგარიშები...

56

რა გაასწორებს მოშაირეს! არც თვით თეიმურაზმა „ქნა სასასჯლო ანგარიშები“, როცა დედას და შვილებს შაჰაბაზი ისტუმრებდა, თვითონ კი სახლში დარჩა, აქ კი „შიშების“ მაჯამით ართულებს საქმეს. „შიშს“ გარდა ჩვეულებრივისა სხვა მნიშვნელობაც აქვს: „შიში“ თათრულად შამფურია.

ეს იმერელი მღვდელი ცოცხალ პირად იქცევა

პ. დელლა ვალლეს ნაწერებში. ამ რომაელ აზნაურს ძალიან იზიდავდა დედოფლის პიროვნება და აწუხებდა მისი ბედი, მაგრამ მასთან მისვლას, რასაკვირველია ვერ ბედავდა. ერთხელ შირაზში – ეს იყო ივნისი 1622 წ. – მკერვალის დუქანში, ვალლესთან ერთად, ვინმე საპატოო გარეგნულობის კაცი შევიდა და თუმცა იგი სპარსულად და თურქულად ლაპარაკობდა, ვალლემ იმ წამსვე იფიქრა, ეს ქართველი უნდა იყოს (ისეთი ბუხრული ქუდი ეხურა) და თან საეკლესიო კაციც (საამისო წვერი ჰქონდა). ისიც მოსვლია აზრად, რომ ეს ეგების ქეთევან დედოფლის მღვდელი იყოს: ერთი ღა ყოფილა შირაზში, ასე ჰქონდა გაგონილი. ვალლეს უდიდესი ნატვრა იყო როგორმე კავშირი გაეხადებინა დედოფლის რომელიმე მხლებელთან. და იქვე გაეცნენ ერთმანეთს. ეს „ხუცესი გიორგინ“ – ასე აქვს ვალლეს – არ ყოფილა ნამდვილი მღვდელი. (იგი არ სწირავდა, ამას ვალლე თავის „ინფორმაციაში“ ამტკიცებს). თურმე დედოფლის სუფრაჯი ყოფილა და სახლის მოურავი, „მაჟორდომო“. მერე ვალლეს სადილადაც ეწვია და მათი საუბარიც მას ჩაუწერია. ვალლეს ცოლად ერთი ქრისტიანი სირი-

57

ელი, სახელად მანაი შეერთო და მათ ოჯახში ახალგაზრდა ქართველი ქალი იზრდებოდა და გიორგის ქართულად დაელაპარაკა; მერე ეს „მარიუჩა“, ყოფილი თინათინ, თვით დედოფალთანაც მიიყვანეს, რომელმაც დიდი ალერსით მიიღო საწყალი ქართველი ობოლი. ამ „თინათინების“ რიცხვი იმ ხანს აუარებელი იქნებოდა სპარსეთში.

გიორგი ხუცესი ბაღოსნობის დიდი მცოდნეც ყოფილა. ამ დარგში ქართველები სპარსელებზე უფრო დახელოვნებულად ითვლებოდნენო. ერთხელ იგი ისპაჰანშიც მიიწვიესო სამუშაოდ (იხ. პ. დ. ვალლეს წერილები, 16 და 17, შირაზით, 27 ივლისი 1622 და 18 იანვარი 1623-ს თარიღით). ცხადია, ეს მებაღე და სუფრაჯი სამარტვილო კაცი არ იყო.

ამ გიორგის ხელით ქეთევანს პ. დელლა ვალლესათვის ორი წიგნი უბოძებია: ერთი ლათინური ლოცვანი მოოქრულ ყდაში და ერთი პორტუგალიურიც, რა თქმა უნდა, სპარსელთა და ინგლისელთა მიერ დაპყრობილ (1622 წ.) ორმუზში ნადავლი და დედოფლის მიერ გამოხსნლი; წიგნებს მისივე მინაწერებიც ჰქონდა.

ამბობენ, რომ უკანასკნელ დღეებში მას ნუგეში და სულიერი დახმარება შირაზში მყოფ აგვისტი-

ნიან მონაზონთაგან მიეღოს. (თამარაშვილი ფრანგულ თხზულებაში – „ქართული ეკლესია“). თეიმურაზი სდუმს ამაზე.

ვალლეს მოხსენებაში პაპი ურბანოს მიმართ („ინფორმაცია“) ეს არაა დამტკიცებით ნათქვამი,

58

არამედ იმ სახით, რომ ვინაიდგან ჩვენ პატრებს – კარმელიტანებს და აგვისტინიანებს – შირაზში სახლი და ეკლესია ჰქონდათ, ვარ დარწმუნებული, რომ არ დააკლებდნენ ზრუნვასო და სხვა. საეკვოკია, როგორ შეეძლოთ წამების დღეებში მასთან მისულიყვნენ, როცა წინადაც, ვალლესვე მოწმობით, ეს შეუძლებელი იქნებოდა? ერთმა მეგობარმა, „რომელსაც მე არ ვასახელებ“ო, მოგვითხრობს იტალიელი მოგზაური – ეს იყო ალბად 1622-3 წ. – მას **იდუმალი გზით** ღვთის მშობლის ხატი გაუგზავნაო. უკანასკნელ დღეებში ხომ თავისუფალი მისვლა-მოსვლა სულ არ იქნებოდა.

უკვე დასახელებული ესპანელი ელჩი ფიგეროა ისევ შირაზით სპარსეთის ყურესაკენ რომ ბრუნდებოდა, ორი კვირა იქ დარჩა. მას უნდოდა დედოფლის ბედ-იღბალზე მეტი რამ გაეგო; მისი წამების ამბავი მაშინ ხომ სულ ახალი იყო. მაგრამ ვინც მის სახლში იყვნენ, მათთვის გამოსვლაც აკრძალათ, და არც ვისიმე ნახვა შეიძლებოდა. სპარსელებს, ცხადია, არ უნდოდათ, რომ ისეთი სახელმწიფოს ელჩს, როგორც მაშინ იყო ესპანია, ამ საქმეზე მეტი ცნობები მიეღო.

ამ დიპლომატიისთვის კი ეს მარტო ცნობის მოყვარეობის საკითხი არ იქნებოდა. მან იცოდა, რომ როცა ლაპარაკი იყო ესპანეთის და სპარსეთის საერთო მოქმედებაზე ოსმალეთის წინააღმდეგ, მაშინ ისიც იგულისხმებოდა, რომ სპარსეთს საქართველოს ქრისტიანი მეფეებიც მოკავშირეებად ჰყოლოდა. ამას ჯერ 1595 წ. უმტკიცებდა ქართლის მე-

59

ფე სვიმონ თავის (ესპანიის არქივში ახლად აღმოჩენილ) საპასუხო წერილში ფილიპე მეორის მიმართ. ამასვე ამბობდნენ შაჰაბაზის ელჩებიც ევროპაში; ერთმა მათგანმა ქრისტეს რჯული მიიღო. სახელიც დაარქვეს დონ ჟუან სპარსელი. ესპანიაში დარჩა, იქ წიგნიც დასწერა სპარსეთზე, რომლიდგან ზოგი რამ საქართველოზე და მის მეფეებზედაც ეცოდინებოდა დონ გარსია სილვა ფიგუროა-

საც. აქ შირაზში იფიქრებდა: ეს სპარსულ-ქართული კავშირი თავისებური რამ ყოფილა. არსებითად კი აღზნებული ცეცხლით ადამიანზე ზედ-მოქმედება მისთვის უცხო რამ არ იქნებოდა. ეს მის ქვეყანაშიც იცოდნენ.

60

თავი მესამე

ნაშთის ბეზნაში.

მოწამებრივი სიკვდილის შემდგომ რა დაემართა ქეთევანის გვამს, ეს მნიშვნელოვან საკითხად არ უნდა ქცეულიყო და არც არის. მაგრამ ქრისტესათვის წამებულთა ნეშთებს ცრუ-მორწმუნეობა, სარწმუნოებრივი ეკზალტაცია და ზოგჯერ საქმიანი ანგარიშებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხოლმე, ისეთი შედეგებით, როგორცაა ნაწილთა თაყვანისცემა, მათ სასწაულ მომქმედ ძალასთან მიმართვა, აქედან მომდინარე ნაწილთა პატრონთათვის შემოსავალი და სხვა. არც ქეთევანის წამებაა გამონაკლისი ამ მხრივ, და წამებული დედოფლის ნეშთსაც თავისი ისტორია აქვს. მის გამორკვევას ჩვენ არ შეუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ გადმოცემათა სხვა და სხვაობას და მათს წინააღმდეგობას, რაიც ამგვარ შემთხვევებში ჩვეულებრივია.

ჯერ თეიმურაზი მოვისმინოთ, რომელმაც თავისი დედის წამება დაწვრილებით იცოდა, და რომლის პოემა თითქმის თანამედროვეა თვით წამებისა. დაწერილია ალბათ 1627-1628 წლებში (ამისი დასაბუთებაც შეიძლება); ყოველ შემთხვევაში არა

63

უგვიანეს 1633 წლისა: ამ ნაწერში შაჰაბაზი და იმამ-ყული-ხან შირაზელი ჯერ ცოცხლებად სჩანან, მათი სიკვდილის თარიღები კი 1629 (იანვარი) და 1633-ია.

თეიმურაზის თქმით, მას შემდეგ რაც ქეთევანმა

69, 2:

სული თვისი მიაბარა მეუფესა, მისსა
ღმერთსა

და სამოთხეში ამალღებულა (69,3-4), იმ წამსვე

70, 1-2:

ზეცით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად
ერმანო,
იესო ქრისტე ადიდეს სრულ ყმაწვილმან და
ბერმანო.

ამაში იგი მისდევს ალიოგრაფიის ძველს, სავალ-
დებულო წესს. მერე დასძენს:

71, 1-2:

წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადა-
რია,
სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო
მკვდარია.

მაშასადამე: დაასაფლავეს და წლის თავზე „აღ-
არსად იყო მკვდარია“. ეს რას ნიშნავს?

64

71, 3-4:

თქვეს: „ფრანგნი მოიპარავდეს, თუ სად დაე-
ცათ დარია“.
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზედ არ-
სად არია.

და აერთებს რა ენას სარწმუნოებრივ-მისტი-
ურს და სამიჯნუროს, ეს მართლ-მადიდებელი მი-
მდევარი რუსთაველისა აღიარებს:

75, 3-4:

მას სიკვდილი ვერ მოკლევდა, ღვთის ტრფია-
ლსა მინა-სათსა,
ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა
კიბისასა.

ეს წამებულთა გვირგვინია. ხოლო მისი ნეშთი
„ხმელეთზე არსად არის“ო. ამ მტკიცებით თეიმუ-
რაზი ცხადად და გარკვეულად უარჰყოფს ქეთევან-
ნის წმ. ნაწილის ლეგენდას – უარყოფს ამ ნაწი-
ლის ე. ი. დედოფლის მიწიერი ნეშთის არსებობას.

„ფრანგნი მოიპარავდეს“ო, გაკვრით ნათქვამია
მოყვანილ ტაეპში (71,3). რომ ქეთევანის ნაშთი
კათოლიკე ბერებს ჩაუვარდათ ხელში, ეს ძველი და
კარგად ცნობილი ამბავია და განსაცვიფრებელიც
ის არის, რომ თეიმურაზის პოემაში ეს ვერსიაც მო-
თავსებულია (ე. ი. რომ ნაშთი კათოლიკეებს აღმო-

ამა წმინდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებო-
და,
ჯვარის მოსავთა ყოველთა ნაწილი ენატრე-
ბოდა,
თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითვ-
ლებოდა,
არავის მისცა შაკაბაზ, ცოდვითა აივსებოდა,
მალვით მონახეს ნაწილი, სად დაემალა ბარე-
ბსა,
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიმროზელთ მწი-
გნობარებსა,
ლუსკუმაშიგან ჩაიდვეს, უკმევდეს მუშკ-ამბა-
რებსა,
იგი კურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუდგის
კარებსა.

ეს ჩვეულებრივი ამბავია ნაწილის პოვნისა და მორწმუნეთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მისი გამოყენების სამღვდელოების მიერ. ეს ამბავი კი იმას ჰგულისხმობს, რომ ნაშთი არსებობდა, რომ მას 12,000 თუმნად აფასებდნენ მაგრამ „არავის მისცა შაკაბაზ“, და მერე, ისევ ფრანგებმა „მალვით მონახეს“ო. ეს ვერსია სრული წინააღმდეგია თეიმურაზისავე განცხადებისა

71, 4:

მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.

საქმის ეს გაგება ე. ი. ნაშთის არ ყოფნა ანუ წამების შემდეგ დაკარგვა, უფრო კი სრული მოსაპო-

ბა უსაფუძვლო არ იყო. აგვისტინიან პატრების 1640 წ. მოხსენებაში ნათქვამია, დედოფლის სიკვდილი იმით დააჩქარეს, რომ იგი მშვილდის საბელით მოაშთვესო. მერე კი მისი გვამი დიდ ცეცხლში ჩააგდესო (ამას სხვებიც მოწმობენ). ხოლო მეორე მხრივ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ნაწილის აღმოჩენის ამბავიც უმთავრესად ფრანგ. სახელდობრ აგვისტინიან მისიონერთა ტრადიციას ემყარება.

მართლაც, ვინ არიან ეს „ნიმროზელი“) მწიგნობრები? (73,2). „ნიმროზ“, სპარსულიდან ნასესხები,

მერიდიანია, და ნიმროზელი ანუ ნიმროზელი იგი-
ვეა რაც ფრანგულში „მერიდიონალ“; ნიშნავს სა-
მხრეთელს. თეიმურაზს აქ მხედველობაში ალბად
ის აგვისტინიანები ჰყავს, მისი დედის ნაშთს ისპა-
ჰანს რომ ინახავდნენ, გადმოცემით. მათი ორდენის
მთავარი ბინა მართლაც სამხრეთში, – ინდოეთს –
იყო, პორტუგალიის ცნობილ და მაშინ აყვავებულ
ახალშენში, ქ. გოა-ს. თვით ის ანტონიო დე გუვეა,
ესპანიის და პორტუგალიის მეფის ფილიპე მე-3 ელ-
ჩი, რომელმაც 1602 წ. შაჰაბაზისაგან ნებართვა მი-
იღო ისპაჰანს მონასტერის დასაარსებლად, გოა-ს
აგვისტინიანთა კოლლეგიის რექტორი ყოფილა.

მიხ. თამარაშვილისაგან მოსალოდნელი იყო ამ
საკითხზე უფრო ზედმიწევნითი ცნობების გამოქ-
ვეყნება. თავის შრომაში „ისტორია კათოლიკობი-
სა ქართველების შორის“ (ტფილისი, 1902.) იგი
ამბობს, რომ „1628 წლის ივნისის 1-ლს გორში მო-

*) ამ „ნიმროზელთა“ უცნაურ სახელზე ბრო-
სსეც ამბობდა. არ მესმის რა არისო.

ვიდნენ წმ. აგვისტინეს წესის მონაზონნი პატრი ამ-
ბროზიო და ძმა პეტრე და თან მოიტანეს ქეთევან
დედოფლის ნაწილიო“. ამისი მიზეზი ის იყო, რომ
„როდესაც თეიმურაზი შეურიგდა სპარსეთის მეფეს
(ე. ი. შაჰაბაზს) მან სთხოვა გაეგზავნა მისთვის ქეთე-
ვან დედოფლის გვამი, რომელიც დიდი პატივით
ინახებოდა ისპაჰანს აგვისტინიანთ მონაზონების
მონასტერში“ო. ეს ცნობა თამარაშვილს ამოუღია,
ალბად, იმ მოხსენებიდან, რომელიც რომის პროპა-
განდას უფრო გვიან, სახელდობრ 1640 წ. მიეღო
სპარსეთში მყოფ აგვისტინიანთაგან. იქ სწორედ ეს
პატრი ამბროზიოც იხსენიება და ეს მოთხრობა თა-
მარაშვილის სხვა, ფრანგულ წიგნში: „ქართული
ეკლესია“ მოიპოვება (რომი, 1910. გვ. 482-5).

ქართულ ეკლესიასაც ხომ ეკუთვნის სიტყვა ამ
საქმეზე და სად ვეძიოთ იგი, თუ არა ანტონი პირ-
ველი კათალიკოსის **მარტირიკაში**, სადაც აღწერი-
ლია ქეთევან დედოფლის და ლუარსაბ მეორე, ქა-
რთლის მეფის „ღუაწლნი და ენებანი“? ამ მნიშვ-
ნელოვან და საინტერესო ნაწერში (ჩუბინაშვილის
ქრესტომათია წიგ, I. სპბ. 1846) იმ კითხვაზე, თუ
რა იქნა წამებული ქეთევანის გვამი, განმეორებუ-
ლია, იტალიური ცნობების და აგრეთვე არაქელ
თავრიზელის მოთხრობის გამოყენებით, ის ლეგენ-
და, რომლითაც ნათლის სვეტს მიეწერება აღმოჩე-
ნის სასწაული (თეიმურაზით კი „მალით მონახ-

ეს“ო). დაკარგული ნაშთის მდებარეობა ამ საშუალებით გაიგეს „მორწმუნეთა ქრისტეს ღვთისა მიმართ დაღათუ მწუალებელთა“ (ე. ი. კათოლიკეთ!). მამასადამე, მისი აზრითაც, კათოლიკეთ აღ-

68

მოეჩინათ ეს გვამი. და მერე? ანტონიც ამბობს, და ამას იზიარებენო „ყველანი მომთხრობელნი ჩვენნი, სომეხნი და ლათინნი“, რომ ფრანგ ბერებს შეუთავაზებიათ თეიმურაზისათვის მისი დედის ნაშთის ნახევარი, რომელიც მან დიდი სასოებით მიიღო და წაასვენა ალავერდის ტაძარშიო – „იტყვიან ქუეშე სამღრთოისა ტრაპეზისა“. ეს „იტყვიან“ საკვირველია: ნუ თუ არ იცოდა ეს ანტონიმ დანამდვილებით?

მაგრამ, გარდა ამ გადმოცემისა, რომელიც „ფრანგულად“ ჩაითვლება და შეწყნარებულია ანტონი კათალიკოსის მიერ, არსებობს სხვა, ასე ვსთქვათ, ქართულ-ბერძნული და მართლმადიდებელი გადმოცემა. ეს ორი ურთიერთის უარისმყოფელი და საწინააღმდეგო ტრადიცია ქეთევანის ჩამომავალმა სწავლულმა, თეიმურაზ ბატონიშვილმა გამოსთქვა მკაფიოდ თავის 1832 წ. ნაწერში: **მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა, კახთ დედოფლისა.** თავისი წინაპარი და სეხნია პოეტის ნათქვამს (იხ. ზემოთ) აზვიადებს და ამბობს, რომ „ნიმროზელ მღვდლებს ძალიან სურდათ ქეთევანის გვამი ეპოვნათ, შაჰაბაზს 220,000 მანეთს (!) ჰპირდებოდნენ, ხოლო მან არ მოინდომაო, არამედ მღვდელთა მათ კათოლიკეთა ფრიად მხურვალეთა ქრისტეს სიყვარულითა წარიპარეს გვამი წმიდისა მის იდუმალ და შემურეს იგი მრავლისა სურნელებითა და წარმოიღეს მუნით დაფარულად“... მერე-კი, ემყარება რა **ბესარიონ კათალიკოსის და გიორგი მღვდელმონაზონის** ნაწერებს, სულ სხვას ბრძანებს: თურმე ქეთევან დედოფალი წამების შემდეგ დაუმარხავთ

69

იქვე, „სადაც სიცოცხლესა შინა თვისსა სადგურებდა, მუნ შიგან სალოცველსა სახლსა მისსა“, (ე. ი. იქვე შირაზში და არა აგვისტიანთა მონასტერში ისპაჰანს); საქართველოში მოტანილი ნაწილი თეიმურაზ მეფემ დიდი ზეიმით მიწას მიაბარა ალავერდს; „შეკრიბნა ზაქარია კათალიკოსი, მღვდელთ მთავარნი და ყოველნი სამღვდელონი სრულ საქართველოსანი“ და სხვ.

ეს მერმინდელი მწერლები მწიგნობრულად აღ-

გენდნენ მათ მოთხოვნებს; ჩვენთვის კი უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვეთა მოწმობანი. არსებობს ერთი, ვგონებ უყურადღებოდ დარჩენილი ნაწერი, რომელშიც „ქართული“ გადმოცემა უფრო სრულის სახითაა შენახული, და ალბად მისი გამოძახილია იმ ქართულ ნაწერებშიაც მოცემული, ბატონიშვილი თეიმურაზი რომ ასახელებს. ეს პატარა წიგნაკია 1632 წელს დაბეჭდილი (არა სჩანს სად. ალბად სადმე იტალიაში); შეიცავს ბერძნულად დაწერილ ეპისტოლეს მისი ლათინური თარგმანით, და სათაურად აქვს: **ქეთევან, ქართველთა მეფის თეიმურაზის დედის მარტვილობისა** და იეზუიტთა მიერ ამის გამო ჩადენილ სიცრუისათვის (იმპოსტურა). ეპისტოლეს დამწერი ტრაპიზონში მყოფი გრიგოლ ხუცეს-მონაზონია და თარიღად აქვს 16 მაისი 1626 წელი, სწერს სოფრონის მიმართ პროტო-სინკელისა, კონსტანტინეპოლს. მოკლედ იხსენიება კახეთის 1614 წ. მოოხრება, მოსახლეობის და კერძოდ ქეთევანის ტყვედ წაყვანა, დიდებულთ ამოწყვეტა და დედოფლის წამებაც. მისმა ერთმა მოსამსახურე ქალმა **მოახლამ** (მოახლე -

70

აქ პიროვნების სახელად ქცეული) მოინდომა წამებულის ნაშთის შენახვა, იპოვა კიდევ და მისი ახალი ბატონის, ერთი დიდებულის სახლში ინახავდაო. იეზუიტებმაც ეძიეს ეს გვამი და ვეღარ იპოვეს რა, რომელიმე ცხედარს თავი მოაშორეს და მერე თეიმურაზს მიუტანეს: ქეთევანის ნაწილიაო. იქ ზეიმით და სიხარულით მიუღიათ და ალავერდელი წმ. გიორგის ტაძარში დაასვენეს. დაიწყო ამ ნაწილის თაყვანისცემა, და იეზუიტებიც მეტად მოხერხებულად იქცეოდნენ და სხვ. ეს მალე მთელმა საქართველომ გაიგო და ამ ამბავმა მოახლასაც მიაღწია სპარსეთში. ამ მანდილოსანმა მაშინვე შეატყობინა თეიმურაზს, ქეთევანის ნაშთი აქა მაქვს შენახულიო. მერე როცა ზავი ჩამოვარდა თეიმურაზსა და სპარსეთს შორის, ქართველმა ელჩებმა სპარსეთითგან მრავალი ქართველი სამშობლოში დაიბრუნეს, მათ შორის „მოახლაც“, და ქეთევანის ნაშთიც მაშინ მოიტანეს, გასინჯეს და ნამდვილადა სცნეს. მალე ორმა სპარსეთიდგან ჩამოსულ ქართველმა თავიანთი მოწმობით იეზუიტები საბოლოოდ შეარცხვინეს. მეტად განრისხებული თეიმურაზ მაშინ მოურავთან (გიორგი სააკაძესთან) შებმას მოელოდა. ამისათვის ყალბის მქნელთა დასასჯელად არ მოეცალაო, მაგრამ მან აღკრძალა ქეთევანის ნაწილის თაყვანისცემა: ალავერდში მარტო წმ. გიორ-

რგი უნდა იყოს თაყვანცემულიო; ქეთევანი ხომ წმიდანიაო, და ისედაც „ყველა წმიდათა“ რიცხვში ჩაითვლებაო. (ეს ხომ მის მიერ თქმულს: – „ხმელეთზე არსად არია“საც კარგად უდგება. საერთოდ, თეიმურაზის ამგვარი სკეპტიციზმი მის პოემაშიც გამოსჭევივის).

71

ეს „ბერძნულ-ქართული“ მოთხრობა იეზუიტების არა პატივსაცემ ხერხს ამჟღავნებს (რაოდენი საფუძვლიანობით, სხვა საკითხია), მაგრამ არც აგვისტინიან ძმათა ვერსიას ეთანხმება (იხ. ზემოთ). პირიქით, მისგან არსებითად განსხვავდება. რომელია მათში უფრო ძველი? ორივე თითქმის ერთ დროს ჩნდება. პირველს 1626 წლის ეპისტოლეში ვკითხულობთ. მეორეს 1640 წლის ერთ მოხსენებას უკავშირებენ. მაგრამ უფრო ადრინდელია. ეს აგვისტინიანთა ამბავი რომში 1627 წელს უკვე ცნობილი იყო იმ მეტად მნიშვნელოვან „საქართველოს შესახებ ინფორმაციითგან“, რომელიც პ. დელლა გალლემ სპარსეთიდან დაბრუნებისას პაპი ურბანო მერვეს წარუდგინა. დედოფლის წამება მან პირველად ქ. ბასორაში გაიგო იმ პატრი გრეგორიო ორსინისაგან, რომელსაც ამას წინადა საგანგებო ვრცელი (ვგონებ ჯერ უცნობი) მოხსენება წამებაზე რომში გამოგზავნაო. ვალლეს რწმენით, საქართველოში კათოლიკური პროპაგანდისათვის ხელსაყრელი იქნებოდა სწორედ იმ ქართველების თანაგრძნობა, ვინც წამებულ დედოფალთან ყოფილან, შირაზში დარჩნენ და იციან, რომ მის გვამს ჩვენი აგვისტინიანი მამანნი ინახავენო. მაშასადამე, არსებითად კათოლიკეთა მიერ „ნაწილთა აღმოჩენას“ თავითგანვე რაღაცა კავშირი უნდა ჰქონოდა პროპაგანდის საქმესთან და მის მიზნებთან საქართველოში, კერძოდ კი კახეთში. ამ საქმეში, იმავე პ. დელლა ვალლეს აზრით, დახმარებაც მოსალოდნელი იყო ალავერდელი მიტროპოლიტის ნათესავთა და სხვა ქართველ თავადთაგანო. (ამ ალავერდელ-

72

ის კათოლიკურ ტენდენციაზე იეზუიტი ლ. გრანჟეს ერთ მოხსენებაში გვაქვს ცნობა. მას თეიმურაზთან და ალავერდელთან კონტაქტი უკვე 1615 წ. ჰქონდა სამეგრელოში. ეს ვალლემაც იცოდა. ბერძნულ წერილში იეზუიტების თავნება არც ისეა უმიზეზო და უსაფუძვლო).

ყოველ შემთხვევაში, 1629 წელს აგვისტინიანთა

ამბავს თვით თეიმურაზი ოფიციალურათ ადასტურებს რომის პაპის მიმართ ერთ თავის ლათინურ წერილში, და მის დასტურსაც ალბად თავისი, უფრო დიპლომატიური აზრი და მიზეზი ჰქონდა.

ამ ნაშთის რთულ და ზღაპრულ ისტორიებს თივი რომ დავანებოთ, ბერძნულ პამფლეტს ისედაც ფასი აქვს. მასში ბევრი საინტერესო წერილმანი საქმისა და საქართველოს ცოდნით არის დაწერილი, რასაც აჩვენებენ ისეთი სიტყვები ბერძნულში, როგორც თეიმურაზ, ქეთავან (ქართულადაც ასე იცოდნენ), მოახლე, ალავერდელი, კახეთი, გრემი, მოურავი. ავტორი ალავერდში ნამყოფი კაცია; უმთავრესად მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური ცნობები.

ეს წერილი იმ დროინდელ დიდ ამბავთა ცნობილ მსვლელობას კარგად უდგება. 1624 წ. სექტემბერში ქეთევანის წამება ქ. შირაზს; შვიდი თვის შემდეგ ნორიო-მარტყოფის სისხლიანი და ძლევა-მოსილი აჯანყება, დიდი მოურავის საქმე, თერთმეტი სპარსეთის თავი კაცის ამოწყვეტით – 1625 წლის მარტში. იმავე წლის ივნისში მარაბდის მძიმე, მაგრამ სახელოვანი დამარცხება. მერმე ქართველ მოკავშირეთა შორის განხეთქილება, რთული

73

ქიშპობა, თეიმურაზის სპარსეთთან დაზავება და ბოლოს არევისათვის სახელოვან ბაზალეთის ომში გ. სააკაძის დამარცხება თეიმურაზისაგან – ეს 1626 წელს, და ამ შეტაკების მოლოდინში, 26 მაისს დაწერილია გრიგოლ ხუცეს-მონაზონის ეპისტოლე.

ეს ნამდვილი გამოლაშქრება იყო ბერძნებისა კათოლიკეთა წინააღმდეგ. უნდა გვახსოვდეს, რომ მეფე თეიმურაზის ირგვლივ ბერძნები და კათოლიკე მისიონერები მაშინ სასტიკად იბრძოდნენ, რათა გავლენა შეენახათ ანდა დაემტკიცებინათ. ამ მეტოქეობის ერთ-ერთ საგნად და იარაღადაც, სჩანს, წამებული დედოფლის „ძვლები“ შეიქმნენ. ამისი მჭერმეტყველი მაჩვენებელია სწორედ ეს ევროპაში დაბეჭდილი პამფლეტიც.

ამ კინკლაობას ხომ არ უნდა მივაწეროთ თეიმურაზის მხრივ ის ნაკლები ყურადღება რომის მისიონერთა მიმართ, რომელსაც აღნიშნავენ 1630-ან წლებში? *)

1626-1629 წლებში თეიმურაზს გამოჩენილი რწმუნებული ჰყავდა დასავლეთში – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ირუბაქიძე), ნიკიფორე ირბახის სახელით ცნობილი. 1627 წელს იგი რომშია, ესპა-

ნიიდან ჩამოსული, და მისი მოღვაწეობის მიზანი პოლიტიკური იყო. თეიმურაზს და სხვა ხელმძღვანელ ქართველებს ბუნდოვანი იმედი ჰქონდათ, რომ დასვლეთი ევროპა მათ დაეხმარებოდა. ამი-

*) მასზედ უთითებს მ. თამარაშვილი. ბერძენთა მიერ აღძრულ ბრალდებაზე იგი სდუმს.

74

სათვის მზად იყვნენ კათოლიკებად ელიარებიანთ თავიანთი თავი ხანდახან, თუნდაც ფარულად, თუ არა ცხადად. ძნელი-კი იყო, ვინაიდან რუსებს ხომ არწმუნებდნენ იმავე დროს, და ესეც პოლიტიკური მიზნით: აბა ჩვენისთანა მართლმადიდებელი ხალხი ვინ არის, რომელია.

ყოველ შემთხვევაში ეს ორი მისწრაფება: ქართული (როგორ მოვიგოთ და როგორ გამოვიყენოთ რომის ტახტს გავლენა, ესპანიის ძალა და საერთოდ იქაური საშუალებანი საქართველოს სასარგებლოდ?) და რომის პროპაგანდისა (როგორ დავამყაროთ მკვიდრ ნიადაგზე ჩვენი მუშაობა საქართველოში, კერძოდ კახეთში, ამ მიზნისათვის როგორ გამოვიყენოთ თეიმურაზი, ვის წინაშე დიდია ჩვენი აგვისტინიან ბერების დამსახურება: მისი დედის ნაშთი აღმოაჩინეს, შეინახეს, მიათვეს კიდევ) ერთმანეთში ძალიან განირჩეოდა და მათი ურთიერთობა ყოველთვის მწყობრი არ იქნებოდა*).

*) თეიმურაზს თურმე ერთ დღეს ბაასი ჰქონდა საწმუნოების საკითხებზე პატრი იაკობ დე სტეფანისთან. ეს უკანასკნელი, სჩანს მას კათოლიკური გაგების უპირატესობას უმტკიცებდა. გაბრაზებულ მეფეს ხელი ხმალზე წამოეწყო და ეთქვა: თქვენ, ფრანგები, მეტად ჯიუტი ხალხი ხართ, ჩემს რწმუნას აი ამ ხმლით დავიცავ მათ წინააღმდეგ ვინც მეტყვის – იგი არ არის ჭეშმარიტიო. საწყალი პატრი იძულებული შეიქმნა გაჩუმებულიყო.

იხ. დომ იოსებ მ. ცამპი, თეატინების პრეფექტის მოხსენება. მოთავსებულია შარდენის მოგზაურობის წიგნში (1711 წ. გამ. I, 53).

75

თავი მეოთხე

შირაზის ნადიმი.

დედოფალი ქ. შირაზს 12 (22) სექტემბერს

1624 წელს აწამეს შაკაბაზის ბრძანებით, ხოლო შირაზის ხანის უშუალო განკარგულებით. რომ ბრძანების აღმასრულებელი სწორედ შირაზის და სხვათა დიდი ბატონი „ხანლარ-ხან“ იმამ-ყული-ხანია, ეს თეიმურაზის პოემაში ასეა გადმოცემული:

29, 1-3:

რა შაბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ ხანსა:
„შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდ-
სა ხანსა.

ვირ არ შევსვამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დას-
ტახანსა... *)

30

თუ მუსურმანი შეიქნეს ეგე ლაღი და ჯანია,
მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს
ჯანია,

*) დასტახანი – სუფრა (ს ორბელიანი)

79

მე მურთუზალი მოფიცავს არ უყო ისკანჯანია.
არა გამოს იესო ქრისტე – მიეცით დიდი რჯა-
ნია *)

ეს უსიამოვნო დავალება შირაზის ბატონმა შე-
ასრულა კიდეც. მართალია თავდაპირველად

31:

იმამ-ყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრო-
ნია?

ვიცი რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს
დრონია,

თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“

მაგრამ ამგვარმა მისმა განწყობილებამ ქეთევანს
ვერა უშველა რა. შირაზის ხანის შთაგონებამაც:

35:

რჯული ეს არის, გვიჭირავს მაჰმადის დანაწესია,
შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს გიწყრება შენ აწ ესია,
სატანჯველს ნურას იკადრებ არ არის შენი წე-
სია

*) „მურთუზ-ალი“ (ღვთის მიერ) შეწყნარე-
ბულ ალი-ს ნიშნავს; და ალი, სიძე მუჰამედისა,
ხომ შიიტების მთვარი მოწამეა. ისკანჯა – ტან-
ჯვაა, რჯა, ასე რომ სპარსული „ისკანჯანი“ აქ იგი-
ვეა რაც „რჯანია“. აზრაველ ანუ ისრაფილ მუს-
ლიმანთა მითოლოგიაში მთავარი ანგელოზია ერ-
თი, უზარმაზარი.

ვერ იმოქმედა. დედოფალმა სწორედ სატანჯველი იკადრა და როგორი სატანჯველი! დაწვრილებით, თითქმის გადაჭარბებული რეალიზმით აღწერილია თეიმურაზის პოემაში. ამგვარი ტანჯვა არ იყო პირადად „მისი“ - თეიმურაზის - „წესი“; ეს მან კარგად იცოდა. „წამება წმინდისა თეიმურაზისა“ არასოდეს მისი ოცნება არ ყოფილა, და არც დიმიტრი თავდადებული მისი გმირი. ქრისტიანობა უყვარდა ფრიად, მაგრამ ნადირობა-შაირობა-ომიანობასთან ერთად, და რა ითქმის მის წინააღმდეგ?

რომ თავისი დედის წამება ლექსად „აქო“, მას ესეც დიდ და განსაკუთრებული ჯილდოს ღირს საქმედ მიაჩნია. აკი ქეთევანს მის უკანასკნელ ლოცვაში ათქმევინებს: ღმერთო,

46, 3-4:

შვილსა ჩემსა თეიმურაზს გაუმარჯვე მტერსა
ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახ-
ტსა ზედა.

წამების დროს შირაზში ბატონად მჯდომ იმამ-ყული-ხანზე, იმ კაცზე, ვისიც ჯალათებმა ბოლოს და ბოლოს გახურებული რკინებით და შამფურებით დედოფალს მუჰამმედის რჯულის უპირატესობა დაუმტკიცეს, თეიმურაზი ამბობს:

81

32

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენა-
ნი,
მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად
ქვენანი,
ღირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზე-
ნანი...

შირაზის ხანის ამგვარი ქება, ჭეშმარიტად, მოულოდნელია და ცოტადაც უადგილო ამ პოემაში, და უნებლიედ ყურადღებას იქცევს. რაღაცა კავშირი უნდა ყოფილიყო მასა და თეიმურაზს შორის. ამაზე სდუმს მეფე-პოეტი; სდუმს მისი ცხოვრების ბრწყინვალე აღმწერელიც, ისიც მეფე-პოეტი, არჩილ, და არც ამჟღავნებენ მას ქართული საბუთები.

ეს იმამ-ყული-ხანი ჩამომავლობით ქართველი იყო, მაჰმადიანი. ძალით, აღზრდით ანუ ანგარიშით გათათრებული ქართველებით მაშინდელი სპარსეთი სავსე იყო. ხოლო იმამ-ყული-ხანის და კი-

დევ უფრო მისი მამის ალლაჰვერდი ხანის კარიერა იმ დროსაც იშვიათი რამ იყო. ამ უკანასკნელს, შაჰაბაზის მთავარ სამხედრო მოღვაწეს და სარდალს, მისი მეფობის უპირველეს კაცს, მრავალნაირად დამსახურებულს, თავის დროზე გასამრჯელოდ შირაზის ხანობა მიეღო. მან სპარსეთის ბატონობა არაბეთისაკენ და სპარსეთის ყურეს ნაპირზე აღადგინა და დაამკვიდრა იმ გვარად, რომ მისი სამფლობელო მთელ სპარსეთში უდიდესად ითვლებოდა. მემკვიდრე მისი და შვილი სწორედ ჩვენი იმამ-ყული-ხანი იყო.

82

1622 წელს ე. ი. ქეთევანის წამებაზე ორი წლით ადრე, მან წარმატებით შეასრულა შაჰაბაზის მეფობის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო და საპოლიტიკო საქმეთაგანი: ინგლისის, უკეთ რომ ვსთქვათ, ოსტ-ინდიის ცნობილი, მაშინ ჯერ ნორჩი კომპანიის სამხედრო გემების დახმარებით სპარსელებმა იმამ-ყული-ხანის მეთაურობით პორტუგალიელთა სიმაგრე დაიპყრეს კუნძულ ორმუზზედ აშენებული, სპარსეთის ყურეში, აწინდელ ბენდერ-აბასთან, და ამით გზა გაუხსნეს სპარსულ ვაჭრობას მაშინ, განსაკუთრებით, აბრეშუმით სამხრეთისაკენ. ეს იყო ინგლისის და პორტუგალიის „საიმპერიო“ მეტოქეობის მნიშვნელოვანი ამბავი იმ ქვეყნებში და ინგლისისათვის დიდი მომავლის მომასწავებელი ნაბიჯი.

ამ საქმისათვის საჭირო წინასწარი მოლაპარაკება და სამხედრო სამზადისი უმთავრესად სწორეთ შირაზში სწარმოებდა.

ამ საქმიანობის კვალი მრავალია შენახული ინგლისურ წყაროებში და იქითგან ერთს, ჩვენთვისაც მნიშვნელოვან ცოცხალ მოწმობას აქვე მოვიყვანთ.

1628 წელს შირაზს ესტუმრნენ ინგლისის ელჩები, სპარსეთის ყურედან ისპაჰანისკენ შაჰაბაზთან მიმავალნი. ელჩს, სერ დოდმორ **კოტტონ**-ს ახლდა **რობერტ შერლეი**, იმ ინგლისელ ძმათაგანი, რომელნიც შაჰაბაზის სადიპლომატიო და სამხედრო ისტორიაში კარგათ არიან ცნობილნი. კერძოდ, ეს რობერტი სპარსეთის ძველი მეგობარი იყო. მისი რჩევით და დახმარებით, მე-177 საუკუნის პირველ

83

წლებში განახლებულ იქმნა სპარსეთის მუდმივი ჯარი, შაჰაბაზის პოლოტიკური წარმატების სანდო

იარაღი; ამ საქმესაც იმამ-ყული-ხანის მამა ალლაჰვერდი-ხან მეთაურობდა; მაშინ ინგლისელებმა ზარბაზნების გაკეთებაც ასწავლეს სპარსელებს. ხოლო აქ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ამ საელჩოს უმცროსი წევრი, **თომას ჰერბერტ**, რომლის კალმისაგან გვაქვს მეტად შინაარსიანი და საგულისხმო აღწერილობა ამ ინგლისის საელჩოს მოგზაურობისა და მოქმედების.

შირაზს, ჰაფიზის ქალაქს, თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში 1628 წელს მიაღწიეს. აი რას ამბობს ჰერბერტი იმამ-ყული-ხანზე:

„ეს კაცი ქართველია შთამომავლობით, ხოლო მუსულმანი სარწმუნოებით, და არის ერთი იმ თერთარქთაგანი, რომელნიც აზბასის იმპერიას განაგებენ. მისი ტერიტორიების ზომა ყოველი მიმართულებით 400 მილამდის დაიჭერს“... მეერ მოდის მის თანამდებობათა ჩამოთვლა: არქიდუკი შირაზისა, სულთანი ლარისა, ბატონი ორმუზისა, ქირმანის, ქუზისტანის, სეისტანის, ფარსისტანის და სხ. სპარსეთის ყურეს და იქაურ კუნძულთა თავადი, დიდი ბეგლარ-ბეგი, მბრძანებელი თორმეტი სულთნისა, 50 ათასი ცხენოსნის, მონა შაჰაბაზისა, მუსულმანთა დამცველი... და ვარდი სიამოვნებისა.

ესეც საკმარისია, რათა ვიცოდეთ თუ რომელი ხარისხის ბატონი ბრძანდებოდა ეს იმამ-ყული-ხანი. ჰერბერტი მის გენეალოგიასაც ეხება, მაგრამ ჩვენთვის ეს შირაზის „ერისთავთ-ერისთავი“ იმით არის საინტერესო, რომ, ამაში აქვე დავრწმუნდ-

84

ბით, მას კავშირი ჰქონდა თეიმურაზის თავგადასავალთან და საქართველოს ისტორიასთან, კავშირი, რომელმაც კახთა მეფეს ათქმევინა:

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი და სხვ. (იხ. ზემოთ).

ნუ თუ ამ ქების მიზეზი მარტო ის იყო. რომ იმამ-ყული-ხანმა ქეთევანს ბრძანება:

ან გათათრდი, ან...

32,4

სამს თვეს არა გაუცხადა, ამისი ჰქონდა ჩენანი-ო?

არა, თეიმურაზს შირაზელ ძლიერ, გათათრებულ ქართველ ბატონებთან (ნამდვილი ბუდე ყოფილა იქ) უფრო მჭიდრო და პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონოდა.

ჰერბერტს აღწერილი აქვს საზეიმო ნადიმი ანუ მეჯლისი, რომლითაც იმამ-ყული-ხანმა ინგლისის ელჩს პატივი სცა. თუმცა კი, თვით სერ დოდმორის აზრით, ეს პატივი სრული არ ყოფილა. მეტად გვიან, სადილის მირთმევის შემდეგ გამოეცხადა სამეჯლისო დარბაზში იმამ-ყული-ხან და ინგლისის მეფის სადღეგრძელოც მაშინ ინება. ისე-კი, მეჯლისი დიდებული იყო. საამისო სასახლეში ჰერბერტი იხსენიებს ოც მოოქროვებულ სვეტს, ამგვარადვე შემკულ ჭერს და საყურადღებო მხატვრობასაც: წარმოადგენდა მაშინ სულ ახალ, ხუთი წლის ამბავს – ორმუხის დაპყრობას და აოხრებას იმამ-ყული-ხანის მიერ; ინგლისელთა საომარ ხომალდებსაც.

85

იმ პავილიონიდგან, სადაც წარჩინებული უცხოელები მოათავსეს ე. ი. საელჩოს უმცროსი წევრები და აგრეთვე სულთნები, ორმუხის თავადები, მთავარი მოხელენი, ყიზილბაშნი, საპატიო სოვდაგრები, დანახვა შეიძლებოდა ერთი ეზოსი, სადაც რჩეულ მოქალაქეთათვის იყო გაშლილი სუფრა, და მეორესიც: იქ 500-მდე მდაბიო ხალხს უმასპინძლდებოდნენ.

მთავარ დარბაზში, სახელმწიფო მოწყობილობით, ხანდარ-ხანის გვერდით, თვით ინგლისის ელჩი დასვეს. როგორც ვსთქვით, იმამ-ყული-ხანი გვიან მობრძანდა. მას წინ უძღოდა ოცდაათი ჭაბუკი, მდიდრულად ჩაცმულ-შეიარაღებული; ხელთ ეყარათ სანადირო ქორ-შევარდნები.

სერ დოდმორის მარცხნივ იყო ახალგაზრდა (18 წლის) შვილი იმამ-ყული-ხანისა. ბეგლარ-ბეგად ითვლებოდა. მერე იჯდა ორმუხის მეფე, საპატიო ტყვეობაში მყოფი. სუფრის თავში თვით მასპინძელი ბრძანდებოდა. მარჯვნივ შირაზის ბატონს ჰყავდა ერთი „ტარტარიის პრინცი“, რომლის ვინაობაზე არ გავჩერდები და ერთი ჩვენთვის საყურადღებო პირი, სახელად **თრების ხან**. იმამ-ყული-ხანის პირდაპირ ორმუხელ მეფესა და „თრების-ხანს შუა რობერტ შერლეი, ძველი გამოცდილი „სპარსელი“ მოათავსეს.

ვინ იყო ეს თრების-ხან? საკმარიასია წავიკითხოთ რასაც ამაზე ამბობს თომას ჰერბერტი: „ნუგემ მოწყვეტილი საქართველოს პრინცი, გულოვანი გვამი, ლაშქრობაში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“, რომ ვსთქვათ –ეს თეიმურაზ პირვე-

ლი უნდა იყოს. დახასიათება ხომ სავსებით უდგება მას, ხოლო სახელი თუ არაა სწორედ გადმოცემული, ეს ინგლისელისაგან მოსალოდნელია და ბუნებრივი.

აქ ეჭვს ადგილი აღარა აქვს. თრების-ხან იგივეა, რაც თებროს-ხან, და ამ სახელით იხსენიება თეიმურაზი იმ ფრანგი იეზუიტის მოხსენებაში, რომელიც 1615 წ. ნიადაგის გამოსარკვევად სამეგრელოში ჩამოსულა. (ამაზე იხ. ზემოთ). მისი სიტყვით, დადიანი მაშინ სულ ნადირობაში იყო გართული, მერე იმიტომაც არ სცალოდა, რომ სტუმრად ახალი ჩამოსული თებროს-ხან ჰყავდაო, ქართველი მეფე (პრინცი), სპარსეთის შაჰს ერთი წლით ადრე მისი სამფლობელოთგან რომ გამოეძევებინაო და სხვა. ცხადია, ეს თეიმურაზ პირველია. 1615 წელს მართლაც, დასავლეთ საქართველოში, უფრო გიორგი იმერელთან იყო. ლევან დადიანს თავის ბიძაშვილი თეიმურაზისათვის დიდი ნადიმი გაემართა, მას ეს იეზუიტიც ეწვია ამხანაგით; საუბარიც ჰქონდა თეიმურაზთან. ბოლოს კი, სჩანს, აქეიფეს და ამღერეს ეს კათოლიკე მღვდლები. შირაზის 1628 წლის ნადიმი სხვა იქნებოდა და თეიმურაზი იქ მოწყენილი ბრძანდებოდა. 1624 წ. მომხდარის შემდეგ ბუნებრივად იყო.

„თრების ხანის“ და იეზუიტი ლ. გრანჟერის შეხვედრაზე სამეგრელოში თვით ჰერბერტსაცა აქვს ცნობა.

მაგრამ რამ მოიყვანა თეიმურაზ პირველი, განადგურებული კახეთის მეფე და წამებული დედის შვილი, იმ სპარსეთში, რომლის ხელმწიფე მისივე სიტყვით, იყო:

87

14,2-3

ქრისტიანეთა მტანჯველი, უბრალოს სისხლთა
მჩქეფელი,
ეროდias წილ მჯდომელი... და სხვა?

პოლიტიკამ იცის ამგვარი, ფარული და აღკრძალული გზებით სიარული.

თავი მეხუთე

დავით უნდილაძე

მარაბდის ომში (ივნისი 1625 წ.) დამარცხდნენ

თეიმურაზი, გ. სააკაძე და მათი მომხრე ქართველები. ამის შემდეგ კახთა მეფე შაჰაბაზს ურიგდება.

როგორ მოხდა ეს?

თ. ჰერბერტს ჩაწერილი აქვს მისი თანამგზავრ შერლეის ერთი ნაამბობი საქართველოს საქმეებზე. ამ მოკლე მიმოხილვაში იხსენიება დიდი მოურავის მიერ სპარსელებზე ანაზღეული და კარგად ცნობილი თავდასხმა (ნორიო-მარტყოფში, მარტი, 1625 წელს.) ხუთასი კაციტ შვიდასი ამოწყვიტაო, მათ შორის 11 ხანი და ბეგლარ-ბეგი, მაგრამ მარაბდის ომი მან არ იცოდა ან ჰერბერტს არ ჩაეწერა. ერთი რამ კი დაუმატა შერლეიმ: ზოგიერთი ქართველი **ყიზილბაშის** ე. .ი გათათრებული ქართველის საშუალებით, აზბას დაერწმუნებინა ქართველები მშვიდობა და ზავი მიიწაო თქვენთან, ე. ი. ყენი დაზავების მომხრე შეიქმნა.

ეს უ კანასკნელი ცნობა მნიშვნელოვანია, და მას ადასტურებს სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში, როცა ამბობს, რომ (გიორგი სააკაძეს და თეიმურაზს შორის ატეხილი ბრძოლის შემდეგ, როცა დამარცხებულმა მოურავმა საბოლოოდ ოსმალე-

91

ბისაკენ იბრუნა პირი) თეიმურაზმა ისევ ყენთან დაახლოება მოინდომაო და ამ საქმისათვის ერთი დაუდ-ხანს შემწეობით და შუამავლობით ისარგებლაო. ხოლო ეს **დაუდ-ხან** იყო შირაზელი იმამ-ყული-ხანის ძმა და ალლაჰვერდი-ხანის შვილი; ითვლებოდა ფარსის ბეგლარ-ბეგად და იმ დროს - ალბად 1626 წ. - თბილისში იყო.

კომპრომისის ძებნა თეიმურაზის მიერ აშკარად აიხსნება მისი შიშით - ოსმალების დახმარებით დიდმა მოურავმა ქართლი, ვინ იცის! კახეთიც არ წამართვას და არ დაიჭიროსო! და უსპარსეთოდ, საკუთარი ძალით, ოსმალეთისაგან ზურგ გამაგრებულ მეტოქესთან ბრძოლას ხომ ვერ შესძლებდა!

შაჰაბაზისათვის, რომელიც მაშინ ბაღდადის მხარეს ოსმალებს ეომებოდა, თეიმურაზის ყმობა და მეგობრობა მის მტრობაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. და მან იცნო კიდევ კახთა მეფე ქართლის და კახეთის ბატონად, ვალის ხარისხით. მართალია, ეს ორი სამეფო თეიმურაზმა ისედაც დაიპყრო 1625-26 წ. და შაჰაბაზი მხოლოდ არსებულ მდგომარეობას ადასტურებდა. მაინც ამგვარ ფორმალურ ცნობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მაშასადამე, 1626 წ. მიუხედავად ნორიო-მარტ-

ყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომისა, სპარსეთის მფარველობა და წყალობა ისევე ძველებურად მოინდომა და ინება თეიმურაზმა ახალი მიზნისათვის – რათა სააკაძესთან ბრძოლაში მარტო ხელა არ დარჩენილიყო. მან დაივიწყა კახეთის საზარელი აოხრება, 1614-1615 წ. და ისიც, რომ მას იქ,

92

სპარსეთში, დაახლოვებით 1618 წ. ორი შვილი დაუსაჭურისეს, ქეთევან დედოფალთან ერთად მძევლად რომ წაეყვანა შაჰაბაზს 1614 წ. ისიც, რომ მეგობარი, ახლო ნათესავი და მოკავშირე, ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე შვილდის საბელით მოამთვეს შირაზთან ახლო, 1620 წ. და ბოლოს, 1624 წ. მისი დედაც.

8,4

მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქალია.

შირაზშივე აწამეს აუწერელი ტანჯვით. აუწერელი? თვით თეიმურაზმა მისი სიკვდილი თავისი პოეზიის საგნად გახადა, და დიდი პათოსით დაწვრილებითა აქვს აღწერილი.

შაჰაბაზთან ამგვარი გვიანი შერიგებით თეიმურაზისათვის სპარსეთის გზები ისევ გაიხსნა (იხ. ამაზე აგრეთვე ზემოდ, თავი მესამე, ბერძნული პამფლეტის ცნობები), და სწორედ იმამ-ყული-ხანის ძმის, დაუთ-ხანის ამ საქმეში მონაწილეობა თომას ჰერბერტის ისედაც გარკვეულ ჩვენებას კიდევ უფრო ამაგრებს და თეიმურაზის სტუმრობა შირაზში 1628 წ. ჩვენთვის სავსებით გასაგებიც ხდება.

არჩილის მიერ „ნათქვამ“ თეიმურაზის ცხოვრებაში ეს არაა მოხსენებული. რომ თეიმურაზს განზრახული ჰქონდა შაჰაბაზთან მისულიყო, ამას არჩილიც ამბობს. იგი გადმოგვცემს, რომ ზურაბ, არაგვის ერსთავი, სვიმონ პირველის შვილის-შვილს, მეორე „სვიმონს მოვიდა ქარ-

93

თლი დააჭერინა, მერე მოჰკლა და თავი კახთბატონს გაუგზავნა, და ისევ მეფეს თეიმურაზს დააჭერინა ქართლი სრულიად" (მეტად მჭევრ-მეტყველია ეს სათაური „არჩილიან“-ში!). ამის შემდეგ პოეტი თეიმურაზს ათქმევინებს:

თავი უფადარს*) მამწივა, ყაენთან წასვლას
მდომელსა,

მაგრამ

497, 1:

ადარ წაველ ყეენთანა, ისევ ქართლსა

მოუბრუნდი-ო.

ბოლოს სპარსეთში რომ წავიდა, ეს ეხლა ხომ ეჭვის გარეშეა. მას შეეძლო შირაზში ეცხოვრა იმამ-ყული-ხანთან და ყენი სრულებითაც არ ენახა. პირადი შეხვედრა მათთვის „სისხლის წვიმების“ და საერთოდ მომხდარის შემდეგ, არც ისე სასურველი და სასიხარულო იქნებოდა.

რა იცოდა ამ შირაზელ „ერისთავთ-ერისთავმა, რომ მას ძვირად დაუჯდებოდა თეიმურაზის მეგობრობა.

მკითხველს ახსოვს, რომ შაჰაბაზის და თეიმურაზის შერიგებას იმამ-ყული-ხანის ძმამ, დაუთხანმა შეუწყო ხელი. თავისი ძმის სამფლობელოში

*) თავი ე. ი. მოკლული „პატარა“ სვიმონის თავი; უფადარი – კახეთშია, შირაქის ქვეით, იორალაზნის შესართავთან.

94

მასაც ეჭირა დიდი თანამდებობა. როგორც მისი ძმისა, მისი სახელიც ჯერ ცოცხალი და განთქმული იყო სამხრეთ სპარსეთში, ნახევარი საუკუნის შემდეგაც. 1674 წ. შარდენი შირაზში დაუდ-ხანის ბაზარს იხსენიებს: დიდი 200-ოთახიანი, ინდოელ ვაჭართათვის დანიშნული ქარვასლით. სახელოვანი იმამ-ყული-ხანის ძმის, დაუდ-ხანის ბრძანებით აშენებული იყო. ისპაჰანიდგან ბენდერ-აბზასისკენ წამოსულ შარდენს გზაში ერთი დიდი სოფელიც გაევლო, სახელად: ანაზადი, გინა „სანდო ბინა“ – ასე დაარქვესო იმ ციხის მსგავსი შენობის მიზეზით, რომელიც ოდესღაც დაუთხანს აქ აუშენებია.

ეს ადგილი, დაუდ-ხანის თანამედროვეს ჰერბერტსაც აქვს აღწერილი.

ეს იყო 1628 წ., და მაშინ იქ 30 კომლი ცხოვრობდა, უმეტესად ქრისტიანობიდან განდგომილი ქართველები. ეს სოფელი გალავნით ყოფილა გამაგრებული და უფრო ციხესა ჰგავდაო. იქ დაუდ-ხანი ბატონობსო. შიგ ქარვასლაც იყო და მას პირადათ საკუთარი სამეჯლისო სახლებიც ჰქონდა; „რომელშიაც მე შევსულვარ, ხუთი ოთახი ჰქონდა ერთ სართულად, საუცხოო მხატვრობით

შემკული და მოოქრული. ბაღები კარგი წესით იყო დალაგებული, და ვირგილიუსისა არ იყოს (წიგ. 2 გეორგ.), გაზაფხული სუყველაფერს ამშვენებდა. სხვა ყვავილთ შორის, იქ იყო მრავალფეროვანი სუმბულები და ვარდები; ასე რომ ამ სახლსა და ბაღებზე ვიტყვოდი: -

95

მუნ სხვა და სხვა ფორმით და საყურადღებო სახეებით დაუთ-ხანის სახლი და ბაღები თვალ წინ გვევლინებია.“

(ეს ლექსად გამოთქმულია ინგლისურად, და ამისი მსგავსი რამ ლათინურადაც. ინგლისის რენესანსის კაცია, და ყმაწვილი ჰერბერტის მოთხრობას ხშირად აჭრელებს ზედმეტი ლათინურბერძნული ციტატები).

ლათინური ლექსით, გათათრებული ქართველის ქება, შექსპირის თითქმის თანამედროვე ინგლისელის მიერ და სად? შირაზის მიდამოებში, - ესეც არა ჩვეულებრივი რამეა!

ამ დაუდ-ხანის, **რომლის ნამდვილი სახელი დავით უნდილაძე** იყო, პორტრეტაც არსებობს, კასტელის დახატული, იტალიური წარწერით: „დაუდ-ხან სპარსელი“ და ბერძნულით: „ბატონი განჯისა“. ხელში ლახტი უჭირავს.*).

როგორც სხვა იმ დროინდელ მოგზაურებს სპარსეთში, მაგალითად პ. დელლა ვალეს ფიგეროას, ჰერბერტსაც მოეპოვება ცნობები შაჰაბაზის მიერ გადასახლებული ქართველების შესახებ, რაიც მაშინ სულ ახალი ამბავი იყო. სწორეთ შირაზის ქვეყანაში, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები

*) მეორე იტალიური წარწერა, სურათის მარჯვნივ, უმატებს: დაუდ-ხან, შირაზის ხანის ძმა, ჩვენი პატრების ქველმომქმედი საქართველოს სამეფოში. თვით სურათი იხ. ამ „თეიმურაზის“ ინგლისურ თარგმანში. Geographica. V, 3, London 1937.

96

ბატონობდნენ - ვინ იცის, ამ მიზეზით ხომ არ იყო ეს - შეხვდებოდით საქართველოდან აყრილ მოსახლეობის ზოგიერთ ახალშენებს.

შირაზ-ისპაჰანის გზაზე ერთი სადგური, „მანძილი“ - ასპასი იყო. „ადგილი ძველი ციხით აღსანიშნავი... რომელშიაც და რომლის გარშემო არა ნაკლებ ორმოცი ათასისა, ასე გვითხრეს, ქართვე-

ლები და ჩერქეზები (?) ცხოვრობენო, სარწმუნოებით ქრისტიანები. ხოლო ტყვეებად ჩაითვლებიან და ძალით გადმოსახლებულნი არიან აქეთკენ**).

ნახევარ საუკუნით ჰერბერტის შემდეგ, სხვა ინგლისელის მოგზაურობაშიც გვხვდება ამ ასპასის და იქაური ქართველების ხსენება. ჯონ ფრაიერ, ოსტ-ინდიის კომპანიის სამსახურში მყოფი ექიმი (1672-1681) შირაზიდან ისპაჰანისკენ მიმავალი, შენიშნავს შემდეგს ამ დაბაზე: „დასახლებულია

*) ეს „ჩერქეზები“ უფრო დაღისტნელები იქნებოდნენ. მათი ვინაობის გამორკვევა აქ უადგილო იქნებოდა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ეგრედ წოდებული პარიზის ქრონიკით, როცა შაჰაბაზმა კახეთი „მოაოხრა“ მან „აღხოცნა პირითა მახვილისათა ყოველნი ქვეყანანი მთისანი: ერწო თიანეთი, პირი არაგვისა ზემოთგან ვიდრე ავჭალამდე, მარტყოფი, უჯარმა, საგარეჯო, ჩერქეზნი დილითგან ვიდრე მცირემდე...“ (პარ. ქრონ. 47ა – 48). საფიქრებელია, რომ ასპასის ჩერქეზები შირაზის ქვეყანაში და ეს გარეთკახელი „ჩერქეზნი“ ერთნი იყვნენ.

97

აწ ქართველი ქრისტიანებით. მიწის დამუშავებას და ვაზის შენებას მისდევენ, რომელიც ძალიან მოსავლიანია გორაკების კალთებზე; აწინდელ სპარსელებზე უფრო თეთრი ხალხია, და უფრო ცოცხალი ფერისა, წარმოსადეგი და კარგად მოყვანილი ბიჭებია. მათ შორის ბევრი მაჰმადიანობაზე მოიქცა, სპარსული სექტის წესზე, ვინაიდან ხელმწიფის ყმები არიან“.*)

შირაზის ქვეყანაში ქართველების მევენახეობა მარტივ პასუხს იძლევა ივ. ჯავახიშვილის მიერ („საქართველოს ეკონომიური ისტორიას, წ. 2-რე, 1934 წ., გვ. 412-13) დასმულ კითხვაზე: როგორ მოხდა, რომ შირაზის ყურძნის ჯიშს, ევროპიელები ქართული სახელით იცნობენო („შირაზული“)? ალბათ შირაზელ ქართველებისაგან ჰქონდათ გაგონილი.

ეს კახეთიდან გადასახლებული ქართველები, სჩანს თავიდგანვე შირაზის ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ. ჰერბერტის ერთი თანამგზავრი, იმავე საელჩოს წევრი რ. სტოდარტ აღნიშნავს თავის დღიურში (ეს იყო 19 ოკტ. 1628,

*) ამ ქართველების სულისკვეთება იხატება ერთ გადმოცემაში, რომელიც შეტანილია ს. ორბელიანის ლექსიკონშიც. შირაზში ერთი ფრინველი ცხოვრობსო, მსგავსი გვრიტისა, როცა კაცს ნახავს,

„იწყებს ძახილს ქართულის ენით: „**ნუ გაათართდები**“ და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ **გაურყუმი**, ვითომც უსჯულო ფრინველი.“

98

ზღვისკენ რომ ბრუნდებოდნენ), აქებს რა ასპასის სადგურს, რომ იქ კარგი წყალი იყო, კარგი ღვინოც, რომელიც ტყვე ქართველ ქრისტიანთაგან ვიყიდეთო (იხ. მისი დღიური, 1935 წ. გამოცემული).

მაგრამ დავუბრუნდეთ დაუდ-ხანს.

1625 წ დიდი აჯანყების დროს იგი არ იქცეოდა ისე, როგორც შეეფერებოდა შაჰაბაზის ერთგულ ყმას და თითქმის გ. სააკაძეს ეხმარებოდა, მაგრამ 1625-26 წ. მისი შუამდგომლობით კახთ მეფე ურიგდება სპარსეთს. მერე თეიმურაზი ხომ შირაზშიაც ვნახეთ დაუთ-ხანის ძმასთან. ეს ბაზალეთის ომის შემდეგ იყო, და მაშინ დიდმა მოურავმა საბოლოოდ ამოირჩია ოსმალეთის გზა, თეიმურაზმა კი სპარსეთისა. ეს „საბოლოოდ“ სააკაძისათვის ადვილი იყო, მალე (1629 წ.) დაიღუპა, თეიმურაზისთვის კი უფრო ძნელი. იმავე 1629 წ. დამდეგს შაჰაბაზიც მიიცვალა. მისმა შვილის შვილმა და მემკვიდრე შაჰსეფიმ ტახტი დაიპყრო ისპაჰანის მოურავის ხოსროვ-მირზას – მერმინდელი როსტომ მეფის – დახმარებით. ამით თეიმურაზს ძლიერი მეტოქე აღმოუჩნდა, ქართლის მეფეთა ჩამომავალი, ქართველთა თვალში კანონიერი მემკვიდრე და სპარსეთში ერთი პირველთაგანი.

ამ ხანში შესულ და სპარსეთით ცოტა დაღლილ კაცს თვით თეიმურაზმა მისცა საუკეთესო შემთხვევა და საბაზი, რათა ჩაეგდო ხელში ქართლი (მერე, კახეთიც) და გამხდარიყო როსტომ მეფე.

თეიმურაზმა იფიქრა, შაჰაბაზის დრო წასულია,

99

იწყება ახალი ხანა და ოსმალეთთან განახლებული ომი სპარსეთისათვის აწ საზარალო შეიქნებაო. მან ილაშქრა და მოაოხრა განჯა-ყარაბაღის მხარე „არეზს აქეთი“, და ამ ლაშქრობა-დარბევაში ლევან დადიანმაც თვისი ჯარით, იმერლებმა და მესხებმაც მიიღეს მონაწილეობა. ეს განახლებულ „ოსმალურ“ მიმართულებას აჩვენებს. არის აგრეთვე ამგვარ გამოლაშქრებაში უფრო ძველ დროთა გამოძახილიც.

ამ „არეზს აქეთის მორბევა“-ში, თეიმურაზის მეთაურობით, დაუთ-ხანიც მასთან იყო.

ამის თაობაზე არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს,

სხვათა შორის,

523, 1-2:

დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილაძე, ბეგლარ
ბეგად,
წამოვიდა, მამივიდა, თვით ჩემთანვე იყო
მდეგად.

ამნაირად ირკვევა, რომ მისი გვარი უნდილაძე იყო.

თავის მხრივ, ფარსადან გორგიჯანიძე, იხსენიებს რა დაუდ-ხანის ამ ორგულობას და სპარსეთისადმი ღალატს, გარკვეულად ამბობს, რომ ეს დაუდ-ხანი შირაზის ბატონის იმან-ყული-ხანის ძმა იყო. დაუთ-ხან უნდილაძის და შირაზელ იმან-ყული-ხანის ძმის იგივეობა ეჭვს გარეშეა.

ამ დაუთ-ხანს ებარა ყაჯარის ელეები და მან ივრის ნაპირზე მოიყვანა ისინი.

100

(არჩ. 523, 4):

მერმე კახნი თავს დაასხა მოსასვრელად,
გარდაგებად...

არსებითად ამ მიქმედებით სამაგიერო გადაუხადეს იმათ, ვინც მონაწილე იყო საქართველოს, კერძოდ კახეთის უმაგალითო აკლებისა და იმ „სისხლის წვიმების“, რომელიც მე-19 საუკუნეშიაც ახსოვდათ.

„არჩილიან“-ში ეს ლაშქრობა, რასაკვირველია, თეიმურაზის ერთ-ერთ პირად „საქმედ საგმიროდ“ არის წარმოდგენილი.

522, 1-2:

აწ და ჩაველ არეხს აქეთ, მოვაოხრე,
მოვარბივე,
ორ-გული და ურჩი ჩემი, ვინც გამოჩნდა,
დავარბივე...

მისი ნამდვილი ვითარება გორგიჯანიძის ისტორიაშია ახსნილი. იგი იხსენიებს ლევან დადიანის, ალექსანდრე იმერელის, მესხ-ქართლელ-კახელთ ამ საქმეში მონაწილეობას და ხაზს უსვამს სომხის განძასარის ე. ი. ყარაბაღელი კათალიკოზის თათბირს თეიმურაზთან. მან ურჩია: **შვიდის საქართველოს** ლაშქარნი თან გახლავსო, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოგისხამო (!), ამავე ფეხსზედ თავრიზს მიბრძანდიო და **შვიდს დღეს თავრიზი და-**

არბევინეთო, და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქარს უნაგარიშეთო და სადამდისინ ყაენი ლაშქარს

101

შეიყრიდესო, ადერბიჟანის ბატონები გამოსცვალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო და მე ხონთქართან გამგზავნეთო, იმისგან ლაშქარს მოგაშველებთო".

ამ მნიშვნელოვან და მომხიბლავ გეგმაზე თეიმურაზმა უარი სთქვა; ალბად იმიტომ, რომ იცოდა, რას მოასწავებდა მაშინდელ პირობებში ოსმალების შემოსევა. სომეხთ მღვდელთ-მთავართ სამართლიანად და მწარე ოხუნჯობით ეუბნებოდა: **ძროხა ცხვრისათვის დადიანი და იმერელი მეფე არ წამოგესხაო**, ქართლსა და კახეთშიც იშოვიდიო და ერანის ხემწიფე ამდენს როდის გაცლისო, რომ შენ მეორედ კიდევ ამრიგი ლაშქარი შეიყარო“-ო.

არ დაუჯერა თეიმურაზმა, ამოირჩია უკეთესი ნაწილი, განჯიდან აიყარა, დაუთ-ხანი და სომხის კათალიკოზი გორს წამოიყვანა. „დადიანი და მეფე ალქსანდრე და მესხთ თავადნი ალხინა და... ანადირა და კარგად შეაქცია და ყველას მრავალი საჩუქარი მიაართვა და გაისტუმრა“.

სომეხი კათალიკოზი ერთში მართალი იყო. გაიარა მთელმა საუკუნემ, სანამ ქართველთა მეფემ, იმავე ადგილებში, დიდი ქართულ-სომხური ჯარი შეკყარა: ეს იყო რუსის ხელმწიფის პეტრე პირველის ლაშქრობის დროს სპარსეთში 1722 წ. და ვახტანგ მეფემაც ამითი მაშინ ვერა მოახერხა რა.

102

თავი მეექვსე

ეპილოგი.

თეიმურაზს და დაუთხანს ძვირათ დაუჯდათ „არეზის აქეთის“ ამგვარი დარბევა. საბაბად შეიქმნა მეფე როსტომისათვის ქართლის მიცემისა. დიდი ამალით, ძალებით, ფულით დ მტკიცე განზრახვით ჩამოვიდა სპარსეთითგან და განახორციელა ის რაც ვერ შესძლეს მისმა მამამ, დაუთ-ხანმა, სვიმონ პირველის ძმამ, ვერც კონსტანტინე კახელმა, კუსტენდილ-ხანმა, თეიმურაზის ბიძამ, სახელდობრ სპარსულ-ქართული შეთანხმება ანუ კომპრომისი. მან უფრო თავის ბიძის, სვიმონ პირველის საქმე გააგრძელა.

დაუთ-ხან უნდილაძე იძულებული გახდა საოს-
მალოში გადასულიყო*). მისი ღალატის შედეგი

*) მისი სურათის (იხ. ზემოდ, მე-5 თავში) მთა-
ვარ, ლათინურ წარწერაშიც ვკითხულობთ, რომ
დაუთ განჯელის ძმა, იმამ ყული-ხან შირაზელი
სპარსთა მეფემ მოაკვლევინა, და დაუდ-ხან ამგვა-
რივე ბედის შიშით საოსმალოსკენ ლტოლვილი
გზაში ამ პატრების (იგულისხმებიან თეატინები) სახ-
ლში სტუმარი იყო. პატრებმა პატივი სცეს და
მანაც შესაფერი წყალობა უბოძაო.

105

ისიც იყო, რომ მისი და მისი ძმის, იმამ-ყული-ხან-
ის ოჯახი და დიდება ძირიანად მოისპო. „შაჰ სე-
ფი ყაენმან იმამ-ყული-ხან შვილებიანათ დახოცა
და დაუდ-ხანის შვილები დაახოჯაა. ...ძველითგან
ნათქვამია, თავისის ბატონის ორგულს კარგი არ
დაემართების“ო - ესაა საბოლოო დასკვნა ფარსა-
დანისა ერთ-ერთი ბედის ტრიალზე, რომელმაც დი-
დათ შეზარა თანამედროვენი.

იმ ხანებში ოსტ-ინდიის კომპანია დაინტერესე-
ბული იყო, როგორც 1622 წ. სპარსელთა და-
ხმარებით პორტუგალიელთა სიმაგრე ორმუზი დაა-
ნგრიეს, ისე მუსკატიდანაც, წყლის გაღმა არაბეთის
ნაპირზე, იქვე სპარსეთის ყურეში, გაერეკათ ეს მე-
ტოქენი. ხოლო სპარსეთის მხრივ ამგვარ საქმეებს
ხომ შირაზის ბატონი ხელმძღვანელობდა ხოლმე.

27 იანვარს 1633 წელს კომპანიის რწმუნებულე-
ბი ატყობინებენ გამგეობას, რომ ხმები გავიგეთო,
შაჰის პირადი ბრძანებით შირაზის ჰერცოგის ძაღე-
ბი ქართველების წინააღმდეგ გაგზავნილიაო; მათ
თურმე სპარსეთის მხარეები დაურბევიათ, მისი ჯა-
რი დაუმარცხებიათ, და შირაზის ბატონის ძმაც
ტყვედ წაუყვანიათო. (ვისგანაც გაეგოთ, დაუდ-ხა-
ნის განჯის ბეგლარ-ბეგობა იცოდნენ და ალბად თა-
ვდაპირველად იფიქრეს, ტყვედ ჩაუვარდა ქართვე-
ლებს. მისი ღალატი ჯერ აზრადაც არ მოსვლიათ).

15 მარტის 1633 წ. წერილში პრეზიდენტის და
გამგეობის მიმართ, სურატში (ინდოეთს), ნათქვა-
მია: „მუსკატის შესახები გეგმა ჩაიშალა, ვინაიდან
მისი მთავარი აღმასრულებელი, კომპანიის ძველი

106

მეგობარი, შირაზის დიუკი და მისი სამი შვილი
აქაური მეფის განკარგულებით აღესრულნენ საზა-
რელად ყაზვინში. ამასთანავე ყველა ძაღები საქარ-
თველოს ომებისაკენ მიმართულია, რომელმაც ბო-

ლოს დროს მეფის (შაჰის) მიერ გამოწვეული რომელიღაც უკმაყოფილების გამო დიდი აჯანყებები მოახდინა ამ სამეფოში" ე. ი. სპარსეთში.

24 მარტს კიდევ უფრო სრულ ცნობებს აწოდებს ერთი კაპიტანი გომბრუნი-დან (ზღვის ნაპირზე): შირაზის ხანს და მის სამს შვილს თავი გააგდებინეს და მისი სამფლობელოც სხვებს დაურიგესო. ზოგი მისი შვილთაგანი არაბეთში გადაიხვეწა, ხოლო მისი ძმა, ქართველებს რომ მიემხრო, ამ ტრადედიის მიზეზი ეს ყოფილა - აწ ამ ხალხთან ერთად აჯანყებულია ხელმწიფის წინააღმდეგო. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ოსმალეთი ლა-მობს ბაღდადისაკენ მოძრაობასო, და შაჰს 10,000 ჯარი ჰყავს, მეტი არაო. ყველანი ისე ზარდაცემულნი არიან, ყველას ისე ეშინია ამ ხელმწიფის მრის-ხანებისა, რომ მისვლასა და ჯარების მიყვანასაც ვერ ბედავენ თავადებო. ვაჭრები კი სულ შეშინებულინი არიან. ხანლარ-ხანის ვერაგული მოკვლა ამ წერილში ახსნილია ამგვარად: თუმცა მან სცადა, მაინც ვერ მოახერხა მისი ძმის ე. ი. დავითის დაბრუნება და ხელახლად დამორჩილება, და გან-რისხებულმა შაჰსეფიმ ამისათვის მოაკვლევინაო.

რა იყო მიზეზი დაუთ-ხანის ღალატისა, ამასაც ეხება ინგლისელი, ამ მოხსენების დამწერი. ერთხელ ნადიმის დროს რაღაცა მეტად თავისუფალი ეთქვაო და ყენის ბრძანებით მყისვე გამოუყვანიათ და

107

ჯობით უცემიათო. გულმოსული ანდა შეშინებული, დაუთ-ხანი ქართველებთან გაიქცაო.

ეს ცნობა არსებითად ეთანხმება ფარსადან გორგიჯანიძის ნათქვამსაც:

„ყაენს როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიში-დან გაეგდებინა და ეს ჯავრი დაუდხანს ვერ მოეთმინა. ამისთვის დაუწყო თეიმურაზ მეფეს მოციქულობა" და სხვა.

როდინდელია ეს უკანასკნელი ამბავი, ნათლად არა სჩანს. ათველ შემთხვევაში, 1626 წ. დაუთ-ხანი საქართველოში სპარსეთის დარაჯია. ერთს ინგლისურს წერილში ოსტ-ინდიის საზოგადოების მიმართ, 19 მაისის 1626 წლის თარიღით (ისპაჰანით) მოხსენებულა: შაჰი და შირაზის ხანი დიდი ჯარით ეხმარებიან ბაღდადს, რომელიც ოსმალების მიერ უკვე 8 თვეა, რაც გარემოცულია. იერიშებით ვერა გააკეთეს რა. „ქართველები თითქმის წყნარად არიან, ვინაიდან შირაზის ხანის ძმა მათ აჩერებს“ო. ოსმალეთის მოკავშირე ქურთები თავრიზის მიდამოებს აწუხებენო, რათა სპარსეთის ძალების ერთი

ნაწილი ბაღდადიდან მოაშორონო და სხვა. ცხადია, ამ რთულ სამხედრო მდგომარეობაში რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველების თავის ფარგლებში გაჩერებას, და ამ ამოცანას მაშინ დაუთ-ხანი ასრულებდა.

როცა ინგლისის ელჩი შირაზში ეწვია 1628 წ. იმამ-ყული-ხანს, მისი პოლიტიკური ბედი უაღრესი იყო. და არაფერი მის დანგრევას არ მოასწავებდა. დაუთ-ხანს რომ შეურაცხყოფა მიაყენეს, ეს ჰსეფის გამეფების შემდგომად (1629 წ.) უნდა მო-

108

მხდარიყო. და ვინაიდან ეს ხოსროვ-მირზა როსტომის მიზეზით იყო, საფიქრებელია, რომ ამ უკანასკნელს, იცოდა რა თეიმურაზის და შირაზელ ძმათა მეგობრობა, მათ წინააღმდეგ ადრე დაეწყო ბრძოლა. ამას მოჰყვა დაუდ-ხანის ღალატი, განჯა-ყარაბაღის დარბევა, და შირაზელთა ამოწყვეტა. როსტომს ამ ღალატმა ქართლის მიღება გაუადვილა, თუმცა ისედაც უფრო მას ერგებოდა – არ იყო განა ქართლის მეფეთა ჩამომავალი? იქაური დიდებულები, ვინც იცოდა მისი ძალა და გავლენა შაჰსეფის წინაშე და ვინც თვითონ სპარსული მიმართულებისა იყო, რასაკვირველია როსტომს მიემხრო.

შაჰსეფიმ დაუთ-ხანის ღალატით საბაზი იშოვა არა მარტო ქართლის სანდო ხელში მოსათავსებლად, არამედ შირაზელი ხანლარ-ხანის უზარმაზარ საბატონოს მოსასპობად და ჩვეულებრივ სახანოებად დასაყოფად.

ამ ინგლისური საბუთებით იმამ-ყული-ხანის ამოწყვეტა უნდა მომხდარიყო 1633 წ. თებერვალში ანდა მარტში, განჯა-ყარაბაღის დარბევა ქართველების მიერ და დაუთ-ხანის თეიმურაზთან ერთად მოქმედება – 1632 წ. ალბად მაშინვე 1632 წ.

როსტომ მეფემაც მიიღო ქართლი.

სამხრეთ სპარსეთში მომქმედი ინგლისელთათვის დიდათ მნიშვნელოვანი იყო შირაზის „ჰერცოგის“ ესოდენ მოულოდნელი მოსპობა. მაგრამ ამ საქმის ქართული ეპილოგიც არ ყოფილა მათთვის ინტერესს მოკლებული. 28/30 სექტემბრის თარიღით, 1633 წ. ისპაჰანითგან ოსტ-ინდიის კომპანიის წარმომდგენელი ატყობინებს მას, რომ „თითქმის

109

სრული საქართველო (იგულისხმება ქართლ-კახეთი) აწ აქაურ ხელმწიფეს ემორჩილება; უღალატეს, ასე გვატყობინებენ, თვით საკუთარმა დიდე-

ბულებმა, ასე რომ მეფე თეიმურაზ-ხან (ტამორის კანნი), თავისი ცოლით და შვილებით იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ერთ მეზობელ პრინცთან, თავის სიძესთან. ეს ადგილი, ამბობენ, მიუწვდომელია და იქ იმყოფება უკეთეს დრომდეო.“

მართლაც, მეფე როსტომ, ერანის ლაშქრით, რომელსაც სარდლობდა თავრიზის ბეგლარ-ბეგი როსტომ-ხან სააკაძე, და ქართლის თავადებით თბილისს უახლოვდებოდა, და ულაშქროდ დარჩენილ თეიმურაზს ომი არ შეეძლო, მეშველი არავინ ჰყავდა, და გადავიდა ალექსანდრე მეფესთან, იმერეთში უკეთეს დროსაც მოესწრო, და ერთხელ კიდევ კახეთშიაც იმეფა.

110

სამი ისტორიული საბუთი

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში შენახულია ერთი ქართული ხელნაწერი წიგნი*) ალბად მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილი. შეიცავს წერილების ნიმუშთა კრებულს. ხოლო ეს არ არის განგებ ამ გამოცემისათვის შეთხზული ფორმულები, არამედ ნამდვილი, სანიმუშოდ ამორჩეული საბუთების ანუ წერილების პირებია, რიცხვით 111. სწორედ ამით არის საყურადღებო ეს კრებული: იმისი მაჩვენებელია, თუ როგორი იყო იმ სამწერლობო დარგის დონე მე.17 და მე-18 საუკუნეების საქართველოში.

წიგნში ყველგან აღნიშნულია, ვისგან და ვის „მიეწერების“. მოვიყვანთ მაგალითად პირველი ექვსი წერილის სათაურებს. **)

*) ქართული ხელნაწერების ფრანგული კატალოგით № 26.

**) მართლწერა აქ და ქვემოთ დაბეჭდილ საბუთებში ორიგინალისა არის, სასვენი ნიშნები ჩვენია. ღთი (ღმერთი) და სხვა შემოკლებანი ზოგჯერ შემოკლებულადვე იბეჭდება, ხოლო უქარავმოდ.

113

1. ერისთავებისაგან, მუხრანის ბატონისა და ამილახორისაგან ქართველის ბატონის (ე. ი. ქართლის მეფის) ძმასა და შვილსა მიეწერების.

2. თავადებისაგან ეფისკოპოსს მიეწერების.

3. ხელმწიფისაგან ქათალიკოსს მიეწერების.

4. ესე სამძიმარი, ცოლი რომ მოუკუდეს საბატი-
ოს კაცის შვილს, მისის ამხ(ა)ნ(ა)გის კაცის ცო-
ლისაგან მიეწერების.

5. თავადებისგან ბ(ა)ტ(ო)ნს (მეფეს) ეს მიეწე-
რების.

6. ქართველის კათალიკოზისაგან სომეხთ ოქი-
ვარტერს (მღვდელთმთავარს) მიეწერების.

მთელ კრებულს ამგვარივე კაზუისტური სახე აქვს.
მასში უფრო ერთი განსაკუთრებული წრის ურ-
თიერთობანი იხატებიან, მაგრამ მას არც ზოგადი
ეროვნული ელფერი აკლია. ყოველ შემთხვევაში,
აქ ძველი ქართული ზრდილობის და კულტურის
თავისებური ძეგლია შენახული და მისი გამოყენე-
ბა ისტორიკოსებსაც ეკუთვნის, სიტყვა-კაზმულ
მწერლობასაც. ამისათვის მისი გამოცემაც ზედმე-
ტი არ იქნებოდა.

ამ სამდივნო წიგნში შემთხვევით დაცულია **სა-
მი ისტორიული საბუთი**, საქართველოს პოლიტი-
კური მდგომარეობის მე-17 საუკუნეში მეტად და-
დამახასიათებელი. მათი და თვით წიგნის მნიშვნელ-
ობა **მ. ბროსსეტმა** კარგა ხანია იცნო. მან 1871 წ.
მათ ცალკე ნაწერი უძღვნა, 1873 წ. რუსეთის აკა-
დემიის გამოცემაშიც „მელანჟ აზიატიკ“ გადაბეჭ-

114

დილია (ტ. VI, გვ. 233-252). ეს საბუთები, მათი შე-
მცველი კრებულიც სრულიად დავიწყებულია და,
ვგონებ, უცნობიც – ანუ მარტო სახელით ცნობი-
ლია – ქართულ საისტორიო მწერლობაში. კერ-
ძოდ ბროსსეტის ნაწერს არც **ე. თაყაიშვილი** იხსე-
ნიებს თავის აღწერილობაში: პარიზის ნაციონალ-
ური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები (გამ-
ოცემულია პარიზშივე 1933 წ. **არჩილ მეტრეველის**
დახმარებით). სწორედ ამ სამი საბუთის გამოქვეყ-
ნება და მოკლე განმარტება განზრახულია აქ.

115

I

(კრებულის № 40)

ესე სამძიმარი კელმწიფისაგან კელმწიფეს
მიეწერების

ქ. მოწყალის მღთისაგან მოძულეებული – და
მოუთმენელის ცეცხლით დამწვარი – ჩემის ცოდ-

ვისათვის შეუბრალებელი - ცა და ქვეყანა რისხვით თავდაქცეული - დიდის იმედისაგან უიმედოდ შემქნილი - გულის სიმხიარულე გაცუდებული - ტახტ გვირგვინ სახელმწიფო გარმებული - პ(ა)ტივ საფარველ გარ შემოცრცვილი - დამტირებლისგან დაუტირავი - დამარხულისგან დაუმარხავი - ლხინ სიმხიარულე გამწარებული - ზურგმოტეხილი - წელ მოწყვეტილი - უწყალოდ და უზენაროდ¹ ცეცხლ მოდებული - მტრისა და მესისხლის გულის შემქნილი - მისგანვე გაუკითხავად უბრალოდ ამოწყვეტილი - მოულოდნელად მეხ დაცემული - სიცოცხლისათვის სირცხვილეული - **მეფე ალექსანდრე და დედოფალი ნესტან დარეჯან** ვიკადრებ.

მესტუმრეო! ჩვენ მაგივრად ჩვენსა დიდსა იმე-

116

დსა *) - და დიდად იმედად მღთის წყალობად მისაჩენელ მისახედავსა - ჩვენსა სასახელოდ საიმედოვნოსა - ჩვენსა ორისავე თვალის სინათლეს - ჩვენსა დამტირვებელ დამარხველად მოსალოდნელსა - სახელოვანსა და ყოველს ქვეყანას კმა აღმატებით სახელ გასულსა - ბედნიერსა ღვთისაგან და დიდის ჯელმწიფისაგან სამართლად პატივცემულსა - ყოველის სიკეთის დასაბამსა - გრძლად რაღა ვკადროთ - დარბაზ ძმას **მეფეს როსტომს და დედოფალს დას პატრონს მარიამს** წინაშე მრავალი მაგათის პ(ა)ტიოსანის და სასახელოს თავის შესაფერი მოკითხვა, ნახვისა და გვერც ხლების ნ(ა)ტრა მოგვიხსენებია.

მერმე ეს ვიკადროთ: ზეგარდმო ყოველთა მხედველმა ღმერთმა ჩვენი აურეცხელი ცოდვა მოიხსნა - და ამისთანა მოულოდნელი და დაუთმოებელი მისი რისხვის ცეცხლი მომიდვა.

ჩვენის სულისა და სიცოცხლისა - ჩემის ორის-

*) ვახუშტიც მოწმობს (საქართველოს გეოგრაფია 1904 წ. გამოცემა, გვ. 29): მეფეთა წერილისათვის. ხოლო მეფენი... აწინდელთა ჟამთა (იწერებიან) ესრეთ: „მესტუმრეო, ჩვენ მაგივრად, ჩვენს დიდს იმედს დარბაზს ბატონს (სახელი) ასრე უნბეთ“-ო. შეად. აგრეთვე სამძიმრის წიგნი შაჰნავაზ მეორისა (= გიორგი XI) მდივანბეგი ერასტი ორბელიანისადმი, ყანდაარიდგან (ავღანისტანში) მოწერილი 1707 წელს. იხ. ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“, ტომი II, გვ. 221.)

ავე თვალის სინათლის - ჩემის დამტირებელ და-
 მ(ა)რხველისა - ჩემის ტახტის და საჯელმწიფოს
 სამირკველისა - ჩემის სახელმწიფოს დაურღვევე-
 ლი ზღუდისა - და განუტეხელის სიმაგრისა -
 ჩემთა თავადთა და ლაშქართა მასახელოვნებელის
 - და პირის წყლისა³ - სახელოვანის და ყოველ
 ქეყანს სახელ გასულ(ი)ს - უანგარიშოდ სახე-
 ლოვნად გამარჯვებულის - გარემემო მტერთა და
 მეზობელთა კლმით შემძრწუნებელისა - სწორ
 უპოვარისა - სიკეთე მიუთხრობელისა - ღმობი-
 ერ გულოვნად შემართებელისა და ვეფხებრ ჩა-
 უქისა - ჯელ ფეხ მუშაითისა⁴ - კისკისად მხმარე-
 ბელისა - ჩვენთა გვართა და ჩამომავალთა სახელად
 გამოსულისა - უცდურად⁵ და ისპაურად⁶ მოისრისა
 - ასპარეზად და ცხენოსნობის იედიგარისა⁷ - უმაგა
 ლითოდ ხელ ფიცხად მობურთალისა - ლამაზი და
 სანახავად საჭვრეტელისა - თავქოჩორ დახატუ-
 ლისა - თვალ პირ შვენიერისა - ბაგე კბილ და-
 ხატულისა - სიცილობა საწადელისა - ბეჭ პრტ-
 ყელისა - ჯელ მკლავ ბედაურისა - ტანად მაღა-
 ლისა საროს მსგავსისა - ახალ ნორჩ მოწიფულისა
 - ლაშქართა და დარბაისელთა სიხარულის -
 გულ ტკბილისა - გონება მდაბლისა - უხვისა -
 უშურველისა - ნადიმ სოიბათ⁸ შემკობილისა -
 ჩემის ამ სოფლის სიხარულისა და საუკუნოსათ-
 ვის მარცხვენებლად მოსალოდნელისა - ჩემთვის
 მკუდარისა - ჩემთვის წამებულისა - ჩემის დამ-
 ტირებელის, - ჩემის ძმის **ბატონიშვილის მამუკა-
 საგან** ღ(მერ)თი გამირისხდა და თვალები დამიდგა
 - ჯერ უწინ თავის ტახტზე როსტომისაებრ ბრძო-

118

ლითა სამამაცო იარაღი დამტურეულმან - სამს
 წელიწადს იმის დახატული ხელფეხი და ლამაზი
 მხარ კისერი ჯინჯილსა და ბორკილში სარჯეს -
 და მასუკან უმღ(რ)თოთ და უდღეოთ დამირჩივეს⁹
 ავად მიპყრობით.

აწე ნათესაობის და ძმობის ჩემის ძმის ბატონის
 კოსტანტილესაგან ღ(მერ)თი გამირისხდა თვალი
 დამიდგა - აწე ესე მოგახსენოთ ოცდა ხუთს ჩვე-
 ნის ღთის რისხვის დღის გამო ტირილი გვექნე-
 ბის - და ამას მოველით მოყრობისა და სიკეთისა-
 გან რომე თქვენს სახლში მობრძანდეთ ცრემლი
 დაგვაყაროთ.

¹ ზენაარი - ზეით მყოფი (ს. ორბელიანი).

² იგულისხმება ირანის ხელმწიფე, ყეენი აბას მეორე.

³ ნამუსი (ს(ორბელიანი).

⁴ საბელზედ მოთამაშე.

⁵ არჩილსაც აქვს (ცხოვრება მეფისა თეიმურაზისა §555,1-2): ...ისროდეს... ისარსა მათებრ უკუდმა, უცდურად.

⁶ მამაცურად. სპარს. ისპაკ-ლაშქარი და სხვა. იხ. ი. აბულაძე. შაჰ-ნამე, 808-809, შეად. ფრანგული სპაჰი.

⁷ იადგარი – სახსენებელი (ს. ორ.)

⁸ საუბარი, მუსაიფი.

⁹ დარჩობა – წაჭირებით მოკლვა (ს. ორ.)

ამ წერილით **ალექსანდრე მე-III** იმერელი (მეფობდა 1633-1661 წ.) თავის ძმის **მამუკას სიკვ-**

119

დილს ატყობინებს ქართლის მეფეს როსტომს და მარიამ დედოფალსა. ეს ალბად ის წერილია, რომელზედაც მე-17 საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი **ფარსადან გორგიჯანიძე** ამბობს „იმერეთის მეფეს ალექსანდრეს თავისის ძმის მამუკა ბატონიშვილის ნიშანი მეფეს როსტომთან გამოეგზავნა, გასამჟღავნებელი და **სატირალი წიგნი** მოეწერა: უწინ ლევან დადიანისაგან ომშიგ დარჩენა, ტყვეობაში ტანჯვით შენახვა და თვალების დაწვა ათას რიგად უღირსად უკადრისის საქმით მოკვდინება წიგნათ მოეწერა...“ ეს ამბავი მოხდა 1654 წ. და საბუთიც მაშინდელია *).

ყველა აქ დასახელებული პირები კარგათ ცნობილნი არიან. როსტომ მეფე და ლევან მეორე დადიანი ხომ იმ დროის საქართველოს ხელმძღვანე-

*) ეს ნაწერი, ცოტათი ხელოვნური და გაზვიადებული, არ არის დიდი პროზის ნიმუში, მაგრამ თავისებურია და საყურადღებო. დაწერილია 1654 წელს. მაშინ იმერეთის მეფის კარზე მდივან-მწიგნობრად ფეშანგ ხითარაშვილი – „ფაშვი ბერტყაძე“ – სჩანს, „შაჰნავაზიანის“ ავტორი (ამას და საერთოდ მდივნების ხელობას იმ დროინდელ საქართველოში ვრცლად ეხება ამ სახოტბო ეპოპეის გამომცემელი გ. ლეონიძე. იხ. მისი შესავალი „შაჰნავაზიანში“. ტფილისი 1935). ხოლო ეს ფეშანგის შეთხზული არ უნდა იყოს. იგი ქართლელი სომეხი იყო, ამ სატირალ წიგნსც კი უფრო იმერული კილო ეტყობა. ზოოლოგებმა გასინჯონ!

120

ლი პოლიტიკოსები არიან და მათ კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მარიამ დედოფალი, ლ. დადი-

ანის დაი და სვიმონ გურიელის ნაცოლარი, როსტომ მეფემ 1638 წ. პოლიტიკური ანგარიშით შეირთო (მოკავშირე დადიანის საშუალებით, იმერეთის მეფის შიში აღარ ჰქონდა) და ქორწილიც ვახუშტის სიტყვით „დიდ დიდებული“ გადაიხადა.

„დედოფალი ნესტან-დარეჯან“, ალექსანდრე იმერელის მეუღლე, არის ასული თეიმურაზ პირველი კახელისა. საეჭვოა „ბატონოს კონსტანტინეს“ ვინაობა. შესაძლებელია კონსტანტინე კახელი იგულისხმებოდეს, მანის მკვლელი, კახეთის მეფის ალექსანდრესი, და წერილის („სატირალ წიგნის“) უკანასკნელ პარაგრაფში ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს, იმისი თქმა უნდოდა, რომ მას ღმერთი გაურისხდა და მამუკა ბატონიშვილი მოუკვდა კონსტანტინეს (მისი ცოლის ნათესავის) მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზით.

ამ მამუკას, მისი ძმის მიერ ასე ნაქებს, ვახუშტიც აქებს. მისი სიტყვით „ესე მამუკა იყო მხნე, ახოვანი, შვენიერი კისკასი და შემმართებელი ძლიერი. ამან უწყო ბრძოლა ლევან დადიანსა...“ („კისკასობის“ ხსენება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი წერილი ხელთ ჰქონდა). ისიც აქვს აღწერილი, თუ როგორ ჩაუვარდა (დაახლოვებით 1647 წელს) ტყვედ ლევან დადიანს.

საყურადღებოა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ გადმოცემული ცნობა ქართლის თავადების ერთი გეგმის შესახებ. როსტომ უშვილო იყო და მათ უნდოდათ, რომ მეფეს შვილად მამუკა აეყვანა. მო-

ციქული მიუგზავნეს: „ამისთვის საქართველო არ წყნარდებისო, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავი არა გვეყვანანო... მამუკა ბატონიშვილის სიკეთე თქვენც მოგეხსენებათ, თავად ბატონი და მერმე მეფისშვილი და თქვენი ნათესავი არის... იშვილეთო და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო“... ამ ჯგუფის აზრით, მამუკას როსტომისაგან საუფლისწულოდ სურამის შესავალი უნდა მიეღო; „იმერეთიც ზედ აბიაო და იქიდანაც ხელს მოიმართავსო და თქვენად შვილად აკურთხეთო და ღმერთმან დიდ ხანს გაცოცხლოსო, თქვენს უკან მაგას ვიბატონებთო.“

ამ თავადების განზრახვა ქართლის და იმერეთის ამ გზით გაერთიანებისა, არსებითად საღი იქნებოდა, მაგრამ ამ საქმეში საფარ-ფაშა ახაცლიხელიც მონაწილეობდა, ალბად ოსმალეთის ინტერესის მიხედვით. არც საკვირველია ფარსადანის დასკვნა, მათ როსტომის „მოტყუება“ უნდოდათ, სხ-

ვა არაფერი. როგორც მერმინდელი ამგვარივე ცდანი მე-17 საუკუნეში (არჩილის გამეფება ქუთაისში) ეს გეგმაც იმავე გარემოებამ დააბრკოლა: იმერეთი და სამეგრელო ოსმალეთის სფეროში ყოფილან მოქცეული, მეფე როსტომი კი ყეენის კაცი იყო და იძულებული იყო ანგარიში გაეწია აქედან მომდინარე საერთაშორისო მდგომარეობისათვის. „ყაენისაგან მერიდებისო... თქვენც მოგეხსენებისო ყაენის უარის თქმა არ შეგვიძლიაო“. ასე ხსნიდა თავის უარს თვითონ როსტომი, საბოდიშო წერილში მამუკას მიმართ.

1648 წ. კახეთის მეფე თეიმურაზ, ლტოლვილი,

122

იმერეთში ჩასული, სცდილობდა მშვიდობა აღედგინა ლევან დადიანსა და ალექსანდრე იმერელს შორის და მამუკაც გაენთავისუფლებინა. მის მიერ ბუნებრივიც იყო, ვინაიდან, ნესტან-დარეჯანის მამა, ალექსანდრეს სიმამრი ბრძანდებოდა და ლევან დადიანის ახლო ნათესავიც, ბიძაშვილი - ლევანი ხომ დედით შვილის შვილი იყო ალექსანდრე კახეთის მეფისა, და მის სასახლეში აღზრდილი გრემს. ეს ამბავი და მამუკა ბატონიშვილის საქმე ვრცლად მოხსენებულია „არჩილიან-ში. კახეთის მეფის ცდაზე და მის მიზანზე არჩილი აქ შემდეგს ბრძანებს, თვით თეიმურაზის პირით:

თუ ისინი *) შემერიგა, რაც მინდოდა მას
ვიქმოდეი,
ორთავ ბევრი ლაშქარი ჰყავს, გამიგონე ახლოს
მოდი,
ვალაშქრებდი ჩემს მტერზედა, და ბოლოსაც
დავაქმოდი,
არ იქმნა და მეც დავეხსენ, ვერ ავიღე ჩემი
მოდი. **)

ამად მინდა მათი შეყრა, ის ძმა იყო და იგ სიძე...
და სხვა.

*) ე. ი. ლევან დადიანი და ალექსანდრე იმერელი.

**) საწყაულია ერთი, ძველი.

123

თეიმურაზის ამ შუამავლობამ უნაყოფოდ ჩაიარა. ვახუშტით, ლევან დადიანმა „აღუთქვა ყოფად ყოველი“, არამედ არა აუფლა წუწკ-მან (მისმა ვეზირმა, პაატა წულუკიძემ) ამის ყოფად დადიანი ესრედ

მეტყველმან: უჯერო არს განტევება მტრისა, რამეთუ მოიცემს რა ძალსა, კვალადცა არს მტერი“; და ნაცვლად განთავისუფლებისა... „არა შეიწყალა (დადიანმა) სიჭაბუკე და შვენიერება მისი... აღმოხადნა თვალნი მამუკას მეფის ძესა ციხესა შინა პატიმარსა“, რის შემდეგაც იგი მალე მოკვდა.

უბედური იმერელი ბატონიშვილის თავგადასავალი მთელმა საქართველომ იცოდა და „ლევან დადიანს სწყევლიდეს“-ო, ამბობს გორგიჯანიძე. მარიამსაც, ლევანის დას, ხომ ეწყინებოდა ეს ამბავი. ხოლო რა შეეძლო მას? ერთი რამ, სახელდობრ „რანიშანი გაუშალეს და წიგნი ბატონს მარიამ დედოფალს წაუკითხეს“, (სწორედ ამ წიგნს ვბეჭდავთ აქ), „ვითაც თავის შვილს ოტია-ზედ“ (ამ ყმაწვილის, ოტია გურიელის სიკვდილს და მასზედ ტირილის ცერემონიალს დაწვრილებით იხსენიებს ფარსადანი) „ისრევე თმა გაშლით და მკლავ ჩახრით... მამუკა ბატონის-შვილის ქებით ტირილშიგან მოსთქვა და შავის ჩაცმით იგლოვაო“, დიდი საზოგადოების თანადასწრებით და მონაწილეობით.

მალე - 1657 . - ლევან დადიანსაც უღალატა ბედმა. საკუთარი გარდაცვლილი შვილის ტირილში (აქაც ტირილი!) თურმე „ლახტი თავს გადიკრა და შვილზედ დააკვდა დაუმარხავს.“ მართლა მოხდა ეს? ძნელი სათქმელია. ხოლო მისი სი-

124

კვდილით განგებამ. თანამედროვეთა აზრით, დადიანს სამაგიერო გადაუხადა; იმერეთის მეფემაც დადიანს სასწრაფოდ ანგარიში გაუსწორა - სამეგრელოში გამოლაშქრებით, ვამეყ ლიპარტიანის დადიანად დასმით და წინად ლევანის მიერ იმერეთიდგან ძალით წართმეულისა და წამოღებულის უკან დაბრუნებით. მან დაამარცხა მეგრელები და დამხმარე ქართლ-მესხ-გურულები ბანძაში 1658 წელს.

125

II

(ორი პირია: № 54 და № 79. ვბეჭდავთ 54).

ეთიმაღოვლესთან დედოფლის არზა არის.

ქ. ლ(მერ)თ(მა)ნ მოწყალემან ცამდის ამაღლე-

ბულსა და ქვეყნის დამყარებელისა, ღვთივ გვირგვინოსანისა, ყოვლისა ჴელმწიფის უდიდესისა და ყოვლის ქვეყნიერის უჯესტესისა¹, მრავალთა ხელმწიფების მეპატრონისა და სხვათა ჴელმწიფეთა მძლე(ს)ა და არავისაგან ძლეულისა, აღმოსავლეთითა ვიდრე დასავლეთამდისინ როგორც მზე და მთვარე ეგრეთვე მაგათის სახელისა განთქმით მოფენილისა, ერან-თურანისა ტახტისა და საჴელმწიფოს გამრიგებლისა – პატრონის **ვეზირ აზამისა** წინაშე – არზა და სამსახურის ნ(ა)ტრა მამიხსენებია.

მერმე ეს მოვახსენოთ: **მეფე როსტომ** ყენის ჴირს ენაცვალა. ჩვენ ჩვენს წესზედ გლოვასა და ვაებას შეუდექით. ამისთანას დროს **ჯამალხან** ცათა სწორის ჴელმწიფის რაყამი გამოაჩინა: ვაკოცეთ და თავს შევიდევიტ და იმ წამს ჩვენის ხლებ-

126

ლებით და დარბაისლიტ ციხეში შევედით და ყენის წყალობის ძლოდნელი ვიყავით. სხვაგან ყოვლგნით იმედი მოგვლებოდა და ერთი თქვენი ანბავი გაგვეგონა და ერთი მეფის როსტომის ერთგულობისა და ვალდებულების იმედი გ(ვ)ქონდა. და ამასობაში მრავალ კაცს გული გასცუდებოდა, მაგრამ ჩვენი იმედი დიდი ქონდატ. ცოტა ხანი გამოვიდა **საფარ ვერდიბეგ**, ჴელმწიფის კარგი ყმა, მობძანდა და ჴელმწიფის რაყამი მოგვიტ(ა)ნა, და ციხიდამ გამოვედით. ეს ამბავი რომ ქართველტ გაიგონეს, დიად იამათ და უფროსი ერნი ვინც ნახა საფარ ვერდიბეგ დიდი ბული დაუდვა.

ამასობაში **ფარსადან ბეგ** მოვიდა და არ ვღირსვიყავით, ხანისათვის და ჩვენთვინ წესისაებრ ნამეტნავი კარგი და უკეთესი ხალათი ებოძათ. და რა ხალათის მოსვლა და რაყამის მოტანა და ფარსადან ბეგის მოსვლა გაიგონეს, სულ ქართველტ თავადთა და აზნაურტ თავიანთი ცოლშვილი ქალაქში ჩამოასხეს. და აქ ზეპირად რომ ფარსადან ბეგ ამათ ყენის ნაბძანები ქართულებრ უანბო, უწინდლისაგან უფრო ერთგულნი და ჴელმწიფის მოსამსახურენი შეიქნენ. და ზოგზოგნი კახნიც მოვიდნენ.

კათა სწორს ჴელმწიფეს დედოფლობა ჩვენთვინ და ჩვენი თავი **შანაოზ მეფისათვის** ებოძათ დასტურად, ჴელმწიფის ბრძანებ(ა)ს ზღვა და დაუმრომელი *) ვერ მოურჩების, მაგრამ ჩვენ მეფეს

*) № 79-ში ეს ადგილი იკითხება ასე:

... დედოფლობა ჩვენთვის ებოძა; და შანაოზ მე-

როსტომს უკან ჩვენი შესამოსელი სუდარ სწორი საფლავი და ქმარი შავი მიწა (უნდა) ყოფილიყო, მაგრამე თუ ეს არ გვექნა და უარი მოგვეხსენებინა, კელმწიფე გაგვიწყობდა, და ეს ქვეყანა ასრე არ დასწყნარდებოდა, და ქვეყნის აშლასა და აოხრებასა უფრო ბევრი ცოდვა და დასამარცხი საქმე მოსდევდა.

ბოლოს ესევე კელმწიფის ბრძანება გავათავეთ და ამას მოველით მაგათის უხვის წყალობისაგან რომე ვითარც საფარ ვერდიბეგ კელმწიფის ერთგული არის და ჩვენის გულისათვის ამისი მწყალობელი იყვნეთ, და ცათასწორს კელმწიფეს არზა ვახელით და ამას მოველით მაგათის კელმწიფის თავისაგან, ვითაც მაგათი დახსნილი ვართ, დასტურ არ ვღირსვართ, მაგრამ დედობა გვიბრძანონ და ჩვენი არზა კელმწიფეს წაუკითხონ და ჩემს აოხრებულს სამშობლოს მოეხმაროს. და სხვას ჩვენს ამბავს ფარსადან ბეგ თათრულად მომწერს.

ვითაც თქვენი დახსნილი ვართ და თქვენი თქმანი (?) ვართ ამას წინათაც მეფის როსტომის დროსაც ყენის საქმესა და ერთგულობას მე მკითხევდა და ახლაც მოველი რომე ჩემი უკითხავი აღარა იქნას რა, და ვინც ჩემი დამჯერო არის ყენის შეუკითხავს აღარას ვაქნევინებ, და ვინც არ

ფისათვის ჩვენი თავი ებოძებინათ. დასტურად კელმწიფის ბძანებას დაუქცეველი და ზღვა დაუმრობელი ვერ მორჩების.

128

დამიჯერებს მანდ არზას გაახლებთ, რომე საქართველოს ბატონს მრავალჯერ ყენის ურჩობით თავისი ალაგი აუოხრებია. როგორც სიკვდილს ვიცი კაცი ვერ დაემალვის, ისე საქართველოს ბატონი ერანის კელმწიფეს ვერსად წაუვა. და რომელიც ჩვენი შესაფერისი სამსახური იყოს მეც მიბრძანებდეთ.

ადიდნეს ღმერთმან კელმწიფობა მაგათი და აკურთხოს ვეზირობა თქვენი.

¹ უჯესთესი – უზესთაესი, შეუდარებელი. იხ. შაჰ-ნამე ტ. I-ლი, 302,2.

² ბრძანება.

ეს „არზა“ გამოწვეულია ქართლის მეფის **როსტომის** სიკვდილით, მაშასადამე დაწერილია 1658 (როსტომი 18 ღვინობისთვის გარდაიცვალა). ისიც ნათელია, რომ მისი დამწერი ისევ ის კარგათ ცნობილი **მარიამ** დედოფალია, რომელიც ჩვენ პირველ საბუთშიც, „სატირალ წიგნში“ იხსენიება. არზა მიმართულია „ეთიმადოვლესთან“, სპარსეთის მთავრობის გამგესთან (ვაზირ-ი-აზამი) ანუ პირველ მინისტრთან. იკითხება – უდლოულე, „სახელმწიფოს დასაყრდნობი“ მაშინ მაჰმედ-ბეგი იყო, ხოლო ყვენად აბას მეორე იჯდა (მეფობდა 1641-1666 წ.).

ვახუშტი ამბობს, რომ „სარწმუნომან ყენი-სამ რა ვერღა-რა იხილა ცოცხალი როსტომ, ყვენის ცნობამდე შეიყვანა დედოფალი მარიამ ციხე-

129

სა შინა ტფილისს და საგანძურსა როსტომისასა დაადგინეს დარაჯნი“-ო. ვახუშტის ამ ცნობის წყარო ეგების სწორედ ეს წერილია, აქ რომ ვბეჭდავთ.

ეს საბუთი, სხვათა შორის, საეჭვოდ ხდის ფრანგი მოგზაური **შარდენის** მიერ ტფილისში 1673 წ. ჩაწერილ ამბავს, რომლის მსგავსი ქართულ წყაროებშიც მოიპოვება (იხ. ეგრეთ წოდებული „პარიზის ქრონიკა“-ში 1659 წლის თარიღით შეტანილი, ალბად უფრო გვიან შეთხზული მოთხრობა). ამ გადმოცემით შაჰ აბბას მეორის ბრძანება იყო, მარიამ მის ჰარამხანაში შესულიყო. დედოფალმა წერილა და თავის ჭადარა თმის ნიმუში გაუგზავნა: მზეთ უნახავი გგონივარ, ნამდვილად კი მოხუცებული მანდილოსანი ვარო და სხვა. ეს ამბავი, რომელსაც დღესაც ჰქონია გასავალი (იხ. **გ. ლეონიძის** გამოკვლევა „შაჰნავაზიანი“-ს შესავალში, ტფილისი 1935 წ.) ხომ სულ დაუჯერებელი იყო. 1658 წ. სპარსეთის შაჰი აბბას მეორე, 27 წლის კაცი იქნებოდა, როსტომის ქვრივი-კი 30 წლით მაინც მაზე უფროსი. ყოველ შემთხვევაში, აქ დაბეჭდილი „არზა“ შარდენის მიერ 15 წლის შემდეგ გაგონილ და ქართულ ქრონიკებშიც შეტანილ ქალაქის ჭორებს არაფრით არ ადასტურებს; პირიქით ცხადჰყოფს, რომ დედოფალი მარიამ თავიდგანვე იძულებული იყო გაჰყოლოდა „შანაოზ“-ს.

როსტომ მეფის მემკვიდრეობა ვახტანგ მეხუთეს, მუხრანელ ბაგრატიონს ერგო, სპარსულად შაჰნავაზად ე. ი. „შაჰის მოალერსე“-დ წოდებულს. ეს მემკვიდრეობა შეიცავდა როსტომის რთულ პოზიციას საქართველოსა და სპარსეთში, მის სიმდი-

დრეს, მის ქვრივსაც. სპარსეთის ბრძანებით მან შეირთო მარიამ დედოფალი. გრძნობით? მისი ჩამომავალი, ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, ეს უფრო იძულებით მოხდა: „ვახტანგს შეუძნდა, ამბობს იგი, შერთვა მარიამ დედოფლისა, ვინადგან ესვა ცოლი ასული ყაფლანის როდამ სიკეთითა აღმატებული, არამედ უღონო ქმნილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“. შარდენის თქმით კი, პირიქით, დიდი სიხარულით შეირთო ეს ახალი ცოლი შაჰნავაზმა; ძალიან მდიდარი იყო, იმიტომაც. და განა უამისოდაც როსტომ მეფის მემკვიდრე ღარიბი იყო?

რომ თვით მარიამ დედოფალიც ამ შემთხვევაში პოლიტიკური საჭიროებით და ანგარიშით ხელმძღვანელობდა, ესეც მკაფიოდ გამოთქმულია ამ წერილში: რათა ქვეყანა არ წახდეს და ყენი არ განრისხდეს, სხვა გზა არ არის, უნდა შევასრულო ეს ბრძანებაო.

ამ წერილიდგან ისიც ირკვევა, რომ როსტომის მეფობის დროსაც დედოფალს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა მიუღია, და ახლაც მოელის რომ „მისი უ კითხავი აღარა იქნას რა.“ იგულისხმებს სპარსეთის ინტერესის დაცვასაც, და ესაა ალბად იმის მიზეზი, რომ სპარსელებმაც ამ სახით დედოფლობაც შეუნარჩუნეს და საშუალებაც მისცეს ყენის ერთგული სამსახური გაეგრძელებინა; ამ პირობებში ვახტანგ-შაჰნავაზის მმართველობა კიდევ უფრო სავსებით როსტომის მეფობის გაგრძელება იქნებოდა.

მისი უფროსი თანამედროვე ქეთევან დედო-

ფალი, შირაზს 1624 წ. წამებული, განხორციელება სულიერი სიმტკიცისა და უკომპრომისო რწმენისა; მასთან შედარებით მარიამი, ამა სოფლის საქმეებში გამოცდილი და ჭკვიანი, უძლიერესთა მორჩილი, უფრო „მიწიერია“. ხოლო როგორი შეგნება ჰქონდა თავისი ვალისა თავისი ქვეყნის წინაშე, ესეც საუცხოვოდ აღბეჭდილია ამ შესანიშნავ დოკუმენტში.

აქ დასახელებული ფარსადან-ბეგი უეჭველად გორგიჯანიძე უნდა იყოს, მომავალი ისტორიკოსი. 1656 წელს როსტომ მეფის დავალებით და მის ნაცვლად იგი ხომ ქ. ისპაჰანის მოურავობას ასრულებდა, ესე იგი „დარულა“ს თანამდებობას, მეტად შემოსავლიანს და როსტომის, ასე ვსთ-

ქვათ, საკუთრებად ქცეულს. ფარსადანი მაშინ იძულებული შეიქმნა გამაჰმადიანებულიყო. სწორეთ ფარსადან ბეგის, ქართველის სახელით მას იმდროინდელი სპარსული ქრონიკაც იცნობს.

აქვე დასახელებული ჯამალხანი პარიზის ქრონიკაშიც გვხვდება,

როსტომ მეფე ქ. ქუმს, სპარსეთში მიაბარეს მიწას, - იქ, სადაც მისი პატრონების შაჰაბაზის და შაჰსეფის საფლავებია. ამისათვის მარიამ დედოფლის არზაში მხოლოდ „ჩვენს წესზედ გლოვასა და ვაებაზეა" ლაპარაკი და არა დასაფლავებაზე. როსტომის მავზოლეს ქუმში, მშვენიერ ბაღში აშენებულს, შარდენიც ქებით იხსენიებს.

132

III

(კრებულში № 55)

ხონთქრისაგან ყენს მიეწურების

ქ. პირველად ვახსენოთ დიდათ დიდებული, ყოვლის მპყრობელი, ცისა და ქვეყნის, დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი, რომე მისი სივრცესა და სიდიადეს ადამიანის ჭკუა და საქმე ვერ მიხვდების. ვინც ეპრიანების გაჯელმწიფებს, თემსა და ქვეყანას მისცემს. ლომების საქმე ეს არის. ამაში სულდგმულს ხელი არ აქვს. ვისაც უნდა გააჯელმწიფებს და ვისაც უნდა მიწასთან გაასწორება.

ბრძანებითა მისითა მამეცა სიდიდე - სიმაღლე სვიანობა და პატრონობა, რომე დღეს მაქუს და მიჭირავს ბედნიერობა და სიუხვე, ყოველთა ზედა მოწყალება, სამართლიანობა, დიდთა მებრძოლთა ზედა მძლეობა და ერთგულთა ზედა წყალობა და მიცემა; ურჩთა და მეუნებლეთა ზედა მძლეობა და მრისხანობა. ყოველი სული მე მიძრწის და მძონებს, ამისათვის რომე ყოველთა ჯელმწიფეთაგან უმაღლესი ვარ, და მიხმობენ ჯელმწიფეთ ჯელმწიფესა.

მე ვარ შვილი მაღლის ჯელმწიფისა სულთან იბრეიმისა, ფრიდონ-ქაიხოსროს ჯელმწიფის ნათე-

133

სავი, გარნა ნოეს ნათესავი ვარ. **სულთან მურად** ხვანთქარი გიწერ, რომელსა მიჭირავს შავი ზღვა და თეთრი ზღვა; აგრევე ორი ქვეყანა ხმელეთისა, სრულად იამანეთისა, ანადოლისა ჩემს ბრძანება-

სა ქვეშ არიან. მე ვადიდებ მაქასა მადინსა. ყოველი მუსურმანი მაქს ილოცავს, და ქრისტიანენი იელუსარემსა. ესე ყოველი ჩემსა საფარველსა ქვეშე არიან და მსახურობს.

მე ვარ ალექსანდრე მაკედონელის ქვეყნის მჭირავი. კონსტანტინე ჯელმწიფის ტახტზედ ვზივარ. მე ვარ პატრონი და მქონებელი იამანეთისა, აბაშისა, სევაქანისა, თუნუსარიზისა, ქურთისტანისა, არაბეთისა, ალაბისა, შამისა, ბაღდადისა, ბასრისა, ჯაზირისა, მაშრიყისა და მალრიზისა მილეთისა და ჯმელეთად შარისტანისა ზღვაში კუნძულისა. ესენი დიდრუანი ქვეყანანი არიან და ამისათ გარეთ სხვა უანგარიშო სოფლებსა რომე ეს ყუელა ჯელთ მიჭირავს და ბძ(ა)ნებისა ჩემისა მორჩილნი არიან, და ვერავინ იკადრებს უარის კადრებასა. ესრეთ სიმაღლე მოწყალის ღვთისაგან მამცემია. სიმაღლე ღვთისაგან ისევე მე მშვენის და მეფერების.

აჰა ძმაო, შიხის შვილო, აჯამის ს ხელმწიფევე, აფრ(ა)სიობის ნათესაო! ბატონი პაპა შენი **შასეფი ყენი** სახელ დებული იყო და ისიც ასრე ჩემის ბრძანების მორჩილი იყო. აწე როდისაც ჩემი შიში, ძალი, წიგნი და პასუხი მოგივიდეს, ასე შეიტყევ, რომ ღმერთი ყოველის ქვეყნის გამჩენი, ჩემზედ ასრე წყალობით არის, რომე ყოველი ჯელმწიფენი ჩემის რჯულის სიკეთით და უფროსობით დიდი და პატარა ჩვენ გვმსახურებენ, და რასაც უბძანებთ

134

იმას გაიგონებენ. ღთის ძალით და შეწევნითი ვინც უკუ გვიდგების, ასრე გავამტვერებთ რომე ქვეყანაზვდ მისი ნაცარიც აღარ იძლეოდეს.

აწე ღთის შეწევნით, დიდის ანგარიშ მიუხდომელის ლაშქრით სადაც დავდგები, მიწა დაიძურის და შუბის წვერის სიმრავლით მზის შუქი დაიფარვის. ახლა შენის თემის დასაქცევლად და შენის ლაშქრის დასაქოლად შენს ბაღდადზედ წამოველ და შენს თემში ვდგავარ. არც შენგან და არც შენის ლაშქრისაგან არცავინ გამოჩნდა, არც არავინ წინ გარდაგვიდგა და არც არავინ შენის ლაშქრისაგან გამოჩნდა. სადაც დიდრუანი მთები და ჯევები არის, იქ დამალულან; ვერც თქვენი და ვერც თქვენის ლაშქრის ნიშანი ვერსად გვიპოვნია. ღთით ამ ცოტას ხანში ბაღდადი უჭირველად ავიღეთ, და ჩვენ დავბრუნდით. ჩვენი ვეზირთ უფროსი სახელგანთქმული მუსტაფაშა ვეზირი ბაღდადს დაგვიგდია და ჩვენ დიარბეგისაკენ წავედით.

თუ ღთი ჩვენ კერძოთ არის, გაზაფხულ ერანისა და ადირბეჟანისა და ნახჩვანის მიწა რომ დაჰვა-

როს, იმთონის ლაშქრით ჩამოგიდგები. თუ შენ პაპი შენის გზას დაიჭერ, მოხვალ და ჩემს ჭლექისაგან დამყარებულს ტახტს შემოეხვეწები, მოწყალის ღთის ბძანება არის შეცოდების შენდობა. მეც შეგინდობ და შენი ბედნიერი პაპის სულთან იბრეიმ ხანის სონორს¹ გაგიკვეთ და იმას აქეთ დაგჯერდები. თვარაღა შენ იცი, რაც გლეხი და ბეზამისკინი² კაცი იყოს, ცხენის ფეხმა გასრისოს, ის ცოდვა შენი იყოს. დაემზადე, აქათ იქით ნუ იარები, რაც მოწყალის ღთის ბრძანება არის, ის იქნების. აწე რაც

135

პასუხი გე(ო)ნდეს, ჩვენს ღთისაგან ამაღლებულს კარზედ კაცი გამოგზ(ა)ვნე და ჩვენს ბედნიერს ავჟანდს³ შეატყობინე და ღთი კაცს თავის სიკეთეს არ დაუკარგავს.

¹ სენორ – ზღვარი, საზღვარი. ² ღარიბი, წვრილი ხალხი. ³ უზანგი.

ამ წერილში*) მოხსენებულია ბაღდადის აღება ოსმალთა მიერ სულთან მურადის დროს. ეს ხონთქარი ამ სახელის მეოთხე უნდა იყოს. ხელმწიფობდა 1623-1640 წ. და მან მართლაც ბაღდადი, შაჰაბაზის მიერ 1623 წ. დაპყრობილი, ისევ დაიბრუნა. ეს მოხდა 1638 წ. და წერილიც, ამ სახით ნამდვილი რომ ყოფილიყო, მაშინდელი იქნებოდა.

უკვე მ. ბროსეტს აღნიშნული ჰქონდა, რომ მურად მეოთხის მამა სულთან იბრეიმი კი არ იყო, როგორც ნათქვამია ამ საბუთში, არამედ ახმედ პირველი (1603-1617); ამას დავუმატებთ, რომ იბრეიმ მურადის უმცროსს ძმას და მემკვიდრეს ერქვა სახელად (1640-1648)/

პიროვნებათა სახელების მხრივ კიდევ სხვა ამ-

*) თუ კი, არა-სპეციალისტის შთაბეჭდილებით, ზემოდ დაბეჭდილი „სატირალი წიგნი“ (I) უფრო იმერული კილოს ნიმუშად ჩაითვლება, მარიამ დედოფლის „არზა“ (II) ხომ „ქალაქური“ და მურად ხონთქარის ეპისტოლე (III) ალბად „ახალციხური“ ქართულით არის დაწერილი.

136

კარა შეცდომები მოიპოვება ამ საბუთში. 1638 წ. სპარსეთის ყეენად შაჰაბაზის შვილის-შვილი შაჰსეფი იყო (1628-42), რომელმაც, სხვათა შორის, ირანის ტახტი ხოსროვ მირზას, მერმინდელი

როსტომ მეფის, დახმარებით დაიჭირა. ამ წერილში კი მურად მეოთხე ყეენს მიჰმართავს ასე: „პაპა შენი შაჰსეფი ჩემი მორჩილი იყო“. ერთს სხვა „ბედნიერ პაპას“-აც ამ ყეენისას ასახელებს მურად ხონთქარი – „სულთან იბრეიმს“. (?) აგრეთვე შეცდომით, 1638 წ. ოსმალეთის დიდ ვეზირად „მუსტაფა(ფა)-ფაშა იხსენიება. ნამდვილად კი თაიარ მუჰამედ ფაშა იყო.

სპარსეთის მეფე აქ, ცოტა არ იყოს, დაცინვის კილოთი, „შიხის შვილად“ და „აჯემის ხელმწიფედ“ იწოდება. ეს გასაგებია. მართლაც, სეფევიდები არდებილელი შეიხის შორეული ჩამომავლები იყვნენ, და აჯემის სახელით არაბთა ბატონობის დროს და შემდეგაც, – სპარსეთი იყო ცნობილი.

რომ ოსმალეთის ხელმწიფე ირანის შაჰს უმტკიცებს, „შაჰნამე“-ს გმირები, ქაიხოსრო და ფრიდონ (ფერიდუნ) ჩემი წინაპრები არიან, თურანელი აფრასიობი კი შენიო, ესეც საინტერესო მტკიცებაა, ხოლო ამაზე და სხვა წვრილმანებზე ვერ გავჩერდებით.

ძველი ოსმალეთის უზარმაზარი სამფლობელო არც ისე გადაჭარბებულადაა აღწერილი. დასახელებული ქვეყნები, წმ. ადგილები და ქალაქები უმეტეს შემთხვევაში განმარტებას არ საჭიროებენ. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ „აბაშის“ ხსენებასთან

გვაქვს მინაწერი: „აბაზა“, რაიც ეთიოპიას აფხაზეთად სცვლის...

„სევაქანი“ უთუოდ სუაკინია მეწამული ზღვის ნაპირზე ნუბიაში; თუნუსარიბი – ივნისია; ალაბი ხომ ალეპოა და შამი დამასკოა (მთელ სირიასაც ნიშნავს) ჯაზირი კი ჩრდილო მესოპოტამიის სახელია.

„მაშრიყისა და მალრიბის მილეთი“ ალბად ჩრდილო აფრიკის აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხებს იგულისხმებს. (მილეთი ოსმალურად ნაციას ხალხს ნიშნავს; მაშრიყ-მალრიბი, ე. ი. აღმოსავლეთ-დასავლეთი ქართულშიაც ადრე შეითვისეს). მაგრამ „ხმელეთად შარისტანი ზღვაში კუნძული“ რაღა უნდა იყოს? თუ არ ვსცდებით, აქ ნაკლებლოვან თარგმანთან გვაქვს საქმე. შაჰრისტან, სპარსულად დედაქალაქია, გამაგრებული ქალაქი. მაშასადამე, აქ დიდი ქალაქის სახელი უნდა ყოფილიყო. ვგონებ, „კუნძულით“ ალ-ჯაზაჰირ არის თარგმნილი, რაც, მართალია, „კუნძულებსაც“ ნიშნავს, ხოლო იმავე დროს ქ. **ალჟირის** სახელია. მთარგმნელმა ეს ალბად არ იცოდა.

არსებითად და ამ წერილის გაზვიადებულ სიტყვიერებას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, რაც იქ ნათქვამია, იმ დიდი და კავკასიისათვის მნიშვნელოვანი ომის (1635-1639) მსვლელობას კარგათ შეეფერება. ბალდადი ავიღეთო, აცხადებს მურადი; იქ დიდი „ვეზირი დაგვიგდია და ჩვენ დიარბეგისაკენ წავედით“-ო. „გაზაფხულ ერანისა და ადირბეჯანის და ნახჩვანის მიწა რომ დაჰფაროს, იმთონის ლაშქრით ჩამოგიდგები“-ო. ბალდადი მუ-

138

რადმა 1638 წ. დეკემბერში აიღო და ომის გაგრძელება, ბუნებრივია, გაზაფხულისათვის უნდა გადაედო. წერილის ბოლოში, მურადი წინადადებას იძლევა: მოდი და პაპის შენის „სინორს გაგიკვეთ“-ო. რომელ „პაპას" იგულისხმებს ხონთქარი, ეს გარკვეულად არ სჩანს, ხოლო „სინორი" თურქულად საზღვარს ნიშნავს, ასე რომ მურადი მზათაა ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს; გაკვრით მის პირობებსაც ეხება. მარლაც მალე 1639 წ. დაზავებით ომიც დაბოლოვებულ იქმნა. ბალდადი ოსმალეთს დარჩა, ერევანი-კი სპარსეთს.

ცხადია, ეს წერილი ანუ ფირმანი მართლაც ოსმალურიდგან ნათარგმნია; ისიც რომ მასში (ზოგიერთი საკუთარი სახელის გამონაკლისით), არაფერია ისეთი, რაც ხონთქარს არ შეეძლო 1638 წ. დაეწერა. თვით მისი უზომოდ მედიდური კილო და უკადრისი ტონი იქნება ომის გარემოებით იყოს ასახსნელი.

მ. ბროსსე ამ საბუთს განგებ შეთხზულ უხემ, სამასხარო, კარიკატურადა სთვლიდა, რაიც ძნელი დასაჯრებელია; არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ აქ თარგმანთან გვაქვს საქმე. უფრო **საპროპაგანდო დოკუმენტსა ჰგავს**. ქართველებზე შთაბეჭდილების მოსახდენად, თურქოფილური და ანტი-სპარსული პროპაგანდის მიზნით, ადვილად შეეძლოთ – არა 1638 წ. არამედ ბალღებით უფრო გვიან – ამგვარი ნაწერი შეედგინათ და გადმოეთარგმნათ (ქნება ახალციხეში?), ისეთს დროს, როცა უკვე კარგათ არ ახსოვდათ რომელი სულთანნი ან ყენი ვისი შვილი იყო. რომ ეს წერილი რომე-

139

ლიმე კარგ, ძველ საბუთს ემყარება, ესეც აშკარაა. ქვეყნების ჩამოთვლა და ზოგი სხვა რამ სანდო წყაროებიდან ამოღებულია ალბად (რომ წყარო არა ერთი ჰქონიათ, ამას იამანეთის ორჯერ ხსენება აჩ-

ვენებს.

წერილის ქართული რედაქცია საკმაოდ „გათათ-რებულს“ ქართველს ეკუთვნის: მისთვის საზღვარი – „სინორია“-ა. მერე როდისაა შედგენილი? ეს შეიძლებოდა, საფიქრებელია, სპარსეთს დიდი დაცემის დროს, პეტრე I-ლის და ვახტანგ მეექვსის ეპოქაში (მის და მის ნათესავთა არქივიდან ამოღებულია ალბად ამ სამდივნო წიგნის უმეტესი მასალა!) ე. .ი 1720-ან წლებში, როცა ოსმალებმა დროებით ტფილისიც დაიპყრეს და რუსეთმა სტამბოლის 1724 წ. შეთანხმებით მათ აღმოსავლეთი საქართველო დაუთმო; მაშინ ისინი ქართველებში მომხრეებს ეძებდნენ. ჰყავდათ კიდევ.

რომ მურადის ეპისტოლე პარიზის სამდივნო წიგნში მარიამ დედოფლის „არზას“ მისდევს (იხ. ზემოდ (II), ამასაც თავისი ირონია აქვს. იქ ყვენი უაღრეს ძალად იყო აღიარებული, ისეთი მწარე დასკვნით: „საქართველოს ბატონი ერანის ხელმწიფეს ვერსად წაუვა“ო. აქ კი „შიხის შვილთან“ შედარებით ხონთქარია ნამდვილი ბუმბერაზი. სპარსეთისაგან ხანგრძლივ დაჩაგრულთათვის ამგვარი „ფარმანის“ წაკითხვა კარგი გულის მოსაფხანნი იქნებოდა.

თუ კი სტამბოლის ფადიშაჰის ქართულად ნათარგმნი წერილ მართლაც ვახტანგ მეექვსის დროინდელ პოლოტიკურ ბრძოლათა მოწმობაა, მაშინ

140

კიდევ უფრო მჭევრ-მეტყველია მისი მარიამის „არზას“ დაპირისპირებით მოთავსება ამ კრებულში. ერთი მტკიცე სპარსული მიმართულების, როსტომ მეფის და მისი ნაანდერძევი პოლიტიკის უტყუარი საბუთია, მეორე-კი იმ დროის ანარეკლია, როცა ინგრეოდა სეფევიდების სპარსეთი, და საქართველო ოსმალურ და რუსულ გზათა ჯვარედინზე დააყენა ბედმა.

რუსული ამ სამდივნო წიგნში არაფერია, ხოლო მისი პირველი პატრონი, იქნება შემადგენელიც – ბროსსეტის აზრით, ერთ-ერთი არაგვის ერისთავთაგანი -- მოსკოვში ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადახვეწილი ქართველი ემიგრაციის წევრი იყო; ამ წრის მნიშვნელოვან სალიტერატურო მემკვიდრეობას ეს პარიზის კრებულიც ეკუთვნის.

დასასრული

შენიშვნა:

უკეთესი იყო აქ ნაგულისხმევი და გამოყენებული ევროპიული ნაწერების ადგილები, ე. ი. მათი ქართული თარგმანი აქვე ცალკე დამატებაში დაბეჭდილიყო, ხოლო ეს ამ გამოცემის ისედაც ძნელ საქმეს კიდევ უფრო გაართულებდა, და ზედმეტად ჩავთვალე. ამ წყაროების სიას ვათავსებ აქ (გ); აგრეთვე ა. გრიფიუსის და კ. მალენგრიდგან ორიოდ ნაწყვეტს სანიმუშოდ (ა) (მათი ქართული თარგმანი იხ. შესავალში გვ. 17, 23; 18, 19. 20-22) და დაუდ-ხანის სურათის მინაწერებსაც (გ) (თარგმანი იხ. ზემოდ გვ. 96 და 105).

დასასრულ მე-13 გვერდს შემდეგი სქოლიო ეკუთვნის:

ცნობილია თეიმურაზის თხოვნით მოსკოვის მეფის შუამდგომლობა ჯერ 1619 წ. შაჰაბაზის წინაშე, რათა თეიმურაზის დედა და შვილები ტყვეობიდან გაენთავისუფლებინა. სპარსეთის ხელმწიფის პასუხი მაშინ იყო, ესენი მძევლად უნდა შევინახოთო, სანამდინ თეიმურაზი საოსმალოში იმყოფებაო (ე. ი. გონია – ოლთისში. იხ. ბროსეს 1845 წ. ერთი ნაწერი, ქვემოდ წყაროების სიაში). შეად. აქ გვ. 42-43.

143

პ. დ. ვალლეს თქმით კი, თვით წამების უშუალო საბაბი ისა ყოფილა, თეიმურაზის თხოვნით რუსის ხელმწიფე ახალ შუამდგომლობას აპირებდაო, და სანამ ეს მოხდებოდა, აჩქარებით აწამესო ქეთევანი. ვალლე თითქმის თეიმურაზს აბრალებს, ნამეტნავად უნდოდა თავის დედის ხსნა და ამით უფრო მეტი ავნოო („დელლე კონდიციონი" 90-93).

რუსეთში მაშინ მიხეილ თევდორეს ძე მეფობდა, პირველი რომანოვი, და მოსკოვის განწყობილება ირანთან იმ ხანებში კარგი იყო, უფრო საერთო მტრის – ოსმალეთის – მიზეზით.

144

5

Claude Malingre. Histoires tragiques etc. P. 519.

Pour ce qui est de Meurab, victorieux de l'armée de Perse, il fit prendre les testes de ces Dues tuez, et les fit attacher au bout d'une pique, et lors qu'il vou-

loit disner, il les faisoit présenter deuant luy, comme metz qui luy estoiet plus agreables, et à chaque fois qu'il beuuoit, il faisoit un brinde, ores à l'une, puis à l'autre, reprochant à chacun de ces Dues morts auec mille injures, les actes scelerats qu'il auoit cogneus en eux.

P. 475Mais voicy en nos iours un exemple non moms memorable que ceux-là, e'est l'acte qui fut ioüé sur le Theatre de la Georgie en la personne de Catharine Princesse du païs, par la passion dishoneste, et cruelle de Cha-Abas Roy de Perse.

Andreas Gryphius. Catharina von Georgien. (Ausgabe von W. Flemming). Abhandlung I, V. 646-661.

Was unser Blut vergoss; ist in dem Blut ersoffen.
Der Rach erhitzer Grim hat als die Flamme pfllegt;
Aus ganz Iberien das Unkraut aussgefegt.
Fürst Meurab blind von Hass, getrotzt durch so vil
leiden,

145

Liss der entleibten Schar die bleichen Köpff abschneiden.

Und als der Häupter Rey die ihn so hoch verletzt
Zu einem Schau-gericht auff seinen Tisch gesetzt;
Nam er schir ausser sich den dargereichlen Becher
Und schrie; dis ist der Kelch den ich der meinen
Râcher

Nu nicht mehr Slav'erwisch! O mein gepresst
Gemahl!

O! mein geschändet Kind! Ihr die die lange Qual
Mit Thränen hat geckrankt! ihr die in Angst
veschmachtet

Und in der Erden fault! Ihr die nicht werth geachtet:
tet:

Der unverdechten Grufft! mein König Alovas!
Gefangne Königin! verjagte Tamaras!
Mem Vaterland; es gilt! *).

Abh. II, V. 395-400 (Ausgabe von W. Flemming).

Reye der von Chach Abas erwürgeten Fürsten.
Pfahl, Mörsel, Spiss, Bley, Beil und Stangen,
Rohr, Säge, Flamm, zuschlitzte Wangen,
Entdeckte Lung', entblöste HertZen,
Das lange Zappeln in den Schmertzten,
Wenn man uns Darm und Zung entrückte;
Das war was Abas Aug'erquickte.

*) Ausruf beim Zutrinken.

146

Abh. III (Palm). S. 213-214.

Reyhen der gefangenen jungfrauen.

Süsses land das wir gegrüset,
Als der tag uns angelaeht.
Das mit uns die freyheit misset.
Und in Persens banden schmacht,
Lass nun ab vom langen klagen,
Und verkehr'in lust dein zagen!

Richte die zerschellten glieder
Aus der ascben frölich auf!
Dichte neue freuden-lieder,
weil dir nun in vollem lauf
Deine wohlfahrt will begegnen!
Und mit höchster lust dich segnen.

Ob dein scepter, stab und crone
Vorhin in den staub verfiel,
Doch setzt der, der reich und throne
Handhadit, deiner angst ein ziel
Und will dir, durch die du leben
Einzig kanst, jetzt wieder geben.

Strenges Persen, sey gesegnet!
Rufft: Georgien! Glück zu!
Himmel, ihr habt ausgeregnet,
Winde, legt euch nun zu ruh!
Lasst mit jauchzen-vollem lachen
Uns des heim-zugs anfang machen!
Heute siehst du uns zuletzt,
Reiches Schiras, gute nacht!

147

Ob es Ispahan, nicht schätze.
Hat uns gott doch wiederbracht,
Uns wild nicht vor Sirvan grauen,
Da sie thürm aus köpffen bauen,

Aus d'er edlen todten kopffen.
Die das grimme schwerdt auffrass...
Lasst uns etwas ruhe shôpfen,
Wo die keusche Fürstin sass.
Die viel lieber wolt ihr leben,

Als die jungfrauschaft hingeben!

Nympffen, die ihr um die wipffel
Der besteinten felsen springt.
Die ihr um die grünen gipffel
Der bejahrten palmen singt,
Lasst euch weit und breit zu ehren
Euer Catharinen hören!

Preiset nicht nur ihre siege
Und den nie erschreckten muth,
Nicht die ehren-reichen züge
Und ihr nie beflecktes blut!
Singt, dass sie in angst genesen,
Und in banden frey gewesen!

Singt, dass sie das raue toben
Des erhilzten grimms verlacht,
Dass sie das geschminckte loben
Der verliebten lust veracht,
Dass sie, ob sie gleich gebunden,
Reich und sich in sich gefunden.

148

ò

1) Daud Kan Persiano

2) Authéntês toû ganxià.

3) Daud Kan fra(te)llo del Kan di Siras, benefactore dei nostri Padri nel. Regno di Georgia.

4) Daud Gangie Prouincie Regni Iberie Ducis seu Chan frater (Mamuli Chan de Syras Provinciae Persarum qui a Persarum Rege occisus est) pro timore illius propriae occisionis ab eodem Rege ad Turcos fugiens in itinere Domum nostram visitans intrauit qui tractatus est a Patribus nostris et ratione tractationis eleemosinam dedit eis.

149

ò

Andreae Cryphü. Catharina von Georgien ode.

bewehrete Beständigkeit. Trauerspiel.

Andreas Gryphius. Trauerspiele herausgegeben von Hermann Palm. Tübingen 1882.

Id. Katharina von Georgien. Abdruck der Ausgabe von 1663 mit den Lesarten von 1657. Herausgegeben von Willi Flemming. Halle (Saale) 1928.

L. Pariser. Quellenstudien zu Andreas Gryphius' Trauerspiel «Katharina von Georgien». (Zeitschrift für vergleichende Literaturgeschichte. Bd. 5, 1892.)

Dr. Zdzisław Zygmunt. Andreas Gryphius. «Katharina von Georgien» nach ihrer französischen Quelle untersucht. Lwow. 1932.

Victor Manheimer. Die Lyrik des Andreas Gryphius. Studien und Materialien. Berlin, 1904.

W. Flammig. A. Gryphius und die Bühne, Halle 1921.

Claude Malingre, Sieur de Saint-Lazare, Histoires tragiques de nostre temps. Dans lesquelles se voyent plusieurs belles maximes d'Etat, quantité d'exemples fort

150

mémorables de constance, de courage, de générosité, de regrets, et repentances, Paris. 1635. V. p.p. 469-532.

Hist. XVI. De Catherine Roy ne de Georgie, et des Princes Georgians, mis à mort par commandement de Cha-Abas Roy de Perse.

Delle conditioni di Abbas Re di Persia all' Illustrissimo e Reverendissimo Sig, Francesco Cardinal Bamberino, Nipote di N. S. Papa Urbano VIII Pietro della Valle il Pellegrino. In Venetia M.DC. XXVIII.: Histoire apologétique d'Abbas, roy de Perse, en la personne duquel sont représentées plusieurs belles qualités d'un prince héroïque, d'un excellent courtisan et d'un parfait capitaine. Traduite de l'italien de messire Pierre de la Vallée gentilhomme romain par I. Baudoin. A Paris... M.D.C. XXXL

Informatione della Giorgia data alia Santita di N. S. Papa Urbano VIII. Da Pietro della Valle il Pellegrino, l'anno 1627, V. M. Melchisedec Theveriot. Relations de divers voyages, etc. 2 éd. Paris 1696. T. I, pp. 1-14.

Voyages de Pietro della Valle, gentilhomme romain, dans la Turquie, l'Egypte, la Palestine, la Perse, les Indes orientales et autres lieux. Paris 1661-1663. 4 vol. in-4^o.

L'Ambassade de D. Garcias de Silva Figueroa en Perse contenant la politique de ce grand Empire etc. Paris 1667.

Arakel de Tauriz, Livre d'histoires trad. de Bros-

set. (Collection d'historiens arméniens T. I).

Relacions de Don Ivan de Persia etc. Valladolid.
1604.

151

Don Juan of Persia; a Shi'ah Catholic, 1560-1604 translated and edited with an introduction by G. Le Strange. (The Broadway Travellers series.)

Notes on Don Juan of Persia's account of Georgia by W. E. D. Allen (Bulletin of the School of Oriental Studies, London Institution, Vol. VI, Part I. 1930.)

I. T. Krusmski. S. J. Prodrumus ad tragicam ver-
tentis belli persici historiam. Lemberg 1734. P. 136.
Regina Maria Temuraz Regis Mater Martyrium a Ma-
gno Szah Abas, pro afferenda cum Christiana fide pudi-
citia, Catholicé a Patribus Augustianis Lusitanis confor-
mata anno circiter 1600 subiit.

Lettres de «Simeon Can, Rey de Georgianos» à
Philippe II, roi d'Espagne (archives de Castille). V.
F. Macler, Notices de manuscrits. (Revue des études
arméniennes. Tome I. 1920.)

Antoine de Couvea. Relation des grandes guerres
et victoires obtenues par le Roy de Perse Cha Abbas
contre les Empereurs de Turquie etc. Rouen 1646.

M. Tamarati. L'Eglise géorgienne etc. Rome
1910.

Gregorii Hieromonachi et exarchi patriarchici ad
sanctissimum doctissimumque Protosyncellorum Sophro-
nium epistota de Ketabae Teimurazis Georgianorum
principis matris martyrio et insigni quadam hac de causa
Jesuitarum impostura. 1632.

152

Inc. p. 3. Ad te nuper, vir doctissime, Cachetio Geor-
gianorum literas dedimus, quibus et quis itineris successus
et quam benigne, nos Teimurases Georgianorum princeps
excepisset, sigillatim exposuimus...

Thomas Herbert. Some Yeares Travels,... Espe-
cially describing the Famous Empires of Persia and
Industant etc. The third Edition etc. London 1667.
Cf. Thomas Herbert's Travels in Persia, edited by Sir
William Foster (Broadway Travellers series. London,
1928.)

Chardin. Voyages en Perse et autres lieux de l'Orient.
Amsterdam, 1711. Vol. III.

The Journal of Robert Stodart being an account of
his experiences as a member of Sir Dodmore Cotton's

mission in Persia in 1628-1629. Published by sir E. Denison Ross. London 1935

John Fryer. A new account of East-India and Persia in eight letters being nine years travels... 1672-1681. London 1 698.

Calendar of State Papers. Colonial series. East Indies and Persia, 1630 - 1634. London 1892. — East Indies, China and Persia, 1625-1629, London 1884.

L. L. Bellart. Chah 'Abbas I. Sa vie, son histoire. Paris 1932.

Brosset. Examen critique etc, au moyen des documents russes. (Bulletin de la classe hist. philol etc. T. III, No 4). Saint-Petersbourg, 1845. Col 79 — 80).

153

საძიებელი

აბბას, შაჰაბაზ I ყეენი (1587-1629) ყველგან.

აბბას II, ყეენი (1642-1666) 129, 130

ალექსანდრე II კახელი (მეფობდა 1574-1605)
14, 26, 29, 36, 122

ალექსანდრე III იმერელი (მეფობდა 1633-1660)
36, 101, 102, 110, 116, 119-125.

ალექსანდრე, ძე თეიმურაზ I-სა 42, 44, 52, 93.

ალლაჰვერდი-ხან, შაჰაბაზის სარდალი 82, 84, 92.

ანტონ I კათალიკოზი 25, 68, 69.

ანტონიო დე გუვეა. იხ. გუვეა.

ამბროსი, ამბროზიო, პატრი 24, 27, 28, 30, 68.

არაქელ თავრიზელი, ისტორიკოსი 17, 25, 55, 68.

„არჩილიანი“ პ. იოსელიანის გამოცემით 1853 წ.;
82, 93-94, 100-101, 123.

აშოთან მუხრან-ბატონი 41

ახმედ I ხონთქარი (1603-1617) 136.

ბროსსე, მარი ფელისიტე 34, 67, 114, 115, 136,
139. 141.

გიორგი ხუცესი, ქეთევანის სუფრაჯი, 56-58.

გიორგი ბატონიშვილი, თავის მამა ალექსანდრე II
კახელთან ერთად მოკლული 1605 წ. 26.

გორგიჯანიძე ფარსადან 100, 101, 102, 106, 108,
120, 121, 124, 127, 132.

154

გრანჟერ, ლუი, იეზუიტი (მასზე სრული ცნობები

იხ. მიხ. პოლიევქტოვის წიგნში: ევროპ. პუტემე-
 სტვენიკი პო კავკაზუ, გვ. 121-122) 73, 87.
 გრიგოლ ხუცეს-მონაზონი 70.
 გრიფიუს, ანდრია, პოეტი 17-22, 23, 41-42.
 გუვეა, ანტონიო დე, 29, 67.
 დადიანი იხ. ლევან II დადიანი
 დავით უნდილაძე იხ. დაუდ-ხან, შირაზელი.
 დავით ბატონიშვილი, ძე ალექსანდრე II კახელისა.
 ქეთევანის მეუღლე, 1602 წ. ძალით გამეფებული
 (†1603) 26.
 დაუდ-ხან შირაზელი, განჯის ბეგლარ-ბეგი, ძმა
 იმამ-ყული-ხანისა 36, 91-96, 99, 100, 105-109.
 დაუდ-ხან, ძე ქართლის მეფის ლუარსაბ I -სა, როს-
 ტომ მეფის მამა 105.
 დონ ჟუან სპარსელი, წინად ურუკ ბეკ (ულუღ-
 ბეგი) 60.
 თინათინ, ქართველი ოზოლი, პ. დელლა ვალლეს
 მიერ გაზრდილი, მარიუჩიად წოდებული; შემ-
 დეგში პ. დ. ვალლეს (მეორე) ცოლი. იხ. სხვათა
 შორის გოეთეს ვრცელი შენიშვნა პ. დ. ვალლე-
 ზე: „დასავლეთ აღმოსავლეთ დივან“-ში (1816)
 58.
 ვალლე, პეტრო დელლა, მოგზაური (1586-1652)
 14, 15, 24, 24, 33, 41, 54-57 და შემდეგ, 72-73, 96.
 ვამეყ ლიპარტიანი 125.
 ვახტანგ მე-V მეფე ქართლისა (1658-1675) 35,
 127-8, 130-131.
 ვახტანგ მეექვსე 102, 140-141.
 ვახუშტი 117, 121, 129, 131.
 ზურაბ არაგვის ერისთავი 93, 94.

155

თამარიშვილი მიხეილ 67, 68, 74.
 თეიმურაზ I კახელი (მეფობდა 1605-1614; 1615
 -1616; 1625-1633; 1636-1648) ყველგან.
 თეიმურაზ ბატონიშვილი, ძე გიორგი მეთორმეტი-
 სა, 69-70.
 თრების-ხან 86, თებრის-ხან 87 იხ. თეიმურაზ I.
 იბრაღიმ, ხონთქარი (ხელმწიფობდა 1640-1648)
 136.
 იმამ-ყული-ხან, შირაზის და სხვათა ბატონი 13, 36,
 56, 64, 81-88, 94-96, 105 და შემდეგ.
 იოვანე სინელი 47.
 ისკანდერ მუნში 91, 132.
 კასტელი, ქრისტეფორე, პატრი, მხატვარი 36, 96.
 კონსტანტინე ბატონიშვილი, 1605 წ. მეფე კახე-
 ლი, 10, 14, 26, 29, 31-32, 35, 105 და 121.
 კოტტონ, სერ დოდმორ, ინგლისის ელჩი 83, 85,

108.

კუსტენდილ-მირზა იხ. კონსტანტინე.

ლენ II დადიანი († 1657) 36, 87, 100, 101, 102,
120, 121, 123-125.

ლევან, მე თეიმურაზ I-სა 42, 44, 52-53, 93.

ლუარსაბ II ქართლის მეფე (1605-1614) 14, 16,
18, 26, 33, 34, 51-52, 93.

მანი, სირიელი ქრისტიანი, პ. დელლა ვალლეს
ცოლი. 57-58.

მალენგრი, კლოდ. მწერალი (1580-1653) 15, 17,
23-24, 25, 26, 28, 29, 30.

მამუკა ბატონიშვილი, იმერელი, 118-123.

მარიამ, ქეთევან დედოფლის ქრისტიანული სახელი
16-17; შუად. კრუსინკი (სათაურების სიაში, აქ).

156

მარიამ დედოფალი, როსტომ მეფის მეუღლე 36,
117, 121, 126-132.

მარიუჩია იხ. თინათინ.

მაჰმედ-ბეგ, იჰთიმად-უდდოულე 126, 129.

მოახლა 71.

მოსე ბერი, რჯულისათვის წამებული 53-54.

მურად IV ხონთქარი (ხელმწიფობდა 1623-1640)
134, 136. 138-9.

ნესტან-დარეჯან, დედოფალი, ასული თეიმურაზ
I-სა 115, 123.

ნიკიფორე (ირბახი). თეიმურაზის მოციქული ევ-
როპაში 74-75.

ნიმროზელი მამები 66-67, 69.

ორსინო, პატრი გრეგორიო 72.

ოსმან II ხონთქარი (ხელმწიფობდა 1618- 1622)
16.

პეტრე I, 102, 140.

როდამ, ყაფლანის ასული 131.

როსტომ, მეფე ქართლისა (1633-1658) 35, 36, 99,
105, 108, 109, 117, 120-122, 126, 128-132.

საკაძე გიორგი, დიდი მოურავი 14, 16, 17, 18, 26,
27, 32-33, 34, 36, 52, 74, 91, 92, 99.

საკაძე როსტომ-ხან 110.

სეფი I ყენი, შაჰაბაზის შვილის შვილი და მემკვი-
დრე (1629-1642) 106, 108, 109, 134.

სვიმონ I (მეფობდა, არა განუწყვეტლივ 1557-
1600), 35, 51, 59-60, 105.

სვიმონ II 93-94.

სოფრონი პროტო-სინკელი 70.

სტოდარტ-ის დღიური 98-99.

ურბანო VIII პაპი 58, 72, 73.

ფარსადან-ბეგ, იხ. გორგიჯანიძე.
 ფილიპე II ესპანიის მეფე 60.
 ფეშანგი „ფაშვი ბერტყაძე“, მდივანი 120.
 ფიგეროა, ელჩი 53-54, 59-60, 96.
 ფრაიერ, ჯონ, მოგზაური 97-98.
 ქეთევან დედოფალი
 შარდენ, ჟან. სპარსეთის აღმწერელი (1643-1713)
 14, 25, 95, 130-131, 132.
 შაჰაბაზ იხ. აბბას.
 შაჰნავაზ, შანაოზ, იხ. ვახტანგ V.
 შაჰსეფი იხ. სეფი.
 შერლეი, რობერტ, 31, 83, 86, 91.
 ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ, იხ. ნიკიფორე ირბახი.
 წულუკიძე პაატა, ლევან II დადიანის ვეზირი 124.
 ხოსროვ-მირზა, მერმინდელი როსტომ მეფე 99.
 ჯავახიშვილი ივანე 98.
 ჰერბერტ, თომას, 31, 32, 94 და შემდეგ, 91, 93,
 95-97.

ავჭალა 97	ბაღდად 92, 108, 135.
ალავერდი 69, 71-73.	და სხვ.
ალჟირ 138.	ბენდერ-აბბას 83, 95.
ანაზად 95.	განძასარ 101.
არდებილ 44, 137.	განჯა 43, 96, 100 და
„არეზ-აქეთი“ 100,	სხვ.
101, 105.	გოა 67.
ასპას 97-99.	გონია 34, 44.
ახალციხე 122. 139.	გომბრუნ 107.
ბაზალეთი 74, 99.	გრემი 73, 123.
ბასორა 72.	დიარბეგი 135.

158

ერევანი 139.	საგარეჯო 97.
ერწო-თიანეთი 97.	სურამი 122.
თავრიზ 44, 110.	სურატ 106.
ისპაჰან 58, 68, 70 და	სტამბოლი 16, 70,
140.	
სხვ.	ტრაპიზონი 70.
კონსტანტინეპოლი 70.	უფადარი 94.
მარტყოფი 73, 92, 97.	უჯარმა 97.
მოსკოვი 141, 143-4.	ქუმ 132.
მუსკატ 106.	ყაზვინ 107.
ნახჩევანი 135.	ყანდაჰარ 117.
ნორიო 73 და სხვ.	ყარაბაღი 100, 101,
109.	

ორმუხ 58, 83 და სხვ.
პარიზი 113.
რომი 72, 73 და სხვ.

შამახია 32.
შირაზ 10 და სხვ.
„ჩერქეზნი“ 97.

შეცდომების გასწორება:

		უნდა იყოს:	
გვ. 11 სტრიქ. 11 (ქვემ.)		აჩვენებს	
- 12	9-10 (ზემ.)	შაკაბაზის	მიერ
დახო-		ცილი	და სხ.
(„შემდეგ-		ში" არ უნდა)	
- 22	12-13	დაიბეჭდა	
- 22	15-16	ქართულადაც	
დაიბეჭ-			
დება, რა თქმა უნდა			
„ქეთევანად“ და არა			
„კატარინად“			
- 23	12 (ქ.)	კათრინის	
- 26	11 (ქ.)	ალექსანდრე	
- 26	5 (ქ.)	§§ 7-20	
- 36	11 (ქ.)	ზოგიერთი	

159

შინაარსი:

	გვერდი
შესავალი	7
თეიმურაზ I და მისი პოემა	
„წამება წმ. ქეთევანისა“	37
თ. 1. პოემისათვის	41
თ. 2. შირაზის ტყვეობა	51
თ. 3. ნაშთის ძებნაში	63
თ. 4. შირაზის ნადიმი	79
თ. 5. დავით უნდილაძე	91
თ. 6. ეპილოგი	105

სამი ისტორიული საბუთი

I. იმერეთის მეფის ალექსანდრეს სატირა- ლი წიგნი როსტომის მიმართ ქართლის მეფისა	116
-------------------------------------------------------------------------------------	-----

II. მარიამ დედოფლის არზა სპარსეთის მთავრობისადმი	126
III. მურად IV ხონთქრის ეპისტოლე შენიშვნა	143
ა. კ. მალენგრის და ა. გრიფიუსითგან ნა- წყვეტები	145
ბ. დაუთ-ხანის სურათის წარწერები	149
გ. წყაროები	150
საძიებელი	154
შეცდომების გასწორება	159
შინაარსი	160

Imprimerie de Navarre – 5, rue des Gobelins. Paris (13)